2. Kruisinga E. (1925): Handbook of Present Day English. pt. 1. Kemink en Zoon Utrecht.
3. Ladefoged, P. (2000). *A course in phonetics (4th ed.)*. New York: Heinle and Heinle.
4. Nordhyem B. (1960): The Phonemes of English. Copenhagen: Gad.
5. O'Connor J.O. Trim J.L. (1953): Vowel, consonant and syllable - a phonological Definition. In: Word. vol.9.#2.

ინტერნეტ რესურსები: <http://www.teachingenglish.org.uk/think/articles/pronunciation/recent>
<http://eslnews.org.nz/>

Rusudan Gvilava, Irma Rusadze

Akaki Tsereteli State University

e-mail: rusudang@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.03>

SJIF 2024: 8.268

Principle of economy in language

Abstract

The work "Principle of economy in language" is dedicated to a very relevant issue in linguistics. Sound changes such as assimilation, sound reduction, sound fusion, etc are deeply and thoroughly studied in traditional linguistics. However, it should be noted, that the main reason that causes these sound changes is left behind. We have researched this issue in the context of connected speech. The phonetic processes in fast connected speech are based on the language's tendency to "economy", which means that all sound changes in connected speech, be it within a word or at the juncture, are aimed at simplifying oral speech, making pronunciation easier. The paper discusses some of the phonetic processes taking place in oral English. The neutral vowel – schwa, characteristic of English, causes contraction of words, which in turn determines the rhythmicity of the English language. We consider merging t+s = ʃ (ჭ) and d+z= ʒ (ჯ) into the nonexisting sounds in English as a novelty .

Key words: "Principle of economy in language", English language, The phonetic processes

რეცენზენტი: პროფესორი ნინო კირვალიძე

ენათმეცნიერება Linguistic

ანტითეზა როგორც სტილისტური მარკერი პოლიტიკურ დისკურსში

ნინო თავიდაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: nino.tavidashvili@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.04>

SJIF 2024: 8.268

ნაშრომის მიზანია ანტითეზის, როგორც პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტილისტური მარკერის, ანალიზი ინგლისური და ქართულენოვანი დომინანტური (საპრეზიდენტო) დისკურსის მასალაზე დაყრდნობით. კვლევის პროცესში მივმართეთ ტექსტის პრაგმატიკული ინტერპრეტაციის, აღწერით და შეპირისპირებით მეთოდებს, რამაც მოგვცა ანტითეზებით გამოხატული ადრესანტის კომუნიკაციური ინტენციის განსაზღვრის, ანტითეზების ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთის და შესაბამის ინგლისურ და ქართულ ანტითეზებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების დადგენის შესაძლებლობა. საკვლევ კორპუსად შერჩეულია მასალა XXI საუკუნის ინგლისური და ქართულენოვანი საპრეზიდენტო დისკურსიდან.

ანტითეზა წარმოადგენს სტილისტურ მარკერს, რომელიც ეფუძნება ურთიერთშედარებითი კონცეპტების კონტრასტს. ანტითეზა შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ორი სიტყვით, ან სიტყვათა ორი ჯგუფით, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებს რეგულარული, ან კონტექსტუალური ანტონიმია.

პოლიტიკური დისკურსის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მრავალმხრივ კონტექსტუალურ ფაქტორებზე. დისკურსის გააზრებისას საკომუნიკაციო აქტის მონაწილეებს შორის მყარდება კომპლექსური ინტერტექსტუალური, ინტერდისკურსული, სოციალური და ინტერკულტურული კავშირები, რაც საფუძვლად უდევს დისკურსის მრავალფეროვან ინტერპრეტაციებს. პოლიტიკური დისკურსის და მისი შესაძლებლობების მიმართ არსებული მზარდი ინტერესის მიუხედავად, მოცემულ ეტაპზე ანტითეზა, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არგუმენტაციური სტრატეგია, სიღრმისეულად ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული.

პოლიტიკური ანტითეზა ეყრდნობა სხვადასხვა სახის ბინარულ ოპოზიციას, რომელიც წარმოადგენს აუდიტორიაზე გავლენის მოხდენის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს პოლიტიკურ დისკურსში. ანტითეზა აგებულია რეგულარული, ან კონტექსტუალური ანტონიმებით და სხვადასხვა სახის კოჰეზიური საშუალებებით. საკვლევი კორპუსში, ასევე, გვხვდება მეტაფორის გამოყენების არაერთი მაგალითი. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად აძლიერებს ანტითეზის ექსპრესიულობას.

ამრიგად, სახეზეა გამოხატვის განსხვავებული საშუალებების ორგანული სინთეზი, რაც მძლავრ პერსუაზიულ ეფექტს ქმნის და ანტითეზას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტილისტურ მარკერად აქცევს.

საკვანძო სიტყვები: ანტითეზა, სტილისტური მარკერი, პოლიტიკური დისკურსი

ანტითეზა წარმოადგენს სტილისტურ მარკერს, რომელიც ეფუძნება ურთიერთშედარებითი კონცეპტების კონტრასტს. ანტითეზა შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ორი სიტყვით, ან სიტყვათა ორი ჯგუფით, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებს რეგულარული, ან კონტექსტუალური ანტონიმია. ანტითეზას, როგორც მძლავრ არგუმენტაციურ სტრატეგიას, სისტემატურად მიმართავენ კლასიკოსი ორატორები. ჩუდინოვი [2006], შეიგალი [2000] და პოლიტიკური დისკურსის სხვა მკვლევარები ხაზგასმით მიუთითებენ ანტითეზის, როგორც გამორჩეულად ეფექტური სტილისტური მარკერის, როლსა და მნიშვნელობაზე პოლიტიკურ დისკურსში.

პოლიტიკის სპეციფიკას, სხვა სამოქმედო სფეროებისგან განსხვავებით, აყალიბებს მისი დისკურსიული ხასიათი: მრავალი პოლიტიკური მოქმედება წარმოადგენს სწორედ ენობრივ მოქმედებას [Шейгал, 2000:17]. პოლიტიკური აზროვნება და ქმედება განუყოფელია პოლიტიკური მეტყველებისგან [კირვალიძე, 2009:121]. პოლიტიკური დისკურსის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მრავალმხრივ კონტექსტუალურ ფაქტორებზე. დისკურსის გააზრებისას საკომუნიკაციო აქტის მონაწილეებს შორის მყარდება კომპლექსური ინტერტექსტუალური, ინტერდისკურ-სული, სოციალური და ინტერკულტურული კავშირები, რაც საფუძვლად უდევს დისკურსის მრავალფეროვან ინტერპრეტაციებს [Dontcheva-Navratilova, 2017]. პოლიტიკური დისკურსის და მისი შესაძლებლობების მიმართ არსებული მზარდი ინტერესის მიუხედავად, მოცემულ ეტაპზე ანტითეზა, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არგუმენტაციური სტრატეგია, სიღრმისეულად ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული [Mohammad et al, 2018].

ანტითეზა ფართოდ გამოიყენება მოსაუბრის „მართებული“ ქმედებების, ან თვისებების შესაპირისპირებლად ოპონენტის „არამართებულ“ ქმედებებთან, ან თვისებებთან [Владимириова, Тупикова, 2017]. პოლიტიკური ანტითეზა ეყრდნობა სხვადასხვა სახის ბინარულ ოპოზიციას,

რომელიც წარმოადგენს აუდიტორიაზე გავლენის მოხდენის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს პოლიტიკურ დისკურსში.

ნაშრომის მიზანია ანტითეზის, როგორც პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული მნიშვნელოვანი სტილისტური მარკერის, ანალიზი ინგლისური და ქართულენოვანი დომინანტური (საპრეზიდენტო) დისკურსის მასალაზე დაყრდნობით. კვლევის პროცესში მივმართეთ ტექსტის პრაგმატიკული ინტერპრეტაციის, აღწერით და შეპირისპირებით მეთოდებს, რამაც მოგვცა ანტითეზებით გამოხატული ადრესანტის კომუნიკაციური ინტენციის განსაზღვრის, ანტითეზების ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთის და შესაბამის ინგლისურ და ქართულ ანტითეზებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების დადგენის შესაძლებლობა. საკვლევ კორპუსად შერჩეულია მასალა XXI საუკუნის ინგლისური და ქართულენოვანი საპრეზიდენტო დისკურსიდან.

ინგლისურენოვანი საპრეზიდენტო დისკურსი გამოირჩევა ანტითეზების სიმრავლით. ანტითეზების პრაგმატიკული ინტერპრეტაციის შედეგად იკვეთება ადრესანტის სხვადასხვა სახის ინტენცია:

1) ამერიკული სახელმწიფოს და საზოგადოების მიერ განვლილი დემოკრატიული ღირებულებების განვითარების გზის დემონსტრირება:

Flawed and fallible people united across the generations by grand and enduring ideals (ბუში 2001)

- სახეზეა ბინარული ოპოზიცია „მანკიერება-ღირსება“, ანტითეზა წარმოდგენილია რეგულარული ანტონიმებით flawed – grand/fallible - enduring;

...the story of a slaveholding society that became a servant of freedom (ბუში 2001) - ბინარული ოპოზიცია „მანკიერება-ღირსება“, რეგულარული ანტონიმები slave – freedom; მეტაფორა servant of freedom აძლიერებს ანტითეზის ექსპრესიულობას;

2) შეერთებული შტატების, როგორც დემოკრატიული ღირებულებების და გლობალური უსაფრთხოების დაცვის გარანტის, როლის აქცენტირება:

It is the determined choice of trust over cynicism, of community over chaos (ბუში 2001) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები trust – cynicism/community - chaos;

We can right wrongs (ბაიდენი 2021) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, რეგულარული ანტონიმები right - wrong;

But we are also heirs to those who won the peace and not just the war; who turned sworn enemies into the surest of friends (ობამა 2013) - ბინარული ოპოზიცია „სწორი - არასწორი“, რეგულარული ანტონიმები peace – war/enemy - friend;

A power that went into the world to protect but not possess, to defend but not to conquer (ბუში 2001) - ბინარული ოპოზიცია „სწორი - არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები protect – possess და რეგულარული ანტონიმები defend - conquer;

3) საზოგადოების გამხმევა, შთაგონება და სამომავლო პერსპექტივების დასახვა:

We must show courage in a time of blessing by confronting problems instead of passing them on to future generations (ბუში 2001) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები confronting – passing on to;

For we know that our patchwork heritage is a strength, not a weakness (ობამა 2009) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, რეგულარული ანტონიმები strength - weakness;

We can do this if we open our souls instead of hardening our hearts (ბაიდენი 2021) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები open – harden, რომლებიც, ასევე, წარმოადგენენ მეტაფორებს;

And together, we shall write an American story of hope, not fear; of unity, not division; of light, not darkness (ბაიდენი 2021) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები hope – fear, რეგულარული ანტონიმები unity – division/light - darkness;

4) ოპონენტების კრიტიკა:

For too long, a small group in our Nation’s Capital has reaped the rewards of Government while the people have borne the cost (ტრამპი 2017) - ბინარული ოპოზიცია „პარაზიტი - დაზარალებული“, კონტექსტუალური ანტონიმები reap - bear.

ზემოთ წარმოდგენილი ანტითეზების ნაწილი აგებულია კოპეზიური საშუა-ლებების - not, but not, instead of და while - გამოყენებით.

ქართულ საპრეზიდენტო დისკურსშიც დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ანტითეზები. პრაგმატიკული ინტერპრეტაციის შედეგად აქაც იკვეთება ადრესანტის სხვადასხვა სახის ინტენცია:

1) გამოწვევებით სავსე ისტორიული წარსულის დემონსტრირება:

რამდენადაც დიდებულია ჩვენი სამშობლო, იმდენად მძიმე იყო ჩვენი ისტორიული ხვედრი მის შესანარჩუნებლად (საკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „ჯილდო - საფასური“, კონტექსტუალური ანტონიმები: დიდებული - მძიმე;

რამდენადაც თვალწარმტაცია საქართველო, იმდენად კოლოსალური იყო გამოწვევები მის დასაცავად ამაყი ქართველი ერისათვის (საკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „ჯილდო-საფასური“, კონტექსტუალური ანტონიმები: თვალწარმტაცი - გამოწვევები;

2) ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ხაზგასმა:

ძალიან ნიშანდობლივია, რომ სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლისთავს ვზეიმობთ, მე, ემიგრაციაში დაბადებული, გავხდი საქართველოს პრეზიდენტი. ამით შეიკრა ერთგვარი წრე: რუსეთის მეთერთმეტე არმიის შემოსევისა და საბჭოთა ოკუპაციის შედეგად წასული ემიგრაციის შთამომავალი, დღეს, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლობის დამცველად და უმაღლეს მთავარსარდლად ვბრუნდები (ზურაბიშვილი 2018) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური

ანტონიმები: ემიგრაციაში დაბადებული, ოკუპაციის შედეგად წასული ემიგრაციის შთამომავალი - პრეზიდენტი, დამოუკიდებლობის დამცველი, უმაღლესი მთავარსარდალი;

3) განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის ხაზგასმა:

დასრულდა პოსტსაბჭოთა პერიოდი და დაიწყო თანამედროვე ტიპის დემოკრატიის მშენებლობა (მარგველაშვილი 2013) - ბინარული ოპოზიცია „წარსული-აწმყო“, კონტექსტუალური ანტონიმები: პოსტსაბჭოთა - დემოკრატია;

4) საზოგადოების გამხნეება, შთაგონება და სამომავლო პერსპექტივების დასახვა:

მე ვხედავ საქართველოს, რომელიც მისი შვილებისათვის არა გადარჩენისთვის ბრძოლის, არამედ ღირსეული ყოფის, სიცოცხლით ტკბობის, ნიჭიერების გაფურჩქვნისა და თვითრეალიზაციის სივრცეა (მარგველაშვილი 2013) - ბინარული ოპოზიცია „უპერსპექტივობა - პერსპექტივა“, კონტექსტუალური ანტონიმები: გადარჩენისთვის ბრძოლა - ღირსეული ყოფა, ტკბობა, გაფურჩქვნა, თვითრეალიზაცია;

5) სახელმწიფოს წინაშე ხელისუფლებისა და მოქალაქეების პასუხისმგებლობის ხაზგასმა:

რამდენადაც დიდი ჯილდოა ეს ქვეყანა თითოეული ჩვენგანისთვის, იმდენად დიდი გმირობა მოგვეთხოვება იმისათვის, რომ ეს ჯილდო ვერავინ წაგვართვას (სააკაშვილი 2008) - სახეზეა ბინარული ოპოზიცია „ჯილდო - საფასური“, კონტექსტუალური ანტონიმები: ჯილდო - გმირობა. ამასთან, „ჯილდო“ წარმოადგენს მეტაფორას;

ჩემთვის დღევანდელი დღე არის არა ტრიუმფის, არამედ ჩემი ხალხისთვის თავდადების დღე (სააკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები: ტრიუმფი - თავდადება;

უდიდესი პატივი და ტვირთია იყო საქართველოს პრეზიდენტი (მარგველაშვილი 2013) - ბინარული ოპოზიცია „ჯილდო - საფასური“, კონტექსტუალური ანტონიმები: პატივი - ტვირთი. „ტვირთი“ წარმოადგენს მეტაფორას;

6) ეროვნული კონსოლიდაციის აქცენტირება:

ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიას ყველა ქართველისთვის და არა მხოლოდ მისი საზოგადოების რომელიმე ერთი ნაწილისათვის (სააკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, რეგულარული ანტონიმები: ყველა - ერთი;

ჯარის იდეოლოგიური და პოლიტიკური ნიშნით დაყოფის მცდელობები, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში, არის სრულიად მიუღებელი. ეს აზარალებს სახელმწიფოს და აძლიერებს მტერს (ზურაბიშვილი 2018) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, რეგულარული ანტონიმები: აზარალებს - აძლიერებს;

7) დეცენტრალიზაციისკენ სწრაფვის დემონსტრირება:

პრეზიდენტის ინაუგურაცია ტარდება არა ქვეყნის დედაქალაქში, არამედ ერთ-ერთ რეგიონში, კახეთში და ეს ჩემი არჩევანია (ზურაბიშვილი 2018) - ბინარული ოპოზიცია

„ცენტრალიზაცია - დეცენტრალიზაცია“, კონტექსტუალური ანტონიმები: დედაქალაქი - რეგიონი;

8) ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის დემონსტრირება:

არის ბევრი ეთნიკური ჯგუფი, მაგრამ ერთია ჩვენი ერი (სააკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „კონტრასტი - ერთიანობა“, რეგულარული ანტონიმები: ბევრი - ერთი;

არის ბევრი აღმსარებლობა, მაგრამ ერთია ჩვენი საერთო რწმენა (სააკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „კონტრასტი - ერთიანობა“, რეგულარული ანტონიმები: ბევრი - ერთი;

ვიქნები საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან საკონსტიტუციო შეთანხმების დაცვის გარანტი. ამავდროულად, განუხრელად დავიცავ საქართველოში მცხოვრები ყველა აღმსარებლობის წარმომადგენელთა კონსტიტუციურ უფლებებს (მარგველაშვილი 2013) - ბინარული ოპოზიცია „კონტრასტი-ერთიანობა“, კონტექსტუალური ანტონიმები: მართლმადიდებლობა - ყველა აღმსარებლობა;

9) სწრაფვა საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებისკენ:

კარგად დაცული საზღვრები უნდა ვაქციოთ ხიდეად და არა ბარიერებად (სააკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები: ხიდი - ბარიერი. „ხიდი“ მოცემულ შემთხვევაში მეტაფორაც არის.

ქართულ პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ანტითეზების უმრავლესობა აგებულია შემდეგი კოჰეზიური საშუალებებით: რამდენადაც... იმდენად, და, არა...არამედ, მაგრამ, ამავდროულად.

მაშასადამე, საკვლევ კორპუსში იკვეთება ანტითეზით გამოხატული ადრესანტის სხვადასხვა სახის ინტენცია. როგორც ინგლისურ, ისე ქართულენოვან დისკურსში ადრესანტის ერთ-ერთი უმთავრესი კომინიკაციური ინტენციაა საზოგადოების გამხნეება, შთაგონება და სამომავლო პერსპექტივების დასახვა. ისტორიული წარსულის დემონსტრირებისას ინგლისურენოვან დისკურსში აქცენტირებულია დემოკრატიული ღირებულებების განვითარების გზა, ქართულენოვან დისკურსში კი - მუდმივი გამოწვევები საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს წარმოჩენის თვალსაზრისით, ინგლისურენოვან დისკურსში წინა პლანზეა წამოწეული შეერთებული შტატების, როგორც დემოკრატიული ღირებულებების და გლობალური უსაფრთხოების დაცვის გარანტის, როლი, ხოლო ქართულენოვან დისკურსში - სწრაფვა საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებისკენ. ინგლისურენოვან მასალაში წარმოდგენილია ოპონენტების კრიტიკაც, რაც ქართულენოვან მასალაში არ დაფიქსირებულა. ქართულენოვან მასალას ინგლისურენოვანისაგან განასხვავებს, ასევე, ისტორიული სამართლიანობის აღდგენის, განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის, სახელმწიფოს წინაშე ხელისუფლებისა და მოქალაქეების პასუხისმგებლობის, ეროვნული კონსოლიდაციის, დეცენტრალიზაციისკენ სწრაფვის და ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის ხაზგასმა.

ინგლისურენოვან მასალაში სჭარბობს ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“. შედარებით იშვიათად გვხვდება ოპოზიციები - „მანკიერება-ღირსება“ და „პარაზიტი-დაზარალებული“. ქართულენოვან მასალაში თითქმის თანაბარი სიხშირით არის წარმოდგენილი ოპოზიციები - „სწორი-არასწორი“, „ჯილდო-საფასური“ და „კონტრასტი-ერთიანობა“; შედარებით იშვიათია - „წარსული-აწმყო“, „უპერსპექტივობა - პერსპექტივა“ და „ცენტრალიზაცია - დეცენტრალიზაცია“.

ინგლისურენოვან ანტითეზებში თანაბარი სიხშირით გვხვდება რეგულარული და კონტექსტუალური ანტონიმია, ქართულენოვან მასალაში კი სჭარბობს კონტექსტუალური ანტონიმის მაგალითები.

როგორც ინგლისურ, ისე ქართულენოვან მასალაში ანტითეზები აგებულია სხვადასხვა სახის კოპეზიური საშუალებებით. გვხვდება მეტაფორის გამოყენების არაერთი მაგალითი (განსაკუთრებით - ქართულენოვან მასალაში). ეს უკანასკნელი კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ანტითეზის ექსპრესიულობას.

ამრიგად, სახეუა გამოხატვის განსხვავებული საშუალებების ორგანული სინთეზი, რაც მძლავრ პერსუაზიულ ეფექტს ქმნის და ანტითეზას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტილისტურ მარკერად აქცევს.

ლიტერატურა:

- 1) **კირვალიძე ნ.**, პოლიტიკური დისკურსი და კოგნიტური მეტაფორები, ინტელექტი, #3 (35). გვ.121-125, 2009.
- 2) **მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციაზე**, 2008 (ელ. რესურსი). - წვდომის რეჟიმი: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=17342>. - წვდომის თარიღი: 10.04.2024.
- 3) **პრეზიდენტ მარგველაშვილის საინაუგურაციო გამოსვლა**, 2013 (ელ. რესურსი). - წვდომის რეჟიმი: <https://civil.ge/ka/archives/152398>. - წვდომის თარიღი: 10.04.2024.
- 4) **სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვა**, 2018 (ელ. რესურსი). - წვდომის რეჟიმი: <https://civil.ge/ka/archives/271166>. - წვდომის თარიღი: 10.04.2024.
- 5) **The American Presidency Project** (e. resource). – Access regime: <https://www.presidency.ucsb.edu/documents>. – Last date of access: 10.04.2024.
- 6) **Dontcheva-Navratilova O.**, Coherence and persuasion in political speeches: Ideological coherence in coherent discourse. Brno: Masaryk University, 2017.
- 7) **Mohammad M.D., Niami M., Fattahipoor M.**, The impact of applying lexical equivalent corpus on Iranian translator trainees' achievement in the translation of compound-complex sentences. UCT Journal of Social Sciences and Humanities Research, 6(4), 62-71, 2018.

8) **Владимирова М. С., Тупикова С. Е.**, Лексико-стилистические приёмы как средство передачи эмоциональности (на материале английского политического дискурса), Иностранные языки в контексте межкультурной коммуникации: материалы докладов IX Международной конференции, С. 147-155, 2017.

9) **Чудинов А.П.**, Политическая лингвистика, Москва: Наука, 2006.

10) **Шейгал, Е. И.**, Семиотика политического дискурса, Москва, 2000.

11) **Chokhonelidze K.** (2023). Peculiarities of Discourse Management in English and Georgian Interviews. *Iac* [Internet]. 2023 May 27 [cited 2024 Mar. 25]; Available from:

<https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/1896>

Nino Tavidashvili

Akaki Tsereteli State University

e-mail: nino.tavidashvili@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/Iac.2024.31.04>

SJIF 2024: 8.268

Antithesis as an important stylistic device in political discourse

Abstract

The aim of the paper is to analyze the antithesis as an important stylistic device in political discourse based on the materials of English and Georgian dominant (presidential) discourse. In the process of research we applied the method of pragmatic interpretation of the text, and descriptive and contrasting methods, which gave us the opportunity to identify the communicative intention of the addresser expressed by antitheses, outline the main characteristics of antitheses and determine the similarities and differences between relevant English and Georgian antitheses. English and Georgian presidential speeches of XXI century have been selected as research materials.

An antithesis is a figure of speech that states strongly contrasting ideas placed in juxtaposition. Despite the growing interest in political discourse and its possibilities, at this stage the antithesis as a particularly important argumentative strategy has not yet been explored in depth.

The political antithesis is based on various kinds of binary opposition, which is one of the main methods of influencing the audience in political discourse. The antithesis is constructed with regular or contextual antonyms and various cohesive devices. In the research materials there are also many examples of metaphor usage. The latter significantly enhances the expressiveness of the antithesis.

Thus, there is an organic synthesis of different means of expression, which creates a powerful persuasive effect, making the antithesis one of the most significant stylistic devices.

Key words: Antithesis, stylistic device, political discourse

ენათმეცნიერება Linguistic

The Cognitive Effect of Semantic-Structural Items in Political Discourse

Ekaterine Topuria

Akaki Tsereteli State University

e-mail: Ekaterine.topuria@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.05>

SJIF 2024: 8.268

The article under the title “Functional-Systematic Forms in Public Speeches of Politicians” turns to be the contemporary work on search of functional-structural analysis for political public speeches.

The article studies the Caesar’s as the world strategic politician’s strategies for making the purposeful speeches for the future military success. The grammatical-functional speech units represented in the article are as follows: Gerundive forms, sapines and subordinate sentences of purpose to express the politician’s strategies.

The article once again proves the historical truth approving the Caesar as the politician and strategic general as well as a thoughtful narrator and an interesting grammarian.

Key words: The exemplum positivum, dicourse, sapines

Introduction. The article highlights that politicians who well master the public speech-making techniques clearly see the importance of syntactical as well as the word choice in search of the right emotional impulse upon the audience. Robert Maxwell Ogilvie states that the overwhelming impression of the politicians’ speeches is its clarity and precision’. (B.Gall).

The presented article highlights the peculiarities of Julius Caesar’s preference for plainer elements over the ornate speech style. The nature of one’s brevity is usually reflected in his public speech especially if it precedes the up-coming threatening political instability in the country .

The aim of the article is to highlight the beginning of his treatise on Grammar by Iulius Caesar who reportedly claimed: “Avoid as you would a rock, every unheard and unusual word”!

He also promoted ‘the knowledge of this easy and everyday speech’. These sayings have been outstanding in search of the right linguistic approach to overwhelming political interests of many politicians of different times while making their public speeches.

Procedure. The purpose of my choice to go into deeper grounds of the Caesar’s speech appeared to me very interesting as the OE (Old English, the course I deliver) is the adopter of many ecclesiastic as well as political terms from Latin vocabulary and grammar. On the other hand I research the political discourse markers.

Thus the Methodology lies on the ground of discourse analysis studied on the empiric material from the book Classical Philology by Karen L.Carducci. (The First Sapine in Bellum Gallicum And Bellum Civile, a study of Caesar as Grammmarian , Narrator and Exemplum , The University fo Chicago Press, volume 113,number 4, 2018)

Findings. Political speeches are usually purposeful .In Old Latin expressing purpose in unique syntactical as well as semantic patterns was relatively rare occasion, so Caesar used the first supine, the fourth declension form derived from the verb stem just the same way like in Old English which ended in **-tum** or **-sum**. This form and adverbial accusative, closely accompanies the forms that serve as purpose. Most of these sapines based upon the edition follow common verbs of motion (strengu, stund, hentan).If on the one hand he was attempting to correct the text he had in front of him he would more likely change it for the more familiar to make it more understandable for the audience. Thus he often changed the grammar construction for the familiar gerundive forms.

The usage of the named linguistic forms usually referred to the certain purpose such as the change of the physical location of the army for the coming battle. In this way he as an ideal general who showed to his men a positive example (*exemplum positivum*) worthy of his men faithfulness.

The lesson of another example serves as the lexically marked “*exemplum positivum*”, when he applies to the Cimbri and Teutoni who tried to cross the river Rhine by hostile forces and establish the likeness between the ancient Germanic tribes of Teutoni , Germani and Cimbri. This event clearly showed their wish of invasion of Rome for the second time.

- a) Homines feros ac barbaros
- b) Ut ante Cimbri Teutonique fecissent

The examples show that he judges the migration of the tribes dangerous for Roman interests. So the Caesar as the actor and embedded focalizer believes that like Cimbri and Teutoni and Germini are to be answered as swiftly as possible.

- a) Quibus rebus quam maturime occurrendum putabat (B.Gall)

Thus another “*exemplum positivum*” used to be mentioning Marius as highly praising general to show that his army appears to be a threat and warning as not the best experience for the Cimbri and

Teutoni. Marius was the person whom the Caesar publicly awarded with a statue for the victory over the Cimbri and Teutoni as the commander brutally competent. Thus the Caesar as the commander played the role of the author of massive recruitment and training while reforming a loyal, professional military.

Indeed, to succeed against these aggressive opponents in addition to adopting Marius' political éclat as the defender of the Roman interests Caesar is warning the audience that if it is necessary he will make the second Marius whose personal glory is mirrored in the Roman legions.

Like many Greek and Roman writers describing the past events the Caesar relies also on the discourse of **exemplarity** to convey themes via the discourse making the citizens draw the historical parallels for acknowledging the term “example” in action and speech. So linguistically the Caesar uses the *sapines* and the Genitive structural forms for marking the *exempla* (examples). *Sapines* are an abbreviated forms in Latin and thus impersonal kind of purpose clause. Thus the purpose clauses are the best means for expressing the human actions in military and political domains against the treachery of barbarian enemies. Here, ‘mutatis mutandis’, he can use them to mute particular circumstances surrounding a purpose clause which can thereby draw closer to generalities about human action in military and political domains. (K.L Carducci)

Using *sapines* notifying what a real military leader should do or avoid the Caesar shows the importance of begging to avoid mercy not to miss the treachery of barbarian enemies. The “*exemplum positivum*” described the caesar's character in transgressive virtues to overwhelm the most dangerous of enemies those who could not understand that Caesar's interests were their interests as well. The Caesar's unexpected advocacy for mercy surprised everybody as contrary to Republican *virtus*. “*Exempla positive*” was the modelling action for aspiring the commanders and voted authors expressed in terms of grammatical structural as well as lexical forms. Mercy towards the enemies renders him in possession of power not only over those he presents as public enemies but also over fellow Romans.

Reference:

1. Karen L.Carducci_ the First *Sapine* in *Bellum Gallicum And Bellum Civile*, a study of Caesar as Grammarian, Narrator and *Exemplum*, *Classical Philology*, The University of Chicago Press, volume 113, number 4, 2018
2. Batstone, William Wendell and Cynthia Damon. 2006 *Caesar's Civil War*. Oxford Approaches of Classical Literature
3. Manana Mikadze. (2021). Georgian and Language Competition in the Diaspora (Emigrant community). *Language and Culture*, (25), 42–45. <https://doi.org/10.52340/lac.2021.654>
4. Irma Gogolidze. (2024). “Georgia in the Context of World Politics (On the Example of Batumi Region)”. *Language and Culture* (March 9, 2022). Accessed March 25, 2024. <https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/781>.

ეკატერინე თოფურია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: Ekaterine.topuria@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.05>

SJIF 2024: 8.268

**სემანტიკურ-სტრუქტურული ერთეულების კოგნიტური ეფექტი პოლიტიკურ დისკურში
აბსტრაქტი**

სტატია სათაურით „ფუნქციურ-სისტემური ელემენტები პოლიტიკოსთა მეტყველებაში“ გამოხატავს უახლეს ნამუშევარს, რომელიც ეხება პოლიტიკოსების გამოსვლების კვლევას პოლიტიკური გამოსვლების სტრატეგიულ-მიზნობრივი შინაარსის სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზის საფუძველზე. სტატია იკვლევს იულიუს კეისრის პოლიტიკურ ტაქტიკათა გამომხაველ სამეტყველო-სისტემურ ერთეულებს, კერძოდ ნათესაობითი ბრუნვის, საპინის, მიზნისა და მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებს, როგორც სტრატეგი პოლიტიკოსის ჩანაფიქრის გადმოცემის სტრუქტურულ ერთეულებს.

სტატიაში მოცემულია თეორიულ-ისტორიული საკვლევი ემპირიული ბაზა და გაანალიზებულია დამამტკიცებელი მაგალითები. აღნიშნული გრამატიკული ერთეულების კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა იულიუს კეისრის როგორც დიდი სტრატეგის, მეომრის, პატრიოტის და შემწყნარებლის ისე სერიოზული გრამატიკოსისა და ნარატივის სპეციალისტის საჯარო გამოსვლების განსაუთრებულობა. თითოეული ფრაზა სტრატეგიული გამარჯვების მოპოვებისათვის, თავდაცვისა ან თავდასხმისათვის იყო გრამატიკულად სწორად აგებული. ენობრივი ლაკუნები კი ზუსტად მიანიშნებდნენ მხედართმთავრის სამხედრო ჩანაფიქრს.

საკვანძო სიტყვები: დადებითი მაგალითი, დისკურსი, საპინისი

რეცენზენტი: პროფესორი მანანა ღარიბაშვილი

ენათმეცნიერება Linguistic

სიტყვა „გულს“ შემცველ სომატურ-იდიომატურ ფრაზეოლოგიზმთა
ზოგიერთი ლექსიკურ-სტილისტური თავისებურება ქართულში

მანანა კაკაურიძე

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმიდელის გორის სკოლა-გიმნაზია
e-mail: kakauridzemanana@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.06>

SJIF 2024: 8.268

იდიომატური ფრაზეოლოგიზმები ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. იგი ზრდის მხატვრულ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალას და სიცოცხლისუნარიანობას მატებს ენას. მათში მკვეთრად ჩანს ადამიანთა ფანტაზია, ემოცია, კულტურა, სულიერება, სამყაროს ორიგინალური ხედვა და აღქმა. ყოველივე ამის გამო ისინი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენენ ენაში.

ჩვენი ინტერესის საგანია სომატიზმების შემცველი გრძნობა-ემოციების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა შორის განსაკუთრებით პროდუქტიულია „გულ“ ფუძის შემცველი იდიომატური ფრაზეოლოგიზმები. მათ გამაერთიანებელ, საერთო ნიშანთან ერთად ერთმანეთისაგან არაერთი განმასხვავებელი თავისებურება აღმოაჩნდათ: ამ ჯგუფში შემავალ იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებს შეიძლება უკავშირდებოდეს ერთმანეთის საპირისპირო კონოტაციის გამოხატვა. მათი ერთი წყება როგორც ფორმოზრივად, ასევე შინაარსობრივად უცვლელად არსებობს საუკუნეთა განმავლობაში, ნაწილი კი აზრობრივად გაუფერულდა და საერთოდ აღარ იხმარება. „გულ“ ფუძის შემცველმა ზოგიერთმა ფრაზეოლოგიზმმა ხშირად ხმარების გამო უწინდელი ექსპრესიულობა დაკარგა. მრავალფეროვან სურათს გვაძლევს აღნიშნული ჯგუფის ფრაზეოლოგიზმები იმ თვალსაზრისით, რომ ზოგიერთ მათგანში ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულებია შემონახული, ზოგიერთში უცხოური წარმომავლობის სიტყვებს ვხვდებით, ზოგი კი ასემანტიკურ ლექსემებს შეიცავს. ამავე ჯგუფის

ფრაზეოლოგიზმებში განსხვავებული ლიტერატურულ-მხატვრული ხერხებია გამოყენებული. მაგალითად: ჰიპერბოლიზაცია, გრადაცია, ტავტოლოგია, ოქსიმორონი, რაც, შესაბამისად, სხვადასხვა ლიტერატურულ რემინისცენციას იწვევს, ზოგიერთ მათგანში კი რელიგიურ ტერმინთა გამოყენება თუ მეტაფორული ხატოვანება ხდება მათი გამომსახველობითი გამძაფრების განმაპირობებელი.

ენის ბუნებას, გარკვეულწილად, ერის მსოფლალქმა განსაზღვრავს. იდიომები და ფრაზეოლოგიზმები კი ადამიანთა მიერ აღქმულ სამყაროს აღწერს ხატოვნად, ამიტომაც მათში აღბეჭდილია ჩვენი ენის შინაგანი სიმდიდრე და შთამბეჭდავდაა გამოვლენილი მისი შესაძლებლობები. მათი მონაწილეობით ხდება მეტყველება კიდევ უფრო საინტერესო, ტევადი და დახვეწილი.

ვფიქრობთ, რომ სომატურ ფრაზეოლოგიზმთა შემდგომი კვლევა კიდევ მეტ თავისებურებას გამოავლენს.

საკვანძო სიტყვები: ლექსემა „გული“, იდიომატური ფრაზეოლოგიზმები, ლექსიკური მარაგი.

ცნობილია, რომ ენის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, მის ლექსიკაში აისახება. ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად მიჩნეულია იდიომები, ფრაზეოლოგიზმები, ე.წ. ფრთოსანი სიტყვები, ფიგურალური გამოთქმები, ხატოვანი სიტყვა-თქმები. ყველა მათგანი ლექსიკის ორგანული ნაწილია და გარკვეული თვალსაზრისით ერთი ტერმინით - იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ.

იდიომატურ ფრაზეოლოგიზმში ასახულია ამა თუ იმ მოვლენის თავისებურად აღქმა და შეფასება. მხატვრული თუ სოციალურ-ფილოსოფიური შეხედულებების ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემა ზრდის მხატვრული ოსტატობის ხარისხს, ესთეტიკური ზემოქმედების ძალასა და სიცოცხლის უნარიანობას მატებს ენას. ამიტომაც არის იდიომატური ფრაზეოლოგია ენის სიმდიდრისა და მხატვრული სიტყვათშემოქმედების ერთ-ერთი საფუძველი.

გამოხატვის თვალსაზრისით, ფორმოზრივად იდიომატური ფრაზეოლოგიზმი შესიტყვებას ემთხვევა, შინაარსის პლანში-სიტყვას, მაგრამ იგი ენაში ამა თუ იმ ცნების ერთადერთი გამომხატველი არ არის, არამედ სხვა სიტყვის სინონიმია და მას ხატოვნად, მეტი ემოციურ-ექსპრესიული დატვირთვით გადმოგვცემს. მისი ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ იდიომატურ ფრაზეოლოგიური ნომინაცია, ლექსიკურისგან განსხვავებით, ობიექტური სინამდვილის მხოლოდ გარკვეულ სფეროს ასახავს და მასში უფრო მკვეთრად ჩანს ადამიანთა ფანტაზია, ემოცია, კულტურა, სულიერება თუ სამყაროს ორიგინალური ხედვა. მაშასადამე,

იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებში ენის განსაკუთრებული შესაძლებლობები აისახება და ისინი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენენ.

იდიომატური ფრაზეოლოგიზმები მრავალგვარი სემანტიკური შინაარსისაა ქართულში. ამჯერად, ჩვენი ინტერესის საგანია ადამიანთა გრძნობების, ემოციების, განცდების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმების კვლევა. უმეტესად სწორედ ისინი ასახავენ ზედმიწევნით ადამიანის სულიერ მდგომარეობას, წარმოდგენებს, დადებით თუ უარყოფით ემოციებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სიბრძნეს.

გრძნობა-განწყობის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ხშირად შეიცავს სომატიზმებს. სომატური იდიომატური ფრაზეოლოგიზმები განსაკუთრებული ექსპრესიულობით გამოირჩევა და მათი მოხმარების არეალი საკმაოდ ფართოა: გამოიყენებიან როგორც საყოფაცხოვრებო-სასაუბრო ლექსიკაში, ასევე სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. მათ შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს „გულ“, „თვალ“, „თავ“, „ხელ“.. ფუძეების შემცველი იდიომატური ფრაზეოლოგიზმები. მათთან ამ სიტყვათა დაკავშირება გასაგებია, რამდენადაც, ამა თუ იმ გრძნობა-ემოციის (სიყვარული, სიძულვილი, სილამაზე, დამცირება, მწუხარება, შეურაცხყოფა...) გამოხატვა, ამ ენაზე მოუხარო ადამიანების მენტალური ფენომენიდან გამომდინარე, სწორედ ამ სიტყვებს უკავშირდება, თუმცა ფრაზეოლოგიზმში მათ დროთა განმავლობაში სიმბოლური დატვირთვა შეიძინეს.

საინტერესო სურათს გვაძლევს ამ თვალსაზრისით „გულ“ ფუძის შემცველ ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკური ჯგუფის განხილვა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სომატურ-იდიომატურ ფრაზეოლოგიზმთა სიმრავლეში მრავალრიცხოვნებით სწორედ ის ჯგუფი გამოირჩევა, რომელშიც „გულ“ ფუძე ერთ-ერთი პროდუქტიული კომპონენტია.

როგორც ჩანს, ყველანაირი ადამიანური განცდა, ქართულ მენტალობაში გულიდან გამომავალია და ამიტომაც ეს გრძნობები ქართველ ხალხს სიტყვიერადაც გულთან დაუკავშირებია.

მიუხედავად იმისა, რომ სომატურ-იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებს აერთიანებს ის საერთო ნიშანი, რომ ყველა მათგანში გამოყენებულია ადამიანის სხეულის ამა თუ იმ ნაწილის გამომხატველი ლექსიკური ერთეული, მათი განხილვის შედეგად, თვით ამ მრავალრიცხოვანი ჯგუფის შიგნით არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი თავისებურება გამოიკვეთა.

ლექსიკური ერთეულის -„გულის“ შემცველ იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებს შეიძლება უკავშირდებოდეს ერთმანეთის საპირისპირო - როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციის გამოხატვა. შესაბამისი მაგალითები, როგორც ერთი, ისე მეორე მხრივ, ბევრი შეგვიძლია დავასახელოთ, დადებითი კონოტაციით: **გულზე ვარდის გადაფენა** -„ეთერსაც იმის

დანახვაზე გულს ვარდი გადაეფინა და ისეთის სიამოვნებით მიიღო ახალგაზრდა, თითქო სწორედ იმას ელოდაო“ [ონიანი, 1966:28]; **გულზე ხატად დასვენება**–„საქართველოს ისტორია სახარებად გაიხადა, „სამშობლოს განთავისუფლების“ კულტი **გულზე ხატად დაისვენა**“ [ონიანი, 1966:30]; **გულიდან ლოდის აცლა** - „აბა, რომ იტყვიან კარგად საქმის მოყვანასა, ამას იტყვიან. იგ, მოსევ, ძლივს გულიდამ ლოდი არ აიცალე? არც ჩხუბი, არც დავიდარაბა“ [ონიანი, 1966:34]; **გულის ამღერება** - „ამ მოწერილობამ გული აუმღერა ხუცესს“ [ონიანი, 1966:35]; **გულში უზის**–„მაგრამ როგორ ჩამოაცალოს, რომ სოვეტნიკს ისე მჭიდროდ გულში უზის? უამისოდ უბრალო ქაღალდსაც ხელს არ აწერს?“ [ონიანი, 1966:51].

უარყოფითი კონოტაციით: გულზე ბინდის დაცემა–„მათ ვერა მარგეს, მე გულსა ბინდი დამეცა ბნელისა“. [სახოკია,1970:106]; **გულში ეშმაკის შეშვება**–„რაკი ერთი გულში ეშმაკი შეუშვეს, მერე სულ იმას ცდილობდნენ (რძლები), როგორმე ძმების პირში ჩაეგდოთ ქვრივი“ [სახოკია,1970:121]; **გულზე ლოდის დაწოლა**–„მას აქეთ დააწვა რაღაც ლოდი გულზედ და ვეღარ აუხსნია“ [ონიანი,1966:29]; **გულიდან ამოგლეჯა**–„განშორდა მაყვალას დარწმუნებული, რომ გულიდან ამოგლეჯდა ამ ქალის სახეს“ [ონიანი,1966:33]; **გულის ტკენა**–„დიდ დამნაშავედა ვგრძნობ ჩემ თავს, რომ გუშინ ისე წინდაუხედავად გატკინეთ გული“ [ონიანი,1966:46].

საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდა ქართველი ხალხი საკუთარი ხატოვანი აზროვნების გამოხატულებას-იდიომატურ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს, რომლებიც ზეპირი გზით გადაეცემოდა თაობიდან თაობებს, ბევრი მათგანი საუკუნეებს ითვლის, ამიტომაც მათი განხილვა სხვადასხვა სურათს წარმოაჩენს.

ფრაზეოლოგიზმთა ერთი წყება უცვლელი ფორმით (როგორც ფორმობრივად, ასევე შინაარსობრივად) განაგრძობს არსებობას: **გულის მოფხანა** -„მან (რამაზის კაცმა) მითხრა მოციქულობა გულისა მოსაფხანია“ [სახოკია,1970:115]; **გულზენისლის შემოწოლა** -„დაუკარ, ჩემო ჩონგურო...გულს ნისლი შემომწოლა“ [სახოკია,1970:107]; **გულის გადაშლა** -„ვერ ხერხდებოდა განცალკევება, გულის გადაშლა: ჩვეულება არ იძლეოდა ამის ნებას“. [სახოკია,1970:111]; **გულის მობრუნება ვისკენმე**–„რა წამსაც დავინახე, ღმერთია მოწამე, გული შენკენ მომიბრუნდა“ [სახოკია,1970:114].

ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმი დროთა განმავლობაში აზრობრივად გაუფერულდა, ისინი შთანთქა თანამედროვეობამ და საერთოდ აღარ იხმარება: **გულის კოვზში მოთავსება**–„კურკის ოდენა გავხდი გულის კოვზში მოთავსდებოდი“ [ამირეჯიბი, 1979:524]; **გულზე ქონის მოკვრა**–„გაირმებული ვირი დასეირნიბდა მთასა და ბარს თავისუფლად. ვირმა გულზე ქონი მოიკრა“ [სახოკია,1970:107]; **გულზე ლურსმნად დგომა** -„ანტონი ძალიან სდევნიდა ილიას, მისი სახელი გულზე ადგა ლურსმნად“ [სახოკია,1970:106]; **გულიდან კლიტე აჰგლიჯეს**–„ვერ დაასრულა

(გიორგიმ) სათქმელი, სიტყვა შეეკრა, თითქო ელდა ეცაო, რომ **გულიდამ კლიტე აჰგლიჯეს, კარი გაულეს და შიგ ჩაჰხედეს**“ [სახოკია,1970:109]; **გული ბუდეს დაიდვა**–„სხვაგან, თუ ასაფრენზე იყო ხოლმე გარსევანი ცოტახნობით და ხელის დაქნევას ელოდებოდა, N -ის ნაწილში **გული ბუდეს დაიდვა**“ [სახოკია,1970:108]; **გულის ბუხრის ამოყრა**–„კვირა დღე იყო და უღლიდან გამოშვებული ხალხი ენას ანძრევდა, ქარს იღებდა, **გულის ბუხარს ყრილობდა**“ [სახოკია,1970:110]; **გული ხელთ არა აქვს**–„არ ვიცი, რა ვქნა? **გული ხელთ აღარა მაქვს** იმის მაყურებელსა“ [ონიანი, 1966:32]; **გულში ტყვიის ჩადუღება**–„ქურდობაზე დაიჭირეს, მაგრამ, რომ იტყვიან, **გულში ტყვია ჩაიდულაო**, სწორედ ისე გაკერპდა და მაინც არ გატყდა“ [ონიანი,1966:51]; **გულის ჭუჭყის მობანა**–„შემდეგ ერთმანეთს გადაეხვივნენ, **გულის ჭუჭყი მობანეს... და წასასვლელად შეემზადნენ**“ [ონიანი, 1966:49].

გვხვდება ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ფორმოზრივად ზუსტად ემთხვევა თავისუფალ შესიტყვებას, მაგრამ მოხდა მისი სემანტიკურად გადააზრება: **გულს დამძარავს**-ეს ფრაზა შეიძლება გამოვიყენოთ სამედიცინო გაგებით, რომელიც ადამიანის განსაკუთრებულ მდგომარეობას გამოხატავს. ხოლო გადატანითი მნიშვნელობით, როგორც ფრაზეოლოგიზმი, გამოიყენება ერთგვარი ირონიით, დაცინვით ისეთ ადამიანზე, ვინც მედიდურობს და იწუნებს ისეთ რაიმეს, რისი დაწუნების საბუთი არ აქვს: „ამისი სარგებელიც ორი წლისაა, აბაზობაზედ, - ორასორმოცი თუმანი... ეს შვიდას ორმოცი თუმანი...არც ეს **დასძმარავს გულს!**..“ [სახოკია,1970:119]; **გულზე დანის დაცემა** –„და შეიქნები **დამცემი** ჩემს ტანჯულს **გულზე დანისა?!**“ [სახოკია,1970:106]; **გულზე ხელის დაკრეფა, გულხელის დაკრეფა**-ეს ფრაზა გავრცელებული სიმბოლოა მიცვალებულისა, რომელიც გულხელდაკრეფილი ასვენია. სწორედ მას ამსგავსებს ქართველი ამ ფრაზეოლოგიზმით უსაქმურ, უმოქმედოდ მყოფ ადამიანს: „არც ქართველობამ **დაიკრიფა გულზედ ხელი**“ [სახოკია,1970:108]; **გულზე ვარდის დაფენა**–„ეთერსაც იმის (დარისპანის) დანახვაზე **გულს ვარდი გადაეფინა**“ [სახოკია, 1970:106].

ზოგიერთ ფრაზეოლოგიზმს, ხშირად ხმარების გამო, ერთგვარად დაეკარგა ექსპრესიულობა: **გულის მოკვლა**–„მაშინ, მეფეო, რავდენტ კაცთ მართალთ **მოუკლან გულნი** ტანჯვათ იღუმალთ“ [სახოკია,1970:114]; **გულის გასივება** –„შენმა დაუსრულებელმა საყვედურებმა **გული გამისივა**“ [სახოკია,1970:111]; **გულის აყრა**–„როგორ გულცივობს? ნუთუ **გული აიყარა** თავის საყვარელ შვილზე?“ [სახოკია,1970:110]; **გულის გაქცავებ**–„ახლა **გული გამიქცავდა** და დამიანებიც შემმაგდა“ [ონიანი,1966:40].

ენის ლექსიკური შემადგენლობის ცვალებადობის და ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ, ენის ლექსიკურ ფონდს აკლდება ის სიტყვები, რომელთა შესაბამისი საგნები და მოვლენები ისტორიის კუთვნილება გახდა. საინტერესოა, რომ არაერთი ძველი ქართული

ლექსიკური ერთეული სწორედ ფრაზეოლოგიზმებმა შემოგვინახა და მხოლოდ მათ კომპონენტებადღა გვხვდებიან ისინი: **გულის დამჯიღვა** - „შორიდან ბარემღაც გულს იმჯიღავენ, მუქარას მითვლიან, კბილებს მიღრჭენენ, მაგრამ რას გახდებოდნენ?!“ [სახოკია,1970:113]; **გული თავის ალაგას აღარ მიდგება**-„შენ არ იცი და მე კი, სწორედ გითხრა, ჩემო თითიავ, გული თავის ალაგას აღარ მიდგება სიხარულისაგან, უთხრა თითიას თამარმა“ [სახოკია,1970:109]; **გულის გალახვრა**-„ელახვრებოდა გული (ამზაილს). როგორღა უნდა ეცხოვრა განშორებულს, ან რისთვის?!“ [სახოკია, 1970:111]; **გულის ამოსკვნა**-„(გიორგიმ) მაშინ კი მწვავედ იგრძნო სრული მარტოობა და გული ამოესკვნა, მთელის ტანით ქვითინად იქცა“ [ონიანი, 1966:35]; **გული ეთანაღრება**-„როცა ჩემი ძმა წამოდგა და შენ ჯიბეების ჭრა დაგიწყო, გული დამეთანაღრა, ავიმრიზე, თმა ყალყხედ შემიდგა, მაგრამ ხმა არ გავე, არ დავუშალე“ [ონიანი, 1966:31]; **გულზე სისხლის მონთხევა**-„ერისთავს გულზე სისხლი მოენთხა და ჰკითხა: - მიცნობ, მე ვინცა ვარ?“ [ონიანი,1966:29]; **გულის აცრუება**-„პატარები ყურს აღარ უგდებენ, გული აუცრუვდათ იმათხედ, მაგრამ მაგათაც ჰქონდათ თავისი დრო“[ონიანი,1966:36]; **გული ემუნათება**-„...მაგრამ ხალხს რომ ცოტა გული ემუნათება, ამას ვერ დაგიძალავ“ [ონიანი,1966:31]; **გულში საკირე უნთია**-„რა საკირე ენთოთ გულში და რა ცეცხლმა გაიარა!“ [ონიანი,1966:51]; **გულის ატოკება**-„აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეს დედაკაცი ქრისტინე იყო,... რომელიც ერთ დროს ისე უტოკებდა გულს და ანატრებდა თავს ნიგვზიანის ყმაწვილკაცობას“ [ონიანი, 1966:35]; **გულს ესალბუნება (რამე)**-„როდესაც მოახსენეს, რომ ნადიმად არც თამარი მობრძანდებო, გულს ესალბუნა“ [ონიანი, 1966:49]; **გულის შეზარვა**-„ძულან რა ხმა მოისმა ტამარში ისეთი, რომ გულნი შეზარა?“ [ონიანი, 1966:47]; **გულს მოფონება**-„ამის წინ მაინც გადმოვშლი დიდი ხნის შეგუბებულ ნაღველს და ცოტათი მაინც გულს მოვიფონებ“ [ონიანი, 1966:50]; **გულის ჩათხრობა**-„ნომრევანის დაღვრემილმა სახემ და სიჩუმემ ხომ მთლად გააცოფა ბატონი, ნეტა თუ რამ ჩაუთხრო გული ამ ხალისიან ყმაწვილს, რამ ჩააჩუმა?“ [ონიანი, 1966:48].

ყურადღებას იმსახურებს იდიომატურ ფრაზეოლოგიზმთა ის ჯგუფი, რომელიც შეიცვას უცხოური წარმომავლობის სიტყვებს ან ასემანტიკურ ლექსემებს, რომელთა მნიშვნელობაც, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულისა, სინქრონიში გაუგებარია და არც სათანადო ლექსიკონებშია დამოწმებული: **გულის მურაზი** - „ეს შენს გულის მურაზს გაუმარჯოს!“ [ონიანი, 1966:45]; **გულბაათი**-„მომიბრუნდა ჩვენი ლავრენტი არდაზიანი და მეუბნება: კაცო, რა შენი საქმეა ქართველობა, მერე მაგასთან, ევროპიელთანო? არა, რა გულბაათი შენა ხარ, რომ ალავერდს მიდიხარო?“[სახოკია,1970:105]; **გულხმიერი**-„პირველ ამაოდ მიდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად, მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დახვდეს გულხმიერად“ [სახოკია, 1970:124]; **გულმა**

რეჩხი უყო–„ალშიბაია მიუხვდა ტატამ მარშანას, **გულმა რეჩხი უყო**, მაგრამ ამის მიუხედავად კვლავინდებურის ქალაჩუნობით კვლავ შესთავაზა თამადობა“ [ონიანი, 1966:49].

ხშირად იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებში ემოციურობის მოდუსისა და ექსპრესიულობის გამოხატვის ეფექტურ საშუალებად გვევლინება სხვადასხვა მხატვრული ხერხის გამოყენება. მაგალითად, ჰიპერბოლიზაცია, როდესაც ესა თუ ის განცდა განსხვავებული გრადაციითაა გამოხატული: **გულზე კბენა**–„მაშინ მე ეს არ მესმოდა, რასაკვირველია, მაგრამ **გულზე**–კი რაღაც უნებურად **მკბენდა** და მეჯავრებოდა „ქორობია“.[ონიანი, 1966:29]; **გულზე გველის კბენა**–„იგი თანდათან ჩამოშორდა მეუღლეს, სიყვარული გახუნდა მათ შორის და მიჰკნა, დედოფალს **გველმა უკბინა გულზე**“ [ონიანი, 1966:28]; **გულზე ლოდის დაწოლა**–„მას აქეთ დააწვა რაღაც **ლოდი გულზედ** და ვედარ აუხსნია“ [ონიანი, 1966:29]; **გულზე მძიმე ლოდის დაწოლა** - „აშკარად ჩანდა, რომ (მზადვეს) რაღაცა **მძიმე ლოდი აწვა გულზე**“ [ონიანი, 1966:29]; **გულში ცეცხლის ტრიალი**–„კარგი, ბებერო, დაწყნარდი, ჭკვიანი ადამიანი ხარ და ვერ მიმხვდარხარ, რა **ცეცხლი ტრიალებს** ჩემ **გულში**“ [ონიანი, 1966:54]; **გულში ჯოჯოხეთის ცეცხლის ტრიალი** –„ადამიანის სახე აღარ ედო, თვალები დაეხუჭა, თავი ჩაექინდრა და **გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი უტრიალებდა**“ [ონიანი, 1966:54].

გარკვეულ შემთხვევებში ექსპრესიის გამამლიერებლად გვევლინება ტავტოლოგიაც, რაც უთუოდ ამდაფრებს შთაბეჭდილებას: **გულის დადება გულის ადგილას**–„ესტატეს ოჯახმა **გული გულის ალაგას დაიდო...**“ [სახოკია, 1970:112]; **გულის გული**–„აზომ რომე გაგათრივე შენ, ვაზირი **გულის გული**“ [სახოკია, 1970:112]; **საგულისგულო**–„**საგულისგულო** უნდა ჩალაგდეს (მზითვად!)“ [სახოკია, 1970:531]; **გული საგულეს აქვს**–„ამგვარი სიტყვებით დაიმედებულს **გული საგულეს მქონდა** და უშიშარიც ვიყავი“ [ონიანი, 1966:32].

მოულოდნელი სიტყვათშეთანხმება - ოქსიმორონი ხელს უწყობს ფრაზის იდიომატურ ფრაზეოლოგიზმად ქცევას და ზრდის ზემოქმედების ეფექტს მკითხველსა თუ მსმენელზე. ამის მაგალითებიც მრავლად მოიპოვება: **გულის მოფხანა** –„მან (რამაზის კაცმა) მითხრა მოციქულობა **გულისა მოსაფხანია**“ [სახოკია, 1970:115]; **გულიდან ამოხოცვა**–„არ შემიდლიან ერთის მათგანის განწირვა, იმათი **გულიდამ ამოხოცვა**“ [სახოკია, 1970:109]; **გულის დასეტყვა**–„ჰიპოხონდრიით სნეული მამის პატრონობამ და დარდმა, ახალგაზრდა თარაშის **გულიც დასეტყვა**“ [ონიანი, 1966:42]; **გულის დაკოდვა** –„ლამაზო პირიმზევ, როგორ შორსა ხარ ჩემზედ, მაგრამ მაინც როგორ **მიკოდავ გულსა!**“ [ონიანი, 1966:41]; **გულის ხმა** –„ამ შავი მტრედების ღულუნით ამცნობდა სამყაროს თავის **გულის ხმას** ზევსი“ [ონიანი, 1966:49]; **გულის გაპარვა**–„ეს სამწუხარო ამბავი რომ მითხრეს, **გული გამეპარა**“ [ონიანი, 1966:39]; **გულის გაკეთება**–„ეს ორი ოჯახი იყო, რომ მამხნევებდა, ხელს მიწყობდა და **გულს მიკეთებდა**“ [ონიანი, 1966:38]; **გულის**

კოვზი-„კურკის ოდენა გავხდი გულის კოვზში მოვთავსდებოდი“ [ამირეჯიბი,1979:524]; გულის გამონასკვა-„(მახარეს) გული გამოენასკვა და თვალთ წამოჟონა“ [ონიანი,1966:38]; გულის გადაშლა-„არ ვიცი რად და ჩემი გული კი იწევდა, რომ შენ წინ გადაშლილიყო“ [ონიანი, 1966:37].

იშვიათად გვხვდება იდიომატური ფრაზეოლოგიზმი ორმაგი სომატიზმით წარმოდგენილი. ასეთი ფრაზეოლოგიზმები იმითაცაა სხვათაგან გამორჩეული, რომ ზოგჯერ სომატური კომპონენტების შესაერთებლად გამოყენებულია კავშირი, რომელიც ფრაზეოლოგიზმში ყველა სხვა მეტყველების ნაწილთან შედარებით იშვიათად გვხვდება: თვალისა და გულის თან გაყოლა-„წავიდა მეფე, თან გაჰყვა მასპინძლების თვალი და გული“ [სახოკია, 1970:258]; „ნეტავი ვის ქონდა რკინის გული და ორი თავი?“ [ამირეჯიბი, 1979:388]; გული ყელში სწრია-„შეჰხედეთ უხეირო მოხელესა ან გზირს, როგორ გული ყელში ჰწრიათ და დიდობენ“ [ონიანი, 1966:32]; გული ხელთ არა აქვს-„არ ვიცი რა ვქნა? გული ხელთ აღარა მაქვს იმის მაყურებელსა“ [ონიანი, 1966:32]; გულში ჩაბრუნება თვალისა-„...ისეთი რამ არ მოუვლინოს, რომ კაცს თვალეები ძალაუნებურად გულში არ ჩაუბრუნოს თავის-თავის განსაკითხავად“ [სახოკია, 1970:122]; გულში ხელის ჩაკვრა-„ადგა და ჩუმად გავიდა (ქისტი), თითზე იკბინა მწარედა, სამჯერ ჩაიკრა გულს ხელი, როცა გავიდა გარედა“ [სახოკია,1970:123]; გულმა ყბა გააღო-„გაუხარდა ნატრითვალას, სიხარულით გულმა ყბა გააღო“ [სახოკია, 1970:118].

ასევე იშვიათად გვხვდება ფრაზეოლოგიზმში ამა თუ იმ ნაწილაკის გამოყენება, რაც მნიშვნელობას უცვლის მას: გული ხელთ არა აქვს-„არ ვიცი, რა ვქნა? გული ხელთ აღარა მაქვს იმის მაყურებელსა“ [ონიანი, 1966:32]; გულზე არ ახატია-„თავადიშვილს მე არასოდეს გულზე არ ვებატე, მამის შვილი არაა?“ [ონიანი, 1966:28].

არის შემთხვევები, როცა ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობის შემცვლელად ზმნისწინი გვევლინება. როგორც ჩანს, ზმნისწინს ეს თვისება - მნიშვნელობა შეუცვალოს ზმნას,- არც ფრაზეოლოგიზმში აქვს დაკარგული. უფრო მეტიც, მნიშვნელობა მხოლოდ ზმნას კი არა, მთელ ფრაზეოლოგიზმს ეცვლება: გულის წასვლა-„სოსიკა-ბიჭს გული წაუვიდა და გამტკნარებული გაიშლართა დაბლა“ [ონიანი, 1966:48]; გულის მოსვლა-„მართალია, ეწყინება. გული მოუვა. აი, მე ხომ კაცი ვარ, მეც გული მომივიდოდა“ [ონიანი,1966:44]; გული შესტკივა-„ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული?“ [ონიანი, 1966:32]; გულის ტკენა-„რა ჰგავა თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკინოს“ [სახოკია, 1970:115].

ყველა ზემოთ ნახსენები დეტალი მეტი განცდით მუხტავს ფრაზეოლოგიზმებს და ენის კოლორიტს მძაფრად შეგვაგრძნობინებს, ამითაა მნიშვნელოვანი ყურადღების გამახვილება მათზე.

ფრაზეოლოგიზმებში მკაფიოდ ჩანს ბიბლიურ თხზულებათა ანარეკლი. ეს ცალკე მსჯელობის თემაა. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ რელიგიურ ტერმინთა გამოყენება სომატურ ფრაზეოლოგიზმებს განსაკუთრებულ ექსპრესიულობას სძენს: **გულში ეშმაკის შეშვება**- „რაკი ერთი **გულში ეშმაკი შეუშვეს**, მერე სულ იმას ცდილობდნენ, როგორმე ძმების პირში ჩაეგდოთ ქვრივი“ [სახოკია, 1970:121]; **გულზე ხატის დასვენება**-„საქართველოს ისტორია სახარებად გაიხადა, „სამშობლოს განთავისუფლების“ კულტი **გულზე ხატად დაისვენა**“ [ონიანი, 1966:30]; **გულში ჯოჯოხეთის ცეცხლის ტრიალი**-„ადამიანის სახე აღარ ედო, თვალები დაეხუჭა, თავი ჩაექინდრა და **გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი უტრიალებდა**“ [ონიანი, 1966:54].

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებს შორის შეიძლება გამოვყოთ ერთმანეთისგან სტილისტურად განსხვავებული ველები. შეიძლება გამოვყოთ წიგნიერი სტილის და სასაუბრო - ყოფითი სტილის ფრაზეოლოგიზმები. როგორც ერთ, ისე მეორე სტილის ფრაზეოლოგიზმებში ისინი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კონოტაციის შლეიფით წარმოდგენილი შეიძლება შეგვხვდეს, წიგნიერი სტილის ფრაზეოლოგიზმები:

გულზე ხატად დასვენება-„საქართველოს ისტორია სახარებად გაიხადა, „სამშობლოს განთავისუფლების“ კულტი **გულზე ხატად დაისვენა**“ [ონიანი, 1966:30]; **გულზე ვარდის დასვენება**-„ეთერსაც იმის დანახვაზე **გულს ვარდი** გადაეფინა და ისეთის სიამოვნებით მიიღო ახალგაზრდა, თითქო სწორედ იმას ელოდაო“ [ონიანი, 1966:28]; **გულში ნათელის ჩადგომა**-„ქორაფი იცნო ისევ მტრედმა... მტრედს **გულში ნათელი ჩაუდგა**“ [ონიანი, 1966:51]; **გულზე გველმა უკბინა**-„დედოფალს **გველმა უკბინა გულზე**“ [ონიანი, 1966:28]; **გულზე ლოდის დაწოლა**-„მას აქეთ **დააწვა** რაღაც **ლოდი გულზედ** და ვეღარ აუხსნია“ [ონიანი, 1966:29]; **გულში ჩამარხვა**-„აქ უსიტყვოდ უნდა იტანჯო, რაც დაგემართება, **გულში უნდა ჩამარხო**“ [ონიანი, 1966:52].

სასაუბრო - ყოფითი სტილის ფრაზეოლოგიზმები: **გულში ჩაკენჭება**-„...ლადოს სიტყვები მას სულის სიღრმეში ჩასწვდა და თუმცა ზოგი რამ ვერც კი გაიგო, მაგრამ არსებითს ჩახვდა და **გულში ჩაკენჭა**“ [ონიანი, 1966:52]; **გულზე ჩქმეტა**-„...ექვებმა ძალიან დამაბნია, ბევრს უმართებულოდაც ვფიქრობ, ალბათ, მაგრამ დასწყევლოს ღმერთმა, რაღაც **გულს** მაინც **ჩქმეტავს**“ [ონიანი, 1966:52]; **გულში ჩაჭედვა**-„...ვინ იქნება ისეთი უბირი, ბრიყვი და გულწამხდარი, რომ სიყვარულითა და სიხარულით ხელი არ მიაშველოს ამის მთქმელსა და თქმული მისი არ **ჩაიჭედოს გულში**“ [ონიანი, 1966:53]; **გულიდან ამოფხეკა**-„ამოფხიკე **გულიდან** მაგ აზრი და ვიცხოვროთ, როგორც აქამდე ვყოფილვართ“ [ონიანი, 1966:33]; **გულის მოლოკვა**-„...ზაალს ცალკე ვნახავ, **გულს მოვულოკავ** და საკალმასოდ უწინდელივით კაცს გამოვაცოლებინებ“ [ონიანი, 1966:44]; **გულის გაწყალება**-„ეს სიმშვიდე, ეს გულში შეკავებული,

გამოუჩენებელი მწუხარება ნინოსი უფრო გულს უწყალებდა სონიას“ [ონიანი, 1966:40]; გულს ასკდება-...ვარ ასე და ვასკდება ჩემს გულს... უნდა ვიმწუხრო“ [ონიანი, 1966:49].

შეიძლება ცალკე გამოვყოთ ერთგვარი ირონიული სტილის მქონე ფრაზეოლოგიზმები:

გული შეუგორდა -„თეკლე ვნახე თუ არა, მასზე გული შემეგორდა“ [სახოკია,1970:118]; **გულის ათამაშება**-„ბევრს აუთამაშა გული მთავრის ასულის აღთქმამ“ [ონიანი,1966:34]; **გულზე გახეთქვა**-„...მოციქულებს უგზავნის და აბრაზებს, გულზე ხეთქავს თავის სისხლხორცს“ [ონიანი,1966:28]; **გულის აღრენა**-„ოქრუას სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლება რომ შეიტყო ბაგრატამ, მეტად აღდრინდა გული“ [ონიანი,1966:36]; **გულის აფანცქალება**-„არჩილმა აცადა; გული კი აუფანცქალდა, ვინ იცის, რა უფრო ენატრებოდა“ [ონიანი, 1966:35]; **გულის აცუნცრუკება**-„ოცი წლის ჭაბუკი ხომ არა ვარ, სიყვარულით გული ამიცუნცრუკდეს!“ [ონიანი, 1966:36].

იდიომატური ფრაზეოლოგიზმის შინაგანი ექსპრესიულობა მასში არსებული მეტაფორული ხატოვანებით არის განპირობებული. ამ შემთხვევაში, არსებული სინამდვილე ხალხის ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზეა შეფასებული და გააზრებული. ამ თვალსაზრისით ბევრი ფრაზეოლოგიზმი მეტაფორადაა ნაქცევი. ამის მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ:

გულზე ნისლის შემოწოლა-„დაუკარ, ჩემო ჩონგურო... გულს ნისლი შამომწოლია“ [სახოკია,1970:107]; **გულიდან ლოდის აცლა (ან მოშორება)**-„იფ, მოსევ, ძლივს გულიდამ ლოდი არ აიცალე!“ [სახოკია,1970:109]; **გულზე ქონის მოკვრა**-„გაირმებული ვირი დასეირნობდა მთასა და ბარს თავისუფლად. ვირმა გულზე ქონიმოკრა“ [სახოკია,1970:107]; **გულის გადმოვარდნა ბუდიდან**-„...იმათი გულები ერთმანეთის სიახლოვის გამო ბუდიდან აპირებდნენ გადმოვარდნას“ [სახოკია,1970:111]; **გულზე ცეცხლის მოკიდება**-„ვასილი რომ მოიგონებდა...თუ რანაირად მის მამა-პაპას ჩამოართვეს მამულები და სხვას მიჰკერძეს, ცეცხლი მოკიდებოდა გულზე“ [სახოკია,1970:107]; **გულის ფიცარზე დაწერა**-„(ის) შენს სიკეთეს თავის გულის ფიცარზედა სწერს“ [სახოკია,1970:115]; **გული ბუდეს დაიდვა**-„სხვაგან, თუ ასაფრენზე იყო ხოლმე გარსევანი ცოტახნობით და ხელის დაქნევას ელოდებოდა, N-ის ნაწილში გული ბუდეს დაიდვა“ [სახოკია,1970:108]; **გულმა ყბა გააღო**-„გაუხარდა ნატრითვალას, სიხარულით გულმა ყბა გააღო“ [სახოკია,1970:118]; **გულიდან კლიტე აჰგლიჯეს**-„ვერ დაასრულა (გიორგიმ) სათქმელი, სიტყვა შეეკრა, თითქო ელდა ეცაო, რომ გულიდამ კლიტე აჰგლიჯეს, კარი გაუღეს და შიგ ჩაჰხედეს“ [სახოკია, 1970:109]; **გულში ისრის გაყრა**-„ამ ყმაწვილს ასეთი ისარი გაჰყროდა გულში, რომ იმისი სიმწარე ყველას დაავიწყებდა...“ [სახოკია,1970:121]; **გულში ნათელი ჩაუდგა**-„ტრედს გულში ნათელი ჩაუდგა. იმან დაინახა თავისი საყვარელი წყაროც“ [სახოკია,1970:121].

დავასკვნით, იდიომატურ ფრაზეოლოგიზმთა მხოლოდ ერთი, კონკრეტული, ვიწრო ჯგუფის განხილვა ნათლად ასახავს მათ ლექსიკურ-სტილისტურ თავისებურებათა სიმრავლეს. ეს გვადლევს იმის თქმის საშუალებას, რომ იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებში აღბეჭდილია ჩვენი ენის შინაგანი სიმდიდრე და შთამბეჭდავადაა გამოვლენილი მათი შესაძლებლობები, მათი მონაწილეობით მეტყველება კიდევ უფრო ტევადი და დახვეწილი ხდება. ვფიქრობთ, სხვა სახის სომატურ ფრაზეოლოგიზმთა შემდგომი განხილვა კიდევ მეტ საინტერესო თავისებურებას გამოავლენს.

ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი ჯ., - „დათა თუთაშხია“, თბ., 1979.
2. ენათმეცნიერების საკითხები, N 1. თბ., 1999. ა. ონიანი, ფრაზეოლოგიზმი - სიტყვა-შესიტყვება.
3. ენათმეცნიერების საკითხები, N 1. თბ., 1999. რ. ამირეჯიბი, „სიკვდილის“ სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში.
4. თაყაიშვილი ა., - ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები 1961.
5. ინჯია თ., - იდიომებისა და იდიომატური თქმების ისტორიისათვის XIX – XX საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენაში, თსუ-ის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა XXX სამეცნიერო კონფერენცია.
5. ონიანი ალ., - ქართული იდიომები - თბ., 1968.
6. ორბელიანი სულხან-საბა,- ლექსიკონი ქართული, I თბ. 1991.
7. საენათმეცნიერო ძიებანი თბ. 1983. შ. აფრიდონიძე, იდიომი და იდიომურობა.
8. სახოკია თ., - ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

Manana Kakauridze

Gori, Georgia

e-mail: kakauridzemanana@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.06>

SJIF 2024: 8.268

Some lexical-stylistic peculiarities of somatic-idiomatic phraseology containing

the word “Heart” in Georgian

Abstract

Idiomatic phraseology is considered one of the means of enriching the lexical stock of the language. It increases the power of artistic - aesthetic impact and adds vitality to the language. Here is shown imagination, emotion culture, spirituality, original vision and perception of the world. Because of all this, they gain special weight in the language.

The subject of our interest is phraseology expressing feelings and emotions containing somatisms, among which idiomatic phraseology containing the root “heart” is especially productive. Along with their unifying, common sign, a number of distinguishing features were found: the idiomatic phraseology included in this group can be associated with the expression of opposite connotations. One set of them both in form and content has remained unchanged for centuries, while some of them have faded in meaning and are no longer used at all. Some phraseology containing the root “heart” has lost its former expressiveness due to frequent use. Different literary-artistic methods are used in the phrases of the same group. For example: hyperbolization, gradation tautology, oxymoron, which leads to various literary reminiscences, and in some of them, the use of religious terms or metaphorical imagery becomes the determinant of their expressive intensification.

The nature of the language, to some extent, is determined by the worldview of the nation. Idioms and phraseology describe the world perceived by people figuratively, that is why the inner richness of our language is captured in them and its possibilities are impressively revealed. With their participation, the speech becomes even more interesting, capacious and sophisticated. We think, that the further research of somatic phraseology will reveal even more peculiarities.

რეცენზენტი: პროფესორი მარინა ქაცარავა

ენათმეცნიერება Linguistic

ენა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი

სალომე ლაღაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: baia_7@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.07>

SJIF 2024: 8.268

წარმატებული კომუნიკაციის დამყარების უმთავრესი საშუალებაა ენა. მისი სწორად ათვისება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის განვითარების პროცესში. ენა განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც მხოლოდ ადამიანებისათვისაა დამახასიათებელი. მისი უმთავრესი ფუნქციაა კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური გზით ხელშეწყობა.

ადამიანი, სოციალური არსებაა. შესაბამისად, სოციალური კომუნიკაციის დამყარება ადამიანის ერთერთ საბაზისო მოთხოვნილებაა. წარმატებული კომუნიკაციის დამყარების უმთავრესი იარაღი კი ენაა. ენა არის იდეების გამოხატვა, სამეტყველო ბგერებით წარმოთქმული სიტყვების საშუალებით. სიტყვები ერთიანდებიან წინადადებებში. სწორედ, ამ წინადადებებით გარდაიქმნება იდეები ფიქრებად და შემდეგ გამოიხატება. ენა არის სოციალური ფენომენი, რომელიც წარმოადგენს წესებისა და ნორმების ერთობლიობას, რომელთა გამოყენებითაც დგება სიტყვები და წინადადებები. ენა არის სიმბოლოთა სისტემა, ხოლო მეტყველება ამ სისტემის რეალიზება. მეტყველება ურთიერთობის პროცესია, ხოლო ენა საშუალება.

კომუნიკაციის პროცესში, ვერბალური კომუნიკაციის პარალელურად არანაკლებ მნიშვნელოვანია პარალინგვისტური ნიშნების ამოცნობა, როგორცაა სახის გამომეტყველება, ჟესტიკულაცია, სხეულის პოზა, დისტანცია მოსაუბრესა და მსმენელს შორის, ინტონაცია, ხმის ტონი და ა.შ. პარალინგვისტური ნიშნები მსმენელს ინფორმაციის უკეთ გაგებაში ეხმარება და მოიხსენიება, როგორც არავერბალური კომუნიკაციის მახასიათებლები.

კომუნიკაციის პროცესი ყოველთვის სოციალურია, რადგან მოსაუბრის გარდა, აუციებლად მსმენელს მოიცავს და ხორციელდება როგორც ვერბალურად, ასევე, არავერბალურად.

ინტერნეტის დამკვირვებამ კიდევ უფრო დააჩქარა ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე. თანამედროვე ტექნოლოგიები საზღვრებს შლის, როგორც საზოგადოების შიგნით არსებულ ცალკეულ ფენებს შორის, ასევე, ქვეყნებს შორისაც. ადრე ადამიანები სხვადასხვა საშუალებით

ცდილობდნენ სხვებისათვის ხმა მიეწვდინათ და გარკვეული ინფორმაცია მიეწოდებინათ. დღეს, შეიცვალა ამ ინფორმაციის მიწოდების საშუალებები, თუმცა მიზანი უცვლელია, ინფორმაციის გადაცემა ნებისმიერ დროსა და სივრცეში.

მასობრივი კომუნიკაცია ეს არის პროცესი, როცა პროფესიონალი კომუნიკატორები ქმნიან და იყენებენ მედიას გზავნილების სწრაფად, უწყვეტ და მასშტაბურად გავრცელებისათვის, რათა დიდ აუდიტორიებში აღძრან ნაგულისხმევი მნიშვნელობები მათზე სხვადასხვა სახით ზემოქმედების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ენა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი, ორატორი

თანამედროვე მეცნიერებას მიაჩნია, რომ მასობრივ კომუნიკაციას განვითარების სხვადასხვა დონე გააჩნია და მათი იერარქიული განლაგება არის შესაძლებელი. ის განისაზღვრება, როგორც ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების პროცესი, ტექნიკურ საშუალების გამოყენებით. ყველაზე ვრცელი და ყოვლისმომცველი პროცესი მაშინ მიმდინარეობს, როცა მისი წარმოდგენა მთლიანად მსოფლიოს მასშტაბით შეგვიძლია, განსაკუთრებით ინტერნეტის არსებობის პირობებში. ასეთ, გლობალურ კომუნიკაციას მიეკუთვნება CNN, BBC და სხვა საერთაშორისო მედიასაშუალებები, რომლებიც მსოფლიოს ყველა წერტილიდან მოიპოვებენ ინფორმაციას და პლანეტის მასშტაბით ავრცელებენ.

უფრო დაბალ საფეხურზეა კომუნიკაცია საზოგადოების მასშტაბით, რომელიც მოიცავს კომუნიკაციას ერთ, რომელიმე საზოგადოებაში ან ქვეყანაში. ამის შემდეგ არის ინსტიტუციური კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს სოციალურ ინსტიტუციებს: პოლიტიკურ გაერთიანებებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს, კერძო ფირმებს ან ორგანიზაციებს და ა.შ.

ჯგუფთაშორისი კომუნიკაციის დროს, ადამიანებს რაიმე საერთო ინტერესი აერთიანებს, როგორცაა მეზობლობა, ბავშვების აღზრდა, ცხოველების სიყვარული, ხელოვნება, სოციალური პრობლემები და სხვა.

არსებობს შიდა ჯგუფური კომუნიკაციაც. ადამიანები ქმნიან ლოკალურ ასოციაციებს, სადაც მათთვის საინტერესო საქმანობას ეწევიან. ამგვარი გაერთიანება სოციალურ ინსტიტუტთან შედარებით უფრო ვიწრო კომუნიკაციით ხასიათდება. მაგალითად: ოჯახი, თვითშემოქმედებითი ან სპორტული წრე და სხვა.

ინტერპერსონალური (პიროვნებათაშორისი) კომუნიკაცია ნიშნავს პიროვნებათა შორის ურთიერთობას. მაგალითად: ლექტორისა და სტუდენტის, ორი მეგობრის, ცოლ-ქმრის და ა.შ.

და ბოლოს, მასობრივი კომუნიკაციის ერთ ერთი საშუალებაა ინტერპერსონალური ურთიერთობის დონეც, როდესაც ადამიანი თვითონ ჰქნის ინფორმაციას ანუ ფიქრობს, კითხულობს, წერს, ხატავს და ა.შ.

პირველი დონე (გლობალური კომუნიკაცია), მოიცავს ყველა დანარჩენს, მეორე მის ქვემოთ მდებარეობს და ა.შ. ამასთანავე, ყოველ მომდევნო დონეს შორის ორმხრივი კავშირი

ხორციელდება. რეალურად, არც ერთი დონე არ შეიძლება არსებობდეს სხვა დონეებისაგან იზოლირებულად. ეს დონეები შეიძლება ამგვარად წარმოჩინდეს:

1. გლობალური (მსოფლიოს მასშტაბით გლობალური კომუნიკაცია);
2. საზოგადოების მასშტაბით;
3. ინსტიტუციური;
4. ჯგუფთაშორისი;
5. შიდა ჯგუფური;
6. ინტერპერსონალური (პიროვნებათაშორისი);
7. ინტერპერსონალური (შიდა პიროვნული [მასობრივი კომუნიკაციის თეორიის შესავალი, 2003].

კომუნიკაციური პროცესის თითოეულ დონეს თავისი სპეციფიკა აქვს. პირველი და მეორე დონე საჭიროებს კომუნიკაციის ხელოვნურ არსებობას (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი) გამოყენებას. ინსტიტუციური კომუნიკაცია ხორციელდება სატელეფონო, რადიოკავშირის ან ფოსტის საშუალებით. ჯგუფთაშორისი კომუნიკაცია ხორციელდება პირადი შეხვედრების, მიმოწერის ან სატელეფონო კავშირის საშუალებით. შიდა ჯგუფური კომუნიკაციისას მნიშვნელოვანია ერთმანეთის სიახლოვე, ურთიერთ გავლენის ხარისხი. ინტერპერსონალური კომუნიკაცია კი განპირობებულია შემდეგი თვისებებით: ყურადღების უნარი, შემეცნება, გაგება, გახსენება, შეფასება და ა.შ. ამ თვისებების დახმარებით ადამიანი ქმნის „ინფორმაციულ ბანკს“ და სისტემატიურად ავსებს მას ახალი მონაცემებით [მასობრივი კომუნიკაციის თეორიის შესავალი, 2003].

ენა, როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალება გამოიყენება ინფორმაციის გადაცემისას. გამოიყოფა კომუნიკაციის ორი ფორმა: ინტერპერსონალური და მასობრივი.

კომუნიკაციის პროცესის მოდელირების პირველი ცდა არისტოტელეს ეკუთნის. „რიტორიკაში“ მან აღნიშნა, რომ „სიტყვა შედგება სამი ნაწილისაგან: მოლაპარაკე, ის რის შესახებაც ლაპარაკობს და ვისადმიც არის სიტყვა, რომელსაც ენის საშუალებით ვამყარებთ, მიმართული. ეს პროცესი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

ორატორი > შეტყობინება > აუდიტორია [მასობრივი კომუნიკაციის თეორიის შესავალი, 2003].

არისტოტელესთვის ეს იყო ერთმიმართულებიანი პროცესი, რომელშიც ორატორი ცდილობდა აუდიტორიაზე ზემოქმედების მოხდენას. დღეს ამ პროცესს, კიდევ ერთი კომპონენტი, არხი, დაემატა.

ორატორი > შეტყობინება > არხი > აუდიტორია [მასობრივი კომუნიკაციის თეორიის შესავალი, 2003].

არსებობს ენის, როგორც კომუნიკაციური ურთიერთობის სამი ეტაპი: 1. კომუნიკატორის მიერ შეტყობინებების ფორმირება; 2. აუდიტორიის მიერ ამ შეტყობინებების აღქმა;

3. აუდიტორიის, როგორც კომუნიკაციის პროცესში ჩართული პარტნიორის ანალიზი.

შვეიცარიელი ენთიმეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის თანახმად ენა „იდეათა გამომხატველი ნიშნების სისტემაა, მეტყველების სოციალური მომენტია და შედგება წესებისა და სტრუქტურების კოდექსისაგან, რომელსაც თითოეული ინდივიდი იმ საზოგადოებისაგან იღებს, რომელშიც ცხოვრობს, ისე, რომ ამ წესთა არც გამოგონება და არც შეცვლა არ შეუძლია“ [გოდუაძე, 2019].

ფერდინანდ დე სოსიურისთვის ენა არსებობდა, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობისათვის აუცილებელი და ადამიანის ფსიქიკაში არსებული საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, ამ საშუალების გამოყენება. ამდენად, მან ენა ენად და მეტყველებად გამოიწინა. დღეს ეს გარჩევა ენობრივ სისტემად და მის გამოყენებად მოიაზრება [გოდუაძე, 2019].

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ენა, როგორც სისტემა, არის ურთიერთობის ის საშუალება, რომელსაც ჩვენს ფსიქიკაში ვატარებთ და ამ სისტემის აქტუალიზაცია არის დისკურსი.

ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის განვითარებას ხელს უწყობს ორი პირობის არსებობა: ურთირთქმედება და ინფორმაცია. ენის კარგი ცოდნა, მეტყველების სწორად დაუფლების უმნიშვნელოვანესი პროცესია. როგორც წესი, ენა, მეტყველება და კომუნიკაცია მჭიდრო კავშირშია და ერთად განიხილება. კომუნიკაცია კი იმთავითვე მოიაზრებს არა მხოლოდ ვერბალურ, საუბრით გადმოცემას აზრის, იდეის, ურთიერთობის, საკუთარი განწყობის, არამედ ქესტებს, მიმიკას, წერილობით ენას [გოდუაძე, 2019].

ენა არის სიმბოლოების კოდირებული სისტემა, რომელიც შეტყობინების გადმოსაცემად გამოიყენება. ის არის სამყაროს შესახებ იდეების რეპრეზენტაციის საშუალება. მას აქვს კონვენციური ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული ენის გააზრება ხდება ამ ენაზე მოსაუბრე საზოგადოებაში. არა კონვენციური ენა მკვდარია. მაგალითად, ლათინური [ენის, მეტყველების და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია].

ენა არის სიტემა, რომელშიც არსებობს კოდების განლაგებისათვის საჭირო წესები და რეგულაციები. ენა გენერაციულია: მისი გამოყენებით ადამიანი მუდმივად ქმნის ახალ ნარატივს. ის დინამიკურია, რადგან დროთა განმავლობაში განიცდის ცვლილებას. ენებს, უნივერსალური, ყველასთვის საერთო მახასიათებლები აქვთ. ყველა ენაში არსებობს არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავი სახელები და რაც მთავარია, წესები [Rouse, 2020].

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ენის განმარტება ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „ენა გენერაციული და დინამიკური, უნივერსალური მახასიათებლების მქონე სიმბოლური სისტემაა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამყაროს შესახებ აზრების გამოხატვა, გაზიარება კომუნიკაციის პროცესში არბიტრული, მაგრამ კონვენციური სიმბოლოების გამოყენების გზით“ [ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია].

ეს განმარტება ბლუმისა და ლეის მიერ ჩამოყალიბებული ენის განმარტების ადაპტირებული ვარიანტია [ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია].

ენა, განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც მხოლოდ ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი.

ენის უმთავრესი ფუნქციაა კომუნიკაციის ხელშეწყობა. სოციოლინგვისტურმა და ფსიქოლინგვისტურმა კვლევებმა ცხადყო, რომ ამის გარდა ენას სხვა ფუნქციებიც გააჩნია. მაგალითად, ენა შეიძლება ასევე იყოს ეროვნული და ადგილობრივი იდენტობის მაჩვენებელი.

ლიტერატურა:

1. გოდუაძე მ., - მეტყველება და კომუნიკაცია - დარღვევათა ტიპები და მუშაობის სტრატეგიები (ნაწილი პირველი). [http:// mastsavlebeli.ge](http://mastsavlebeli.ge) ინტერნეტგაზეთი: 15.09.2019.
2. ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია. თბილისი, თსუ-გამომცემლობა. 2023. Tsu.ge <http://cisi.tsu.ge>. 8.05.2024
3. მასობრივი კომუნიკაციის თეორიის შესავალი. SCRIBD <http://www.scribd.com> 2003. 9.05.2024.
4. Manana Mikadze. (2022). Teaching the Georgian objects in a High School. lac [Internet]. 2022 Mar. 9 [cited 2024 Mar. 25]; Available from: <https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/801>
5. Rouse, M., H., - Neuroanatomy for Speech-Language Pathology and Audiology, second ed. 2020.

Salome Laghadze

Akaki Tsereteli State University

e-mail: baia_7@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.07>

SJIF 2024: 8.268

Language and mass communication media

Abstract

Language is the main means of successful communication. Its correct utilization plays an important role in the process of human development. Language is a special phenomenon that is unique to humans. Its main function is to facilitate verbal and non-verbal communication.

Man is a social being. Therefore, establishing social communication is one of the basic human needs. Language is the main tool for successful communication. Language is the expression of ideas through words uttered with speech sounds. Words are combined into sentences. It is through these sentences that ideas are transformed into thoughts and then expressed. Language is also a social phenomenon, which represents a set of rules and norms. Language is a system of symbols, and speech is

the realization of this system. Speech is a process of communication, and language is a means. In the process of communication along with verbal communication it is no less important to recognize paralinguistic signs, such as facial expressions, gestures, body posture, distance between the speaker and the listener, intonation, tone of voice, etc.

Modern technologies erase the boundaries, both between the individual layers within the society, and also between the countries. In the past, people tried to give voice and provide certain information to others through various means. Today, the means of providing the information have changed, but the goal remains the same, to transmit information at any time and space.

Mass communication is the process by which professional communicators create and use media to destiminate messages rapidly, continuously, and at scale in order to evoke implicit meanings in large audiences in order to impluence them in various ways.

Key words: language, means of mass communication, orator.

რეცენზენტი: პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი

ენათმეცნიერება Linguistic

ყრუთა თემი და სახელმწიფო ენა¹

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
email:tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.08>

SJIF 2024: 8.268

საქართველოში მცხოვრები ყრუთა თემი დაახლოებით 2500 ადამიანს აერთიანებს. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყრუები წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობას. ამ თემის წევრების საკომუნიკაციო ენა არის ქართული ჟესტური ენა, რომელიც არის დამოუკიდებელი ბუნებრივი ენა და არ გახლავთ ქართული სამეტყველო ენის კოპირებადი ვერსია.

სამწუხაროდ, ყრუთა განათლების საკითხები სერიოზულ სამუშაოს საჭიროებს და აქ გვაქვს დიდი ჩავარდნა, რაც პირდაპირ აისახება ამ თემის წევრების (განსაკუთრებით ახალგაზრდების) პირად ცხოვრებაზე, მათ კარიერულ და პროფესიულ პერსპექტივებზე. ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რაც ამ თემის წევრებს ძალიან აწუხებთ, არის ის, რომ ამ საზოგადოების წევრების დიდმა ნაწილმა კარგად არ იცის ან ძალიან ცუდად იცის სახელმწიფო ენა – ქართული სამეტყველო ენა. ქართული ენის სათანადო არცოდნის გამო ყრუები ერიდებიან წერილობით კომუნიკაციებს სოციალურ ქსელებშიც კი და ამჯობინებენ ისევ მხოლოდ ერთმანეთთან იქონიონ ურთიერთობა ქართულ ჟესტურ ენაზე.

წინამდებარე სტატიაში საუბარია ყრუთა თემისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის მეთოდებისა და აგრამატიზმის აღმოფხვრის ამოცანების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ყრუთა თემი, ლინგვისტური უმცირესობა, ჟესტური ენა.

საქართველოში მცხოვრები ყრუთა თემი დაახლოებით 2500 ადამიანს აერთიანებს. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყრუები წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობას. ამ

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-254. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია]

თემის წევრების საკომუნიკაციო ენა არის ქართული ქვესტური ენა, რომელიც არის დამოუკიდებელი ბუნებრივი ენა და არ გახლავთ ქართული სამეტყველო ენის კოპირებადი ვერსია. ამიტომაც ეს ენა არის საერთაშორისო ინტერესის საგანი. ეს არის ერთიანი ქართული ქვესტური ენა, რომელსაც აქვს ინდივიდუალური, ანუ კერძო გრამატიკული სისტემა.

რაც შეეხება ადგილობრივ ყრუთა თემს, სამწუხაროდ, ყრუთა განათლების საკითხები სერიოზულ სამუშაოს საჭიროებს და აქ გვაქვს სერიოზული ჩავარდნა, რაც პირდაპირ აისახება ამ თემის წევრების (განსაკუთრებით ახალგაზრდების) პირად ცხოვრებაზე, მათ კარიერულ და პროფესიულ პერსპექტივებზე. ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რაც ამ თემის წევრებს ძალიან აწუხებთ, არის ის, რომ ამ საზოგადოების წევრების დიდმა ნაწილმა კარგად არ იცის ან ძალიან ცუდად იცის სახელწიფო ენა – ქართული სამეტყველო ენა. ქართული ენის სათანადო არცოდნის გამო ყრუები ერიდებიან წერილობით კომუნიკაციებს სოციალურ ქსელებშიც კი და ამჯობინებენ ისევ მხოლოდ ერთმანეთთან იქონიონ ურთიერთობა ქართულ ქვესტურ ენაზე.

საშური საქმეა იმ ტიპის პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება ის, რომ საქართველოში მცხოვრებ ყრუთა თემს შეასწავლოს ქართული ენა და მისცეს საშუალება, რომ მოხდეს ამ თემის რეალური ინტეგრირება სამოქალაქო საზოგადოებაში. ამისათვის კი საჭიროა, რომ ქართულ ქვესტურ ენაზე მომზადდეს ქართული ენის ადაპტირებული სასწავლო მასალები. აქ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელი იქნება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის რეკომენდაციები და ქართული ენის განახლებული ნორმები.

ცხადია, პირველ ეტაპზე ვერ შეიქმნება ქართული ენის სასწავლებელი სრულყოფილი და ამომწურავი მასალა, რადგანაც ეს უფრო დიდი სამუშაოა და მეტი დრო და რესურსი სჭირდება ყრუთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოების გაკეთებას, რასაც ჩვენ ვგეგმავთ სამომავლოდ. საჭიროა ადგილობრივ ყრუთა აგრამატიზმთან დაკავშირებული ძირითადი საჭიროებების მოგვარება. კერძოდ, პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს ყრუთა თემში არსებული ქართული ენის წერილობითი კომუნიკაციისთვის დამახასიათებელი შედარებით გავრცელებული პრობლემების გამოვლენა. შემდეგ კი უნდა მოხდეს სწორედ ამ საკითხების დამუშავება და ქართულ ქვესტურ ენაზე ადაპტირებული თარგმანი. წინასწარი მონაცემებით, ცნობილია გარკვეული საკითხები, რაც ქმნის ყრუთა აგრამატიზმის ძირითად პრობლემებს. ეს არის ბრუნვათა სისტემა, ზმნური აქტანტების ფორმები, ზმნის სტრუქტურა, ერგატიული კონსტრუქცია და სხვ. უფრო მეტი სიზუსტისთვის, რა თქმა უნდა, საჭიროა აგრამატიზმის დეტალური საკითხების გამოვლენა უშუალოდ ყრუთა თემთან კონკრეტული სამუშაოების საფუძველზე.

ამ ტიპის მასალები განსაკუთრებით ღირებული და მნიშვნელოვანი იქნება ყრუთა სკოლებისათვის. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, დღემდე არ შექმნილა ყრუთათვის ხელმისაწვდომი რაიმენაირი ღირებული სასწავლო რესურსი სახელმწიფო ენის ასათვისებლად. დამუშავებული მასალები ასევე გამოდგება ყრუთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოების შესაქმნელად. ამრიგად, ყრუთა აგრამატიზმზე ჩატარებული სამუშაოების

ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი მნიშვნელოვანი რესურსი იქნება ყრუთა განათლების სისტემისათვისაც. ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი და გარკვეული თვალსაზრისით, გაზამკვევის როლს შეასრულებს ყრუთა განათლების სისტემაში, რამდენადაც საქართველოში ყრუთათვის განათლების მიღების ერთადერთი გზა არის ქართული სამეტყველო ენის წერილობითი ფორმატი.

ცხადია, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ ტიპის სამუშაოები სახელმწიფო ენას ხელმისაწვდომს გახდის ყრუთა თემისთვის საქართველოში. ჩვენს ქვეყანაში დღემდე ამ ტიპის პროექტი არ განხორციელებულა და ამიტომაც ადგილობრივი ყრუთა თემისთვის ენობრივი პრობლემა დღემდე სერიოზული ბარიერია სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში. რეალურად ხომ საუბარია იმაზე, რომ საქართველოში მცხოვრები გარკვეული უნარშეზღუდული თემი, კერძოდ, ყრუთა თემი ვერ ფლობს სათანადოდ სახელმწიფო ენას, რის გამოც ამ თემის წევრებს მრავალი სახის პირადი თუ საზოგადოებრივი პრობლემები ექმნებათ. ამ საკითხის გადაჭრა და ყრუთა თემში არსებული აგრამატიზმის დაძლევა რეალურად მძაფრი საჭიროებებითაა გამოწვეული.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის კვლევის მეთოდოლოგია უშუალოდ გამომდინარეობს კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან. წარმოდგენილი კვლევითი პროექტის მეთოდოლოგია არის შემდეგი სტრუქტურის: პირველ ეტაპზე ხდება მონაცემთა შეგროვება – ყრუთა ქართულენოვანი ჩანაწერების შეგროვება, შემდეგი ეტაპია ამ მასალათა გაანალიზება და ამ თემში არსებული აგრამატიზმის ძირითადი საკითხების გამოყოფა. მომდევნო ეტაპი მოიცავს სასწავლო საკითხების ადაპტირებულ დამუშავებას და ბოლო ეტაპი კი გულისხმობს ქართულ ქესტურ ენაზე სასწავლო მასალებისა და სათანადო ლინგვისტური რეკომენდაციების მომზადებას. ასევე საჭირო იქნება სახელმწიფო ენის შესწავლასთან დაკავშირებით შესაბამისი ტრენინგების ჩატარება ყრუთა თემში.

ლიტერატურა:

- მახარობლიძე თ. (2019) ქართული ქესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-18-331-7. 248გვ.
- მახარობლიძე თ. (2015) ქართული ქესტური ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ქესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USAID, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
- Jean Sachar Moog. 2008. CONTEMPORARY ISSUES IN COMMUNICATION SCIENCE AND DISORDERS • Volume 35: 133–142. Teaching Deaf Children to Talk. <https://pubs.asha.org/doi/pdf/10.1044/cicsd.35.F.133>
- Moog, J. S., Stein, K. S., Biedenstein, J. J., & Gustus, C. H. (2003). Teacher Assessment of Spoken Language. St. Louis, MO: Moog Center for Deaf Education.

➤ Nanitashvili, Ekaterine. (2023). "The History of Georgian Sign Language (GESL) Linguistics". *Language and Culture*, no. 29 (May 21, 2023). Accessed March 25, 2024. <https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/1740>

Tamar Makharoblidze

Ilia State University

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.08>

SJIF 2024: 8.268

Deaf community and State Language¹

The deaf community living in Georgia unites about 2500 people. Deaf people living on the territory of Georgia are a linguistic minority. The language communication for the members of this community is Georgian Sign Language (GESL), which is an independent natural language and is not a copyable version of the Georgian spoken language.

Unfortunately, the issues of deaf education need serious work, and here we have a big gap, which directly affects the personal life of members of this community (especially young people), their career and professional prospects. One of the big problems that the members of this Deaf community are very worried about is that a large part of the members of this community do not know well or very poorly know the state language – Georgian spoken language. Due to lack of adequate knowledge of the Georgian language, deaf people avoid written communications even in social networks and prefer to communicate only with each other in GESL.

The presented paper talks about the methods of learning the state language for the Deaf community members and the tasks of eliminating agrammatism.

Key words: deaf community, a linguistic minority, sign language.

რეცენზენტი: პროფესორი თამარ ლომთაძე

¹ This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) OFR-22-254. [The Georgian Sign language nominal morphology]

ენათმეცნიერება Linguistic

ალერსისა და მოფერების გამომხატველი ლექსიკა ოტია იოსელიანის
შემოქმედებაში

მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

manana.mikadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.3109>

SJIF 2024: 8.268

მოფერება-ალერსის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი ალერსი არის სიყვარულით, ნაზი გრძნობით მოპყრობა, მოფერება, ხოლო ის ვინც ალერსი იცის, ვისაც ალერსი სჩვევია, არის ალერსიანი (ქეგლი). სულხან-საბა ორბელიანთან ალერსი განმარტებულია, როგორც სიტყვით შექცევა (ორბელიანი 1993:23). ამ სემანტიკურ ველში განვიხილეთ ალერსი, ალერსიანი, ის ვინც ეალერსება და ვისაც ეალერსება; ალერსის გამომხატველი სიტყვები, რომლებიც მოფერება-ალერსის მნიშვნელობით გამოიყენება, პირფერი, პირფერობა, პირფერობს; აგრეთვე ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დასტურდება ამ სემანტიკურ ველში. ალერსი: ფერება, ფერობა, სიყვარულობა, ლამუნი, ლაციცი, ფოფინი, თათუნი, ცაცუნი, ღლაბუცი; ალერსიანი: მოალერსე, მომფერებელი, დამყვავებელი; საფერებელი, საფერაო, სალოლიავო; მოფერება-ალერსის გამომხატველი სინონიმები: პატარა, პაწაწა, პაწია, პაწაწინა, პაწაწკინა, პაწაწკინტელა, პაწაწ(კ)უნტელა, კიკნა, კიკნელა; ნამცეცა, ნალევა, ნაგალა, მოცუცქნული, პუჭურა, ბუჭურა, მინიატურული, მორჩილი, ცუცნა-კუცნა, ცუცუნა, თითის სიგრძე, თითისოდენა, თითისტოლა, ნეკისოდენა, ერთი ციდა, კრუხის პალო... საალერსო სიტყვებად ქართულ სინონიმთა ლექსიკონში წარმოდგენილია გენაცვალე! გენაცვა! დაგენაცვლე! შენი კვნესამე! კესანე! გეთაყვა! თავს შემოგევლე, (შენ) შემოგევლე, შენი ჭირიმე! შენი სულის ჭირიმე! შენი სატკივარი მე! თავს შემოგევლე! შენ შემოგევლე! შენი კუჭისა! მიტირე, მტლად დაგედე, ჭირი მოგჭამე, ჭირი მოგპარე, დედაშვილობამ და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: ალერსი, მოფერება, სინონიმური ველი

მოფერება-ალერსის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი ალერსი არის სიყვარულით, ნაზი გრძნობით მოპყრობა, მოფერება, ხოლო ის ვინც ალერსი იცის, ვისაც ალერსი სჩვევია, არის

ალერსიანი (ქეგლი). სულხან-საბა ორბელიანთან ალერსი განმარტებულია, როგორც სიტყვით შექცევა (ორბელიანი 1993:23). ამ სემანტიკურ ველში განვიხილეთ ალერსი, ალერსიანი, ის ვინც ეალერსება და ვისაც ეალერსება; ალერსის გამომხატველი სიტყვები, რომლებიც მოფერება-ალერსის მნიშვნელობით გამოიყენება, პირფერი, პირფერობა, პირფერობს; აგრეთვე ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დასტურდება ამ სემანტიკურ ველში. ალერსი: ფერება, ფერობა, სიყვარულობა, ლამუნი, ლაციცი, ფოფინი, თათუნი, ცაცუნი, ღლაბუცი; ალერსიანი: მოალერსე, მომფერებელი, დამყვავებელი; საფერებელი, საფერაო, სალოლიავო; მოფერება-ალერსის გამომხატველი სინონიმები: პატარა, პაწაწა, პაწია, პაწაწინა, პაწაწკინა, პაწაწკინტელა, პაწაწ(კ)უნტელა, კიკნა, კიკნელა; ნამცეცა, ნალევა, ნაგალა, მოცუცქნული, პუჭურა, ბუჭულა, მინიატურული, მორჩილი, ცუცნა-კუკნა, ცუცუნა, თითის სიგრძე, თითისოდენა, თითისტოლა, ნეკისოდენა, ერთი ციდა, კრუხის პალო... საალერსო სიტყვებად ქართულ სინონიმთა ლექსიკონში წარმოდგენილია გენაცვალე! გენაცვა! დაგენაცვლე! შენი კვნესამე! კესანე! გეთაყვა! თავს შემოგველე, (შენ) შემოგველე, შენი ჭირიმე! შენი სულის ჭირიმე! შენი სატკივარი მე! თავს შემოგველე! შენ შემოგველე! შენი კუჭისა! მიტირე, მტლად დაგედე, ჭირი მოგჭამე, ჭირი მოგპარე, დედაშვილობამ და ა.შ. გენაცვალე - ქართულ ენაში ალერსის დროს ყველაზე ხშირად გამოიყენება, რომლის საშუალებითაც მთქმელი გამოხატავს სურვილს „მის სანაცვლოდ იყოს“, ე.ი. მიმართვის ფორმით გამოხატულია სურვილი, გაიზიაროს ადრესატის ჭირი. თავს შემოგველე, შენ შემოგველე - „ეს გამოთქმა წარმოიშვა შემდეგი ადათიდან: ძველად თუ ვინმე ავად გახდებოდა და ოჯახის წევრებს ეგონათ, რომ მოკვდებოდა, ავადმყოფის სიკვდილისაგან დასახსნელად ოჯახის წევრები თავს ევლებოდნენ, რომ ავადმყოფის მაგიერ თვითონ შეგებებოდნენ სიკვდილს და თვითონ კი სწირავდნენ (წირვას აღავლენდნენ) ავადმყოფის გასაგონად (გრიშაშვილი ი. 1997:304). ჭირიმე - გამოთქმა, რომელიც იხმარება ალერსით, სიყვარულით მიმართვისას, შედგენილია სიტყვებისაგან ჭირი და მე, მნიშვნელობით იგივეა, რაც შენი (თქვენი) ჭირიმე. ჭირიმე! - გამოთქმა იხმარება, როდესაც აღტაცებული არიან ვისიმე ვაჟკაცური მოქცევით (ქეგლი). საალერსო მიმართვებია - შენი კვნესამე; კესანე. ამ სიტყვა-ფორმების სემანტიკაც იგივეა, რაც შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, რომლითაც მთქმელი გამოხატავს საყვარელი ადამიანის ჭირის გაზიარების სურვილს. კესანე - პატარა, ცისფერყვავილებიანი, ლამაზი მცენარეა. ყვავილთან დაკავშირებით არსებობს თქმულება, რომლის მიხედვითაც ყველა მცენარეს შემოქმედმა თავისი სახელი უწოდა. მათ შორის ერთი პაწაწინა მთის ყვავილი, რომელიც უსახელოდ იყო - ატირდა. ყვავილმა თქვა: „არ დამივიწყო უფალო“... ზუსტად მაშინ უფალმა მიუგო: „სწორედ ეგ იქნება შენი სახელი“, ანუ კესანე. ამის შემდეგ მას მსოფლიოს ყველა ენაზე „არ დამივიწყო“ ჰქვია... ჩვენთვის კი უბრალოდ კესანე... (<http://intermedia.ge/> სტატია/74879). ამ პატარა, ლამაზ ყვავილს ლექსი მიუძღვნა ქართველმა მწერალმა გიორგი ლეონიძემ. ალერსის გამომხატველ სინონიმებში ერთ-ერთ კომპონენტად გამოიყენება პირის ნაცვალსახელები. მეორე პირის მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები და პირველი

პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი, რომელიც ქმნის კომბინაციებს გასუბსტანტივებულ ზედსართავსა და არსებით სახელთან: შენ შემოგველე, შენი (თქვენი) ჭირიმე, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, ჩემო ყველავე, ჩემო სულისდგმავ, ჩემო საყვარელო... ყველა სააღერსო ფორმას ერთი სემანტიკა აქვს, ისინი მიმართვის ობიექტის ჭირის გაზიარების, მის ადგილზე ყოფნის, მისი ავადმყოფობის მორჩენის სურვილს გამოხატავენ.

აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულებს მწერალი ოტია იოსელიანი მეტ-ნაკლები ოდენობით გამოიყენებს თავის ძალიან მრავალმხრივ შემოქმედებაში, მაგალითებს წარმოვადგენთ:

პირფერობა - იგი ახლა ღალატით, გაიძვერობით, ორგულობითა და **პირფერობით** ისე იყო აღვსილი ...(ქალი გამოვიდა საღალატოდ, 391,17)

პირფერულად - ბარდლა: (**პირფერულად**) აქ უცხო ვინმე რომ იყოს, მართალი ეგონებოდა (გამოქვაბული, IV-4, 335, 18).

პატარა - „რა **პატარა** ხარ, ჩემო სამშობლოვ, და რამოდენა მსხვერპლს მოითხოვ“!.. (ჩემი თეატრი, 381, 28); გადაურჩინოს წარსული, ტკბილ-მწარე ბავშვობა – **პატარა** მაკა (იყო ერთი ქალი, 335, 2);

თითისტოლა - მოდი, ასე ვიზამ: ჯაყვით, საზამთროს პატარა, ნეკა **თითისტოლა** ოთხკუთხედ საცობებს ამოვჭრი, თუ გამოდგა, მოვკრეფ, თუ არა და, ისევ დავუცვამ (ნესვი და საზამთრო, 97, 23); ამოდენა ტვირთს სოფლიდან სოფლამდე **თითისტოლა** ბალდი კი არა, მოწიფული ვერ შეძლებსო (ნესვი და საზამთრო, 98, 28);

ცუცნა - ეს ერთი **ცუცნა** ქალი, ისე რავა წავხდები, ვერ გზიდი... ((შავი და ცისფერი მდინარე, I, 634,17).

ციდა - ყველაფერი ყველაფერი, ყველასაგან მოველოდი, მაგრამ ამ ერთმა **ციდა** გოგომ რავა მიქნა ეს!.. (აკაციის ყვავილობა, 120, 18); მოუხვეველ ვაზს **ციდა** ყლორტები ჰქონდა წაყრილი (შავი და ცისფერი მდინარე, I, 77,33);

ჭირიმე - მატა, მატას **ჭირიმე**, დამინებოდა, წლისოდენა დღეა ზაფხულის დღე, მიდგომოდა მზე და მთელი სხეული ეწვოდა (ჩემი ძუძუმტეები, 299, 18); შენში რა... მაკას **ჭირიმე**, შენ ეს ამბავი არც იცოდი...(იყო ერთი ქალი, 350, 1); -რა კითხა, ბაკურის **ჭირიმე**, ამ ძაღლმა იმ მამაძაღლს? (შავი და ცისფერი მდინარე, I, 423, 34); სერაფიონი: ახლავე, მინაგოს **ჭირიმე**! (ადამიანი იბადება ერთხელ, 38, 15);

შენი ჭირიმე, - -ჯერ არ გინდა, **შენი ჭირიმე**, შენი... პატარა მომათქმევი სული (ქალი მაინც ქალია, 44, 25); **შენი ჭირიმე!** - წამოვარდა და კისერზე მოეხვია. - **შენი ჭირიმე**, ბებია, შენ გენაცვალე! (შავი და ცისფერი მდინარე, I, 148,8); **თქვენი ჭირიმე** - ორივემ „მადლობა, **თქვენი ჭირიმე**, მადლობა, თქვენ გენაცვალეთო“ მერცხლებივით დაიჭიკჭიკეს (შავი და ცისფერი მდინარე,

I, 189,18);**შენი ჭირი შემეყაროს** - მოვხუცდი, შვილო, ნაადრევად მოვხუცდი, **შენი ჭირი შემეყაროს!** (თეთრი ქალიშვილი, 110, 17); - აქეთ წამოდი, **შენი ჭირი შემეყაროს**, - მომესმა თებროს ხმა და საწოლისაკენ გამიძღვა (თეთრი ქალიშვილი, 114, 24);

გენაცვა - გურამი: ახლა ნახეს, **გენაცვა**, ერთმანეთი და ახლა გაიგეს ჩვენს საამქროში რა უბედურება დატრიალდა (ყრუ ღმერთები, 514, 38); გურამი: მე იქ სულ არ ვიყავი, ანგი, **გენაცვა**, იქ ვიყავი?..(ყრუ ღმერთები, 530, 3); გურამი: **გენაცვა**, არ ცოდნა არ ცოდვაა (ყრუ ღმერთები, 540, 14); გურამი: ან მე კიდევ.. **გენაცვათ**, ეგ მე რომ მექნა, ან ვინმეს... (ყრუ ღმერთები, 530, 26).

გენაცვალე - აბა მიწვევა, მოწვევა, მობოდიშება, შენი ჭირიმე, შენ **გენაცვალე** და გაიმართა მილოცვა (ეპიტაფია, 45,5); - ერთი, **გენაცვალე**, დეპეშა მიიღეთ! - მივვარდი სადგურის საფოსტო განყოფილებაში (ცეცხლთან თამაში,157, 22); - დეიდა, **გენაცვალე**, დეიდა, შემოგველე...(ხუმრობა, 185, 8); სახელად და მშვენებად: **გენაცვალე**, ვაზის ძირო, შე ბრუნდე და შე ლამაზო (გრიგოლ ბაბუა, 359, 15); -მერი, **გენაცვალე**, ბავშვმა თუ გაიღვიძოს, დამიძახე! (იყო ერთი ქალი, 365, 1); -ვინ ხართ თქვენ, **გენაცვალე**, და რას დაეძებთ აქ? (შავი და ცისფერი მდინარე, I, 448,33);

გეთაყვა - **გეთაყვა**, სიტყვაზე მოგახსენეთ (შავი და ცისფერი მდინარე, I, 543,2); -**გეთაყვა** ახალი რამ გვინდა (შავი და ცისფერი მდინარე, I, 543,5); გურამი: **გეთაყვა**, მე ამიტომაც არც ოსტატობას ვიჩემებ და არც მუშის ხალათს (ყრუ ღმერთები, 541, 1).

დაგენაცვლე! - ვაიმე, **დაგენაცვლე**, რას მაღირსა ღმერთმა და შენი მიმტოვებელი ვარ (შავი და ცისფერი მდინარე, I, 285,29); -**დაგენაცვლე**, ამიტომ წაიკიდებოდნენ, აბა, სანამ ქუთაისის მწვანე ბაზარში ფოთლით ვვაჭრობდი, მთელ ხროვას გავაღვიძებდი (შავი და ცისფერი მდინარე, I, 286,20);-ვაიმე, **დაგენაცვლე**, რაც თავი მახსოვს ორი ფეხი ჰქონდა კაციშვილს (შავი და ცისფერი მდინარე, I, 286,29); -ვეკიდე, **დაგენაცვლე**, იქნება ამ ჩვენზე უბედურ ბადრაგებიდან რაიმეს ყური მოვკრა-მეთქი (შავი და ცისფერი მდინარე, I, 287,4);

დედაშვილობამ - მართა: სერაფიონ, მარანში და... ბაჭუა, **დედაშვილობამ**, გაყევი სერაფიონს და ჩამოასხით.... (ადამიანი იზადება ერთხელ, 59, 7); მოხუცი:- **დედაშვილობამ**, ანგრევთ აქაურობას?!(ყრუ ღმერთები, 505, 34); მოხუცი: (ჟუტუს და კახას) **დედაშვილობამ**, არ დააგდო და არც მიაყუდო, ეს რკინები... (ყრუ ღმერთები, 512, 7); მოხუცი: **დედაშვილობამ** ... შენს გახარებას (თქმა მართლისა, 399,7); მოხუცი: **დედაშვილობამ** ... (თქმა მართლისა, 400,30); მოხუცი: (რეკავს ტელეფონის ზარი) **დედაშვილობამ**, არა ... (თქმა მართლისა, 401,24); - ჟურნალი, **დედაშვილობამ**, ბოლო ნომერი „სკოლა და ცხოვრება” მიყიდე (ქალი აგარაკზე, 333, 19);

დედაშვილობას - ჩამოდი, **დედაშვილობას**, კაცი რომ ეზოში ჩავა, ხე გაიცინებს (თეთრი ქალიშვილი, 110, 29); -მოხუცი: ნუ მიწყენ ... **დედაშვილობას**, ნუ მიწყენ ..ნურც ნურავის გაუჯავრდები (თქმა მართლისა, 400,13);

დედაშვილობას გაფიცებ - - მოხუცი: იმნაირი, ჩემი და ჩემისთანების შველა რომ შეეძლოს, თუ გეგულება, ცხრა მთას იქით რომ იყოს, **დედაშვილობას გაფიცებ**, არ დამიმალო (თქმა მართლისა, 406,4); -დაწყნარდი, შვილო, **დედაშვილობას გაფიცებ**, შვილო!.. (შავი და ცისფერი

მდინარე, 115,20); მოხუცი: იმნაირი, ჩემი და ჩემისთანების შველა რომ შეეძლოს, თუ გეგულება, ცხრა მთას იქით რომ იყოს, **დედაშვილობას გაფიცებ**, არ დამიმალო (თქმა მართლისა, 406,3);

ქართულ ენაში მოფერება-ალერსის გამომხატველი სინონიმები გადმოცემულია -ა, - ინა, - უნა, -ელა, -ული სუფიქსებით, რომლებიც ძირითადად ბავშვთან ასოცირებულ მოფერება-კნინობით სიტყვებს წარმოადგენენ: პაწია, პაწაწინა, პაწაწკინა, პაწაწკინტელა, პაწაწ(კ)უნტელა, კიკნა, კიკნელა; მოცუცქნული და ა.შ. მოფერება-ალერსის გარდა ზოგიერთი მათგანი უარყოფითი ემოციის გამომხატველია. უარყოფითი ემოცია, დაცინვა-დამცირება ან ირონია დაკავშირებულია ზომის სიმცირესთან: კრუხის პალო, თითის სიგრძე, თითისტოლა, ნეკისოდენა, ერთი ციდა, რომლებიც პატარა ტანის ადამიანის სინონიმებად გამოიყენება. მოფერება-ალერსის სინონიმურ ველში ვხვდებით დაცინვა-დამცირების ან ირონიის გამომხატველ სინონიმურ ერთეულებს, რომლებიც, ძირითადად, ზომის სიმცირეს უკავშირდება: ჯუჯა; დაბალტანიანი; დადაბლებული, ჩვეულებრივზე ბევრად პატარა, ლილიპუტი), და ა.შ. როგორც სინონიმებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, უნივერსალურია საალერსო მიმართვის ფორმებში გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელებისა და ზოონიმების გამოყენება. თუმცა, ადგილი აქვს ინდივიდუალიზაციასაც, რაც, რა თქმა უნდა, თითოეულის ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ქართულში - შენი კუჭისა! მიტირე / მტლად დაგედე / ჭირი მოგჭამე / ჭირი მოგპარე და ა.შ.

ქვემოთ წარმოდგენილია, ზემოთაღნიშნული ლექსიკური ერთეულებიდან მწერალ ო. იოსელიანის მიერ საკუთარ პროზაში გამოყენებული სიტყვები:

პაწაწინა - ცელქი კი, მაგრამ ასე **პაწაწინა** თიკნის მარტო ხეტიალი გაგონილა?! (არვეს ხიზანი,32,6); და **პაწაწინა** კუდს ისე მოხდენილად აქიცინებდა, თვალს ვერ მოსწყვიტავდი...(არვეს ხიზანი,33,12); და დილაუთენია, ხავსივით დატალული კლდის ძირში ანთებული **პაწაწინა** მზე და ის ჟანგისფერი ტინის ცრემლი ისე მოუნდა, აღარაფერი დაემი (მეწინავე, 97,17);

პაწია - უგულისყუროდ, **პაწია** თითებით ათამამებს ხუთ მრგვალ კენჭს (თამაში, 60,25); ბოლოს **პაწია**, მშვენიერ ეზოში შევდიოდი (ცირა, ანუ ხელნაკრავი სიყვარული, 173,7); აივნის შიგნით სრული და აივნის თავში **პაწია**, სულ **პაწია** ოთახი იყო, ეტყობოდა, მერე მიშენებული (ცია, ანუ ხელნაკრავი სიყვარული, 173,12-13); ბავშვი ძუმუს ეცა და ზედ ორივე **პაწია** ხელი შემოხვია (ვარსკვლავთცვენა, 408, 20);

პაჭუა - ბანჯგვლიან ხელებს პარჭყავენ, საშინლად მანჭავენ სახეს და **პაჭუა** ცხვირით ყნოსავენ დანიელს, ღვთის სუნი ხომ არ უდისო (ტყვეთა ტყვე, 504, 30); **პაჭუა** ცხვირი, მაგრამ უამურობისა და სიავის გამო აბზეკილი კი არა, ვნებიანი და გამომწვევი - როგორ შეიძლება არ მოგწონდეო (შავი და ცისფერი მდინარე, I, 187, 11); ჩემი **პაჭუა** ცხვირი და ჭორფლიანი სახე იმასთან რა სახსენებელია! (შავი და ცისფერი მდინარე, I, 187, 27).

თითის სიგრძე - მაგრამ ამ მოკლე შარვლიანი, გატრუსული, თვალატირებული, **თითის სიგრძე** ჭინკა ბიჭის გადამკიდე, მთელი დღე მუცელცარიელს როგორ ერბინა?! (შავი და თეთრი

ძროხა, 65, 29); პირდაპირ ტყვიასავით მომაფრინდა თითის სიგრძე შავი ფინია (აკაციის ყვავილობა, 140, 28); ჯარასავით ვტრიალებ, მაგრამ ამ ბნელში შავი, თითის სიგრძე ძაღლის გარჩევა არ გინდა?! (აკაციის ყვავილობა, 140, 31);

დალოცვის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი. ამ ჯგუფში განვიხილეთ, აგრეთვე, დალოცვის სემანტიკის მქონე სინონიმთა შემდეგი ჯგუფები: ლოცვა - ის, ვინც ლოცვას აღავლენს ვინმეს შესაწევნად, ღვთისთვის შესავედრებლად, უფალს ვინმეს სიკეთეს, ბედნიერებას შეთხოვს; სიკეთის, ბედნიერების სურვება, გზის დალოცვა, კეთილი მომავლის სურვება, ცხოვრების გზის დალოცვა. დალოცვილი - ვინც (რაც) დალოცეს, დაილოცა; საყვედური ვინმეს მიმართ (შე დალოცვილო). ლოცვა, ეს არის მიზანმიმართული სიტყვა-ფორმა, რომლის დროსაც ადამიანი დადებით ენერგიას აგზავნის კოსმოსში, იმ იმედით, რომ გარკვეული დროის შემდეგ უკან დაუბრუნდება მლოცველსაც და მისი ლოცვის ობიექტსაც. დალოცვის შემდეგ სინონიმებს ვხვდებით ქართულში: კურთხევა, ლოცვა, ლოცვაკურთხევა, დამწყალობლება, მადლი; დალოცვილი, კურთხეული, ნაკურთხი, მიმადლებული, მადლიანი, ბარაქიანი, ხელხვავიანი, ხვავრიელი, გამოსავლიანი; დალოცავს, დაილოცავს, დაილოცება, ადღეგრძელებს; ნაკურთხი, კურთხეული, ნათელცხებული, მირონცხებული, ხელ(თ)დასმული და ა.შ. დალოცვა მრავალი სახისა არსებობს: „ღმერთმა დაგლოცოს, გაგახაროს, გაგამლიეროს“, „ღმერთმა მოგანიჭოს ჯანმრთელობა და მრავალჟამიერი სიცოცხლე“, „უფალმა არ მოგაკლოს თავისი წყალობა და მშვიდობა“, „ღმერთს ებარებოდეთ“, „წყალობა, მშვიდობა, სიყვარული და სიხარული სუფევდეს შენ თანა“, „ღმერთმა გამარჯვებით გატაროს“, „ღმერთმა ხელი მოგიმართოს“ და მრავალი სხვა. „მთავარია, დალოცვა გულიდან მომდინარეობდეს, მხოლოდ მაშინ შეიტანთ სხვის ოჯახში სიხარულსა და მშვიდობას, სანაცვლოდ კი თქვენი სახლიც ბარაქით, სიყვარულითა და სიხარულით აივსება“ (ილია II, ეპისტოლენი, ქადაგებანი, სიტყვანი (ნაწილი III, 2005). დალოცვა ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი უძველესი ჟანრია. ყველაზე გავრცელებული იყო საქორწინო და სუფრული დალოცვები, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი ეკავათ მესტვირეთა რეპერტუარში (ბარდაველიძე ჯ. 1978: 351). დალოცვის ერთ-ერთი ფორმა სადღეგრძელო, ანუ სუფრული დალოცვა, ჩვენს ყოფაში ძლიერად არის დამკვიდრებული. სპეციფიკური ნიშნების გარდა, სადღეგრძელოს გააჩნია დალოცვის ფუნქციაც. დიდმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, აკაკი წერეთელმა, შესანიშნავად იცოდა, რომ ქართული სუფრის ერთ-ერთი ატრიბუტი სადღეგრძელოა. იგი სადღეგრძელოს აღმზრდელობით მნიშვნელობასაც ანიჭებდა. აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ჩართული დალოცვა/სადღეგრძელოები პატრიოტულ, დიდაქტიკურ-აღმზრდელობით ფუნქციას ემსახურებოდა. ქართული დალოცვის ფორმებში აუცილებელ კომპონენტად წარმოდგენილია „ღმერთი“: ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთმა მიცოცხლოს შენი (თქვენი) თავი. დალოცვის დროს უსურვებენ გამრავლებას, ხვავს, ბარაქას; სიცოცხლეს, დღეგრძელობას: იდღეგრძელოს!

იცოცხლეთ! იდღეგრძელე(თ)! ზოგადად, დალოცვის სემანტიკის მქონე გამოთქმები დიფერენცირებულია ასაკის, ნათესაური დამოკიდებულების, სიტუაციის და ა. შ. მიხედვით.

მტლად დაგედება - ვედრებად: **მტლად დაგედები** შვილივით საფიცარ-სალოცავსა-ო...(გრიგოლ ბაბუა, 359, 19).

ღმერთი - სულხანი: ქალი ხარ, **ღმერთი** დედობას გაღირსებს! (გასროლა კაჟიანი თოფით, 496, 28); დიდპაპა: **ღმერთი** ინებებს თქვენს მშვიდობით მობრძანებას...(გასროლა კაჟიანი თოფით, 500, 17); **ღმერთი** შენთანაა და ნუ გეშინია, **გაგაძლებინებს** ერთხან (ღმერთის გამოცხადება, 333, 1); **ღმერთი** იყოს ჩვენი მფარველი! (რწმენის თაობაზე, 74, 4); **ღმერთი იყოს** თქვენი, ჩემი და ყველა მოგზაურის მფარველი! (გზის გაკვლევის ამბავი, 131, 25).

ღმერთმა აბედნიეროს! - მართა: წაიყვანე და წადით...წადით... ივლითი, წადით და **ღმერთმა აბედნიეროს!** (ადამიანი იბადება ერთხელ, 56, 28); კარპე: მომილოცავს ნათლია, **ღმერთმა** გიბედნიეროს! (სანამ ურემი გადაბრუნდება, 105, 18).

აგაშენა ღმერთმა! - - **აგაშენა ღმერთმა!** მარა ვაჟკაცურად, მეც კაცი ვარ! (ჯარისკაცი დაბრუნდა, 397, 32); ... შენ **აგაშენა ღმერთმა**, გუნებაზე არ მომიყვანეო?! (ავტობიოგრაფიული ნოველა, 6,9); -**აგაშენათ ღმერთმა!** (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვარ, 42, 5).

ღმერთმა აცოცხლოს - სულ ცოტა, ნათელი დაადგათ, აღათისაც და ანეტასაც, მაშოსაც, **ღმერთმა აცოცხლოს**, თეოლინესაც...(მათე და ერმილე, 220, 13).

აცხონოს ღმერთმა - **აცხონოს ღმერთმა**, რაღა იყო მისი სიცოცხლეო (ხარები, ანუ ერთი დღის სიბრძნე, 308, 1); - ე, **გიცხონა ღმერთმა!** ელპიტე გვინდა-მეთქი, ხომ ვამბობდი?...**(მგზავრები, 126, 22); აცხონა ღმერთმა!**.. ან დურგალი სადაა და ან კალატოზი (გედის სიმღერა, 187, 16).

ღმერთმა გაანათლოს - **ღმერთმა გაანათლოს** იმისი სული... (ია, 32, 32).

ღმერთმა გაახარა! - **გაახარა ღმერთმა!** - დალოცა რუსუდანმა მულის ქმარი, მამუკას გმირობა და სახელი რომ ახარებდა (შავი და ცისფერი მდინარე, II, 91, 2).

ღმერთმა გაუმარჯოს! - **ღმერთმა გაგიმარჯოს**, ჩემო ბატონო! - თებრომ ისევ კალათისაკენ დააპირა გაბრუნება, რომ ახლა მოვიკითხე (თეთრი ქალიშვილი, 110,13); - ეს **ღმერთმა გაუმარჯოს**... სადაა ღმერთი...(ზამთარი, 271, 31); -**ღმერთმა გაუმარჯოს-სოო!** - აუპარპალ-აუციმციმდა ნოეს გაცრეცილი ცისფერი თვალეები (გედის სიმღერა, 224, 12).

ღმერთმა გამარჯვებული ამყოფოს!-**ღმერთმა გამარჯვებული ამყოფოს** ჩემი მაკა! (იყო ერთი ქალი, 445, 15);

დალოცა ღმერთმა! - **დალოცა ღმერთმა**... (ტყვეთა ტყვე, 6, 21).

ღმერთმა ნუ მოგიშალოთ! - -იმედი **ღმერთმა ნუ მოგიშალოთ** (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 41, 30).

ღმერთმა გაცოცხლა! - **ღმერთმა**, -ა, **გაცოცხლა ღმერთმა**, ბიცოლა! (შავი და ცისფერი მდინარე, I, 76, 5).

ღმერთმა გზა მართალს არების! მოხუცი: **ღმერთმა გზა მართალს გარების ...** (თქმა მართლისა, 402,15); მოხუცი: შვილო, **ღმერთმა გზამართალს გატაროს** (ყრუ ღმერთები, 521, 34).

ღმერთმა დაიფაროს! - მაგრამ ავადმყოფობისაგან **ღმერთმა დაგიფაროთ** და საავადმყოფო ხომ მოგეხსენებათ (ხუმრობა, 189, 16); ჩვენი მეწისქვილე... **დაგიფაროს ღმერთმა!** (ომი და სიხარული, 221, 6); **ღმერთმა დაიფაროს**, მარა დედაკაცმა თუ გაიწია... (ია, 31, 32).

დალოცა ღმერთმა - დალოცა ღმერთმა, ღელეა, სადაც დაჰკრავ ფეხს, იქ გადაახტები (ღმერთის გამოცხადება, 335,4); **ღმერთმა დალოცა** მრავალშვილიანი ოჯახი, კიდევ შვიდი დედ-მამისშვილია (კოლია ბოჭორიშვილი, 403,34); **დაგლოცოთ ღმერთმა** და იესო ქრისტე მაცხოვარმა, გაგახაროთ... (დაუჯერებელი ამბავი, 56, 35).

ღმერთმა ნუ ჰქნას! - სატირლად და სათავცემოდ **ღმერთმა ნუ ჰქნას** საქმე ... (ირმის გადარჩენა, 198, 17);

ღმერთმა კარგად ამყოფოს...(ცირა, ანუ ხელნაკრავი სიყვარული, 179, 10); **ღმერთო, შენ ხარ მოწყალე!** - **ღმერთო, შენ ხარ მოწყალე!** (ჩაჩნის გოგო, 230, 9); - **ღმერთო, წყალობა გვიქენი** (სოკოს კრეფა, 430, 5); -**ღმერთო, შენ ხარ მოწყალე!** ღმერთო, დიდებულო, ღმერთო!..(ღმერთი, ხატი და დედული ბებია, 420, 25).

ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ! - „**ღმერთმა მშვიდობაში** და სტუმრიანობაში **მოგახმაროთ** / თქვენი მკითხველი“ (მიძღვნა, 219, 31).

ღმერთმა უშველოს! - **ღმერთმა უშველოს ...** (შავი და ცისფერი მდინარე, II, 632,11); - **ღმერთმა უშველოს**, თუ მოგეხმარათ, მაგრამ ჩვენთან რა უნდა, ან ვინ გამოუშვებს?-მკითხა დედამ (უთაური ბიჭის თავგადასავალი, 608,35).

შეარგოს ღმერთმა! - -შენ **შეგარგოს, ღმერთმა**, შვილო, მე ხვალაც აგერ არა ვარ! (ვარსკვლავთცვენა, 386, 8).

ღმერთმა შეარგოთ, მათგან ბევრი აღარ დაბრუნებულა და თითო-ოროლა ჭიქა ცოტა იყო (ვარსკვლავთცვენა, 389, 13); **ღმერთმა შეგარგოთ!** – დაუქნიე თავი (დაუჯერებელი ამბავი, 57, 3).

ღმერთმა შეგვინდოს ! - **ღმერთმა შეგვინდოს**, თუ ასე მოხდა,/ პასუხი შენ რატომ უნდა გეგო? (სიცრუისა და სიმართლის თაობაზე, 220, 29); **ღმერთმა შეუნდოს** და, აქვს ბიბლია ხუმრობადაკრულად დასურათებული (სიცრუისა და სიმართლის თაობაზე, 97, 17).

ღმერთმა წყალობის თვალთ გადმოხედოს - იქნებ **ღმერთმა წყალობის თვალთ გადმოხედოს** (ლომისა დავეფხვის სანადირო საზღვარზე, 237,1); კესარია: თუ იმათ მხრივ ცუდი არაფერია და **ღმერთმა წყალობით გადმოგვხედა...** (სანამ ურემი გადაბრუნდება 78, 18).

ღმერთმა ხელი მოუმართოს - ღმერთმა ხელი მოუმართოს...“(ცეცხლთან თმაში, 153, 6); იარე, **ღმერთმა ხელი მოგიმართოს** (ია, 252, 25);კაცური კაცია, ბიჭი უნდა გზაზე დააყენოს და **ღმერთმა ხელი მოუმართოს...** (იყო ერთი ქალი, 294, 8).

წყალობა - რომანი: ღმერთო, შეუნდე და არ მოაკლო შენი **წყალობა...**(გასროლა კაჟიანი თოფით, 473, 19); ღმერთი ნუ დაიშურებს შენდობას და **წყალობას** (ღმერთმა ხელი მოგვიმარ-თოს,

224, 11); კესარია: ...დმერთო, ნუ მომიშლი შენს წყალობას! (სანამ ურემი გადაბრუნდება, 69, 39); წყალობას თვისას ნუ მომაკლებს /და სიყვარული ჩემი კვლავაც / ჰყოს სიყვარულად (ხელაპყრობილი ვევედრები, 242, 24).

იცოცხლე! - - დედა, **იცოცხლე!** - მამის შემდეგ ამჯერად ლეონმა დალია (შავი და ცისფერი მდინარე, I, 25, 26); -**იცოცხლე**, ხაზეინჯან! (შავი და ცისფერი მდინარე, I, 170, 12); ჩემო ბებია, შენ **იცოცხლე** დიდხანს! სულ **იცოცხლე!**.. (შავი და ცისფერი მდინარე, I, 68, 11); **იცოცხლე**, გულჩორა, შენი კაი ქმარ-შვილით და თუ მეტი არაფერი (შავი და ცისფერი მდინარე, I, 296, 7); - **იცოცხლეთ...** - ჩაილაპარაკა ნორამაც (შავი და ცისფერი მდინარე, I, 25, 28).

შენი კვნესამე!- მზალო: მაი... დედაისი?! რაისთვი! რაისთვი, **შენი კვნესამე!**(გასროლა კაჟიანი თოფით, 483, 30).

შენი ჭირი შემეყარა - - **შენი ჭირი შემეყარა** დეიდა, ამას უყურებ, ამას შვილო? (ხუმრობა, 186, 7); დედინაცვალი: შენ, **შენი ჭირი შემეყაროს**, არ აღელდე, არ გაბრაზდე (გერი და დედინაცვალი, 640, 9); - შენ გაიხარე, შვილო, რომ იკითხე, ჩამოდი, **შენი ჭირი შემეყაროს**, ჩამოდი! (თეთრი ქალიშვილი, 111, 3).

შენი ჭირის სანაცვლოდ - ვიყო-ოთხი წლის...გადაგდებული... **შენი ჭირის სანაცვლოდ** ვიყო?! (შავი და ცისფერი მდინარე, I, 410, 23). ჯანდაბას, რას დავეძებ, ყველაფერი **შენი ჭირის სანაცვლოდ** იყოს... (შავი და ცისფერი მდინარე, 511, 5).

შენ შემოგველე! - დედინაცვლის ხმა გარედან: ახლავე, შვილო, ახლავე, შენი ჭირიმე, ახლავე, **შენ შემოგველე!** (გერი და დედინაცვალი, 638, 20); არ იტირო, არ იწუხო, ნუ გეშინია, არაფელია, გაგივლის, შენი ჭირიმე და **შენ შემოგველე!** (დედუღეთი, 61, 9); - დეიდა, გენაცვალე, დეიდა, **შემოგველე!**..(ხუმრობა, 85, 8); - **შენ შემოგველე**, არაფერი უსაყვედურო, ხომ იცი მისი მდგომარეობა (იყო ერთი ქალი, 350, 13).

თავს შემოგველე - მართას ხმა: მეიხედე, ჩვენო მხსნელო, გაახილე თვალი, შენ **შემოგველოს** ჩვენი უბედური თავი... (ადამიანი იბადება ერთხელ, 38, 3); კესარია: დედა, თქვენ **შემოგველოთ** ჩემი თავი (სანამ ურემი გადაბრუნდება, 95, 4).

ამდენად, ქართულ ენაში ალერსისა და მოფერების ლექსიკა საკმაოდ მდიდარია, და სალიტერატურო ენაშიც მწერლებიც მათ განუზომელი რაოდენობით იყენებენ.

ლიტერატურა:

გრიშაშვილი ი., რჩეული ნაწერები, თბ., 1965, თბ.

ოტია იოსელიანი რჩეულ ნაწერთა თორმეტტომეული, ქუთაისი, 2011.

სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1953

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი რვატომეული, თბ., 1951-1964.

Manana Mikadze. (2021). Georgian and Language Competition in the Diaspora (Emigrant community) . *Language and Culture*, (25), 42–45. <https://doi.org/10.52340/lac.2021.654>

მიქაძე მ. (2023). ქართული ენის ცოდნის შემცირების ტენდენცია ემიგრანტებში (ესპანეთი, ბარსელონას რეგიონში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების მაგალითზე). *ენა და კულტურა*, (29). <https://doi.org/10.52340/lac.2023.08>

Manana Mikadze

Akaki Tsereteli state University

Kutaisi, Georgia

Manana.mikadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.09>

SJIF 2024: 8.268

Vocabulary expressing caress and caresses in the works of Otia Ioseliani

Abstract

The synonymous field with the semantics of caressers is to treat with love, tender feeling, caress and the one who knows allers, who is used to allers, ia allergic (Georgian Dictionary), According to Sul Khan-Saba Orbeliani, allers is interpreted as turning with a word (Orbeliani 1993:23).

In this Semantic field, we discussed caress, caressers the one who is alerted and to whom it is alerted; The words expressing caress and caresses, which are used in the meaning of caress, pale; also those phrases that are confirmed in this semantic field.

In the article we presented a variety of vocabulary related to caress from the prose of Georgian writer Otia Ioseliani.

Key words: caress, caddle, synonymous field.

რეცენზენტი: პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი

ენათმეცნიერება Linguistic

ЭТИМОЛОГИЧЕСКИЕ ЗАМЕТКИ

Симонян Нектар Мамиконовна

Институт языка им. Р.Ачаряна НАН, РА (Ереван)

inslcouncil@sci.am

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.11>

SJIF 2024: 8.268

В статье рассматриваются вопросы происхождения армянского слова *хал* 'родинка, пятно на шкуре людей и животных'. Слово *хал* считалось заимствованием из персидского языка (Р. Ачарян, Г. Джаукян). Привлекая материал этимологических словарей индоевропейских языков (Ю. Покорный, С. Старостин) и сравнивая семантические и фонетические соответствия армянского *хал* с отражениями и.-е. **kel-*, **kāl-* 'light/dark spot' в других индоевропейских языках, выдвигается версия индоевропейского происхождения этого слова.

Ключевые слова: индоевропейские языки, праформа, этимология, корень, аблаут, коррелятивные фонемы.

ХАЛ (KAL)

В армянском языке слово *խալ* (хал, khal) означает 1. "родинка, родимое пятно, 2. пятно на шкуре людей и животных, 3. пятнышко (на плодах), 4. крапива, рябина", 5. (խալ դնել) посадить мушку, 6. (խալ ընկնել) начинать поспевать, наливаясь [1: 285]. Р. Ачарян в "Этимологическом коренном словаре армянского языка" слово *хал* считает персидским заимствованием [2, II: 313]. В «Истории армянского языка» он приводит довольно обширный список заимствованных слов из иранских языков [3, I: 240-292], при чем он дифференцирует заимствованные слова из древнеперсидских и новоперсидских языков. В числе новоперсидских заимствований приводит и армянское слово *խալ* (хал). Г. Джаукян в

«Этимологическом словаре армянского языка» приводит слово *խիւ* (хал)и, ссылаясь на Ачаряна, считает заимствованным из персидского. [4:308].

Выдающийся немецкий лингвист, арменист и иранист Г.Хюбшман впервые доказал [5: 10-36], что армянский язык не входит в иранскую ветвь и.-е. языковой семьи, а является отдельным языком в составе индоевропейской семьи. В этой связи он подробно рассматривает армяно-иранские лексические общности(соответствия). В трудах 'Armenische Grammatik' [6:9-280] и "Armenische Studien" [7:371-387] он приводит довольно обширный список армянских заимствований из персидского (в том числе топонимы и антропонимы). В этом списке не упоминается слово *խիւ* (хал, khal).

Г. Джаукян в труде 'История армянского языка. Дописьменный период' довольно подробно представляет мнения зарубежных и отечественных лингвистов о персидских заимствованиях армянского языка, в особенности список персидских заимствований Р. Ачаряна. Он излагает свои соображения о подборе заимствованных слов и пишет, что «...число основных заимствований - 712, а если считать и суффиксальные формы – 837.» и добавляет, что на самом деле число иранских заимствований гораздо больше, но невозможно включить их в этот список, так как в иранских источниках не сохранены сведения об этих словах [8:549]. Интересующее нас слово *խիւ* (хал) в списке Джаукяна не упоминается.

Слово хал есть и в 'Карманном словаре айказнянского языка' М. Авгеряна [9:364] и в 'Словаре тезаурусе армянского языка' О.Гайаяна [10:175], а в 'Новом словаре айказнянского языка' [11, II:1063] оно приводится в приложении, где собраны те слова, которые не засвидетельствованы в древнеармянских рукописях и книгах, изданных до составления словаря. В словаре средне-армянского языка [12:299] слово хал считается арабским со значением 'уксус' и приводится первоисточник - 'Польза медицины' Амирдовлата Амасиаци.

В диалектных словарях и словарях современного армянского языка хал считается персидским заимствованием.

В словаре Hasan Anvari, *Farhang-e kuchek-e sokhan*, Tehran, 1383/2004 персидское слово хал считается арабским заимствованием.

Нами предлагается другая версия происхождения армянского слова хал.

В этимологических словарях индоевропейских языков (Ю.Покорный, С. Старостин) приводятся корни **kel-*, **kāl-* со значением 'темное/светлое пятно'. Ю. Покорный приводит соответствующие корни других и.-е языков: др.инд. *kalaṅka* "пятно", *kalmaṣa-* "пятно, грязь",

kalmāṣa- “пестрый, пятнистый“, kalana- “пятно“, др. греч. κελαιόνς “черный“, κηλῖς, ἴδος “пятно“, лат. callidus/calidus “с бледным пятном на лбу“, др.ирл. caile, ср. ирл. gaile “пятнистый“ [13:547-548].

М.Фасмер в статье *кал* приводит формы славянских языков (укр. *кал*, ст.-слав. *каль*) чеш., словц. *kal* «тина, грязь, слякоть, кал», польск. *kał* «кал, лужа, тина», и считает родственным др.-инд. *kālas* «сине-черный», *kalaṅkam* «пятно, позор», греч. κηλὰς ἡμέρα «черный день», κηλὰς αἶξ «коза с пятном», лит. *cālidus* 'со светлым пятном на лбу', *cālīgō* 'туман' [14 :163].

Наверно уместно привести мнение Расмуса Раска о заимствованиях: он считает, что для определения источника заимствованного слова надо учесть следующее: в каком языке оно имеет более общее и материальное значение, в каком языке от этого слова образованы сложные и производные слова. Если учесть значения армянского *խալ* (хал, *khal*) и словосочетания, и аналитические глаголы, которые приведены выше (пункты 5, 6), можно предполагать, что оно, по всей вероятности, незаимствованное слово.

Принимая во внимание вышеприведенный этимологический материал и значения этого корня в и.-е. языках и в армянском, можно предположить, что и армянское *хал* можно возвести к и.-е. корню **kel-*, **kāl-*. С семантической точки зрения значение армянского слова хал вполне соответствует вышеприведенным значениям тех корней, которые засвидетельствованы в других и.-е. языках. Считаем, что вполне закономерно и соответствие и.-е. **k* – армянского *խ*. В корневом этимологическом словаре Р. Ачаряна приведены более чем десяток исконно армянских корней (и.-е. происхождения), в которых индоевропейскому **k* соответствуют армянские слова с *խ*. Этери Туманян в монографии «Структура индоевропейских имен в армянском языке» в таблице армянских согласных и их соответствий в индоевропейской системе согласных отмечает, что эквивалентом армянского *խ* являются и.-е. **k* и **kh* [15:52]. В трудах Г. Джаукяна тоже приводятся корни с *խ* и.-е. праформы которых начинаются с **k*- или **kh*-. Г. Джаукян в труде «Очерки по истории дописьменного периода армянского языка» и в этимологическом словаре приводит армянские слова с начальным *խ* *խուղ-ք* (*xuɫb*), *խաղ-ք* (*xalɫ*) 'мусор, нечистоты', сравнивая с др.-инд. *kalana-* 'пятно, грязь', *kālusā-* 'грязный, черный' и возводит к и.-е. праформам **kel-*, **kāl-* и добавляет '... в словах для обозначения пятен серого и черного цвета' [16:119]. И кажется странным, почему Г. Джаукян, приводя *խուղ-ք* (*xuɫb*), *խաղ-ք* (*xalɫ*), не упоминает слово хал, значение которого совпадает приведенных им слов и не допускал возможности отнести слово *խալ* к праформе **kel-*, **kāl-*, что вполне очевидно.

Вышеприведенные слова с разными огласовками свидетельствуют о том, что и.-е. праформа **kel-* в армянском языке засвидетельствована различными степенями аблаута (n-l-իւնւղ-, ш-իւնւղ и хал). Что касается շ и դ, то известно, что в армянском языке сонанты շ и դ коррелятивные фонемы (ср. армянское *իւղ-իւնւղի*, (соль-пресный), *իւնւղիւնւղ-իւնւղիւնւղ* (туман-туманный).

Резюмируя все вышесказанное, можно считать армянское слово *իւնւղ* исконно армянским (и.-е. происхождения).

Литература

1. Армянско-русский словарь, Е., 1982, стр.285 (на армянском языке).
2. Р.Ачарян, Этимологический коренной словарь армянского языка, Е.,1926, стр.313 (на армянском языке).
3. Р.Ачарян, История армянского языка, Е., 1940, т.1, стр. 240 – 292 (на армянском языке).
4. Г. Джаукян, Этимологический словарь армянского языка, Е., 2010 стр.308 (на армянском языке).
5. Н. Hübschmann, Die Stellung des Armenischen im Kreise der indogermanischen Sprachen, E. 2004, стр.10 – 36 (на армянском языке).
6. Н. Hübschmann, Armenische Grammatik, E., 2003 (на армянском языке).
7. Н. Hübschmann, Armenische Studien, E., 2004 (на армянском языке).
8. Г.Джаукян, История армянского языка. Дописьменный период. Е, 1987 (на армянском языке).
9. А. Авгерян, Карманный словарь айказнянского языка, Венеция, 1865 (на армянском языке).
10. А. Гайаян, Словарь тезаурус армянского языка, Каир, 1938 (на армянском языке).
11. Новый словарь айказнянского языка, Венеция, 1836-1837 (на армянском языке).
12. Р. Казарян, Г. Аветисян, Словарь средне-армянского языка, Е., 2009 (на армянском языке).
13. J.Pokorny, *Indogermanisches Etymologisches Wörterbuch*, Bern-München, 1959.
14. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, М., т. 2, 1986.
15. Э. Туманян, Структура индоевропейских имен в армянском языке, М., 1978.
16. Г.Джаукян, Очерки по истории дописьменного периода армянского языка, Е., 1967.

Simonian Nektar

Language Institute named after H. Acharyan NAS RA

inslcouncil@sci.am<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.11>**SJIF 2024: 8.268****Etimological Notes**

Abstract

The article discusses the origin of the Armenian word khal “mole, spot on the skin of people and animals”. The word khal was considered a borrowing from the Persian Language (R.Acharyen, G.Dzhaukyan). Using the material from etymological dictionaries of Indo-European languages (Yu.Porotny, S. Starostin) and comparing the semantic and phonetic correspondences of the Armenian Khal with reflections of the I.E. “kel-, *kēl- ‘light/dark spot’ in other Indo-European languages, a version of the Indo-European origin of this word has been put forward.

Key-words: Indo-European languages, prototype, etymology, root, ablaut, correlative phonemes.

Рецензент: профессор Тамар Ломтадзе

ენათმეცნიერება Linguistic

სემანტიკა „ქარი“ პოეტურ მეტყველებაში

სოფიო ქიტესაშვილი

ევროპის უნივერსიტეტი

e-mail: Kitesashvili.sopio@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.12>

SJIF 2024: 8.268

სიტყვა „ქარის“ მნიშვნელობის განსაზღვრა კონტექსტის მიხედვით არის შესაძლებელი. სწორედ მხატვრული ნაწარმოების ელემენტთა ურთიერთქმედებისას ავლენს ქარი კონოტაციურ მნიშვნელობებს. იგი ღრმა ქვეტექსტუალურ დატვირთვას იძენს, რაც სიტყვის შინაგან გააზრებას, სიღრმისეულ გაგებას განაპირობებს.

ქარის განცდა პოეტურ მეტყველებაში განსხვავებულია. სემანტიკა „ქარს“ მრავალფეროვანი ემოციური მნიშვნელობა აქვს: სევდა, ტკივილი, შფოთი, მღელვარება, მრისხანება, სინანული, შიში, სინაზე, მონატრება. აღნიშნული მნიშვნელობები პოეტთა განწყობის მიხედვით იცვლება, ამიტომ ერთსა და იმავე პოეტის შემოქმედებაში „ქარის“ ემოციური მნიშვნელობა შეიძლება იყოს, როგორც სევდა, ტკივილი, ისე მრისხანებაც და სინაზეც.

„ქარის“ აღნიშნული შესაძლებლობა, პირველ რიგში, ვლინდება ენის შინაფორმის ღრმად შემგრძნობი შემოქმედის პოეტურ მეტყველებაში.

საკვანძო სიტყვები: ქარი, პოეტური მეტყველება, კონტექსტი

ენა მნიშვნელობის გადმოსაცემი ინსტრუმენტია. ამ ინსტრუმენტის სტრუქტურა ასახავს ენის ფუნქციას. მისი ასეთი სახით გაგება შესაძლებელია მხოლოდ ამ ფუნქციიდან გამომდინარე. გამოიკვლიო ენა ისე, რომ არ შეეხო მნიშვნელობას, ეს იგივეა, რაც შეისწავლო საგზაო ნიშნები მხოლოდ მათი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით.

ენა რთული და ამოუწურავია, მასში ჯერ კიდევ ბევრია დაუწვავი. იგი ხორცშესხმას ელის, განსაკუთრებით კი პოეტური ენა, რომელიც ზედმიწევნით შესატყვისი ფორმაა სულიერი საზრისისათვის. შეიძლება ითქვას, რომ იგი არსით ფილოსოფიაა, ფორმით – მუსიკა. ჩვენ კი ვცდილობთ, შევისწავლოთ ამ სიდიადის ადეკვატური სიტყვიერი სამოსელი. „აზრის შინაგანი

მოძრაობა, გრძობათა ბუნება უნდა გაიხსნას სიტყვათა რიტმის და ჰარმონიის გარეგნულ მოძრაობაში, ფრაზების ნაირნაირობაში“ [ტაბიძე, 1992].

ჩვენ მიერ გამოკვლეული სიტყვა „ქარი“ შესულია ქართული ენის ლექსიკურ ფონდში, რომლის შესახებაც მეტად მდიდარი და საინტერესო მასალა აქვს შეტანილი სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში, რომელშიც ვკითხულობთ: „ქარი არს მზისა და ვარსკვლავთა მიერ ქვეყანით აღტაცებული სიმხურვალისა და სიხმელისა აღორთქლებადი და ჰაერთა შინა მოძრავი“ [ორბელიანი, 1993:213]. აღნიშნულ განმარტებას დართული აქვს ოცდაოთხი დასახელების ქარი, მხარეების მიხედვით. მიუხედავად ასეთი ვრცელი განმარტებისა, ქარი მაინც წარმოდგენილია თავისი პირვანდელი მნიშვნელობით, ანუ როგორც ბუნების სტიქია, ბუნებრივი მოვლენა.

მაგრამ როგორია ქარის სემანტიკა პოეტურ მეტყველებაში? პოეზიაში სიტყვა „ქარის“ მნიშვნელობის ნიუანსები კონტექსტის მიხედვით განისაზღვრება. ზუსტად კონტექსტში, მხატვრული ნაწარმოების ელემენტთა ურთიერთქმედებისას, ავლენს ქარი კონოტაციურ მნიშვნელობებს. სიტყვის მნიშვნელობის განსხვავება კონტექსტში იმდენად აშკარაა, რომ თვით ამ ცნების განსაზღვრაში გაიხაზება ეს ფაქტი: „კონტესტი არის მეტყველების აზრობრივად დასრულებული მონაკვეთი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მასში შემავალი სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობას, ან რომელიმე ლინგვისტური ფორმის მნიშვნელობა განისაზღვრება მის კონტექსტთა ერთობლიობით“ [ფოჩხუა, 1974:247].

„ქარი“ კონტესტში ღრმა ქვეტექსტუალურ დატვირთვას იძენს, რაც სიტყვის შინაგან გააზრებას, მის სიღრმეულ გაგებას განაპირობებს.

„ძალიან მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ ტექსტიდან ქვეტექსტში ანუ გარეგნული მნიშვნელობიდან შინაგან გააზრებაში გადასვლის გზები... ქვეტექსტი იკვეთება განსაკუთრებით მხატვრულ ტექსტში. ზუსტად აქ, ტექსტის ზედაპირული „წაკითხვა“ არ გამორიცხავს მის სიღრმისეულ გაგებას“ [ლურია, 1998:313].

ჩვენ მიერ განხილულ ლექსებში, კონტექსტში მოცემულ ქარს ღრმა ქვეტექსტუალური დატვირთვა აქვს:

„ქარმა აისრულა განზრახული -
პერანგში შეძვრა და გაილურსა.“

„და შლიდა ბაირაღებს თმაგაწეწილი ქარი“

(გ. ტაბიძე)

ამ კონტექსტში „ქარი“ გლოვას ნიშნავს

გრიგალები ავდებოდნენ,

ზღვები ზეცას სწვდებოდნენ“ (მ. ლებანიძე)

სიტყვა გრიგალები, მოცემულ კონტექსტში, „თავსხმის“ მნიშვნელობითაა.

განსხვავებულ კონოტაციურ მნიშვნელობებს იძენს სიტყვა „ქარი“ სინტაგმაში, რომლებშიც იგი უკვე სინტაგმურ თვისებებს ავლენს. სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა ასახვის ცვალებადი

ობიექტის მიმართ ადაპტაციას განიცდის. იგი ახლებურად გაიაზრება. სინტაგმაში შემავალი სიტყვები მაქსიმალურად დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისგან.

ჩვენ მიერ გამოკვლეულ ტექსტებში ძალიან ბევრი მეტაფორულ-ეპითეტური სინტაგმაა, როგორებიცაა: „ბავშვობის ქარი“, „ფრთამალი ქარი“, „გაფოთლილი ქარი“, „მართალი ქარი“, „მშვიდი ქარი“, „ყრმობის ქარი“ და სხვ.

ზემოჩამოთვლილი სიტყვათშეხამებანი განპირობებულია პოეტური აზრის გამოთქმის საჭიროებით. ძირითადად, სინტაგმათა კლასიფიკაციის შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა:

1. თავისუფალი სინტაგმები, როლებშიც საერთო მნიშვნელობა წარმოადგენს სინტაგმაში შემავალი ცალკეული სიტყვების ჯამს. აქ სიტყვების ერთად ხმარების საფუძველია გამოსახატავი სიტუაცია: „თოვლჭყაპიანი ქარი“, „უდაბნოს ქარი“, „დარუბანდის ქარი“, „ზღვიდან მობერილი ქარი“ და სხვ.
2. განცალკევებული სინტაგმები, რომლებიც ტერმინოლოგიური ხასიათისაა: „აღმოსავლეთის ქარი“, „ცხელი ქარი“, „ცივი ქარი“, „ზურგის ქარი“, „ორპირი ქარი“ და ა.შ.
3. სინტაგმები, როლებშიც ერთი წევრის მნიშვნელობა ძალიან შორდება მათს მთავარ მნიშვნელობას, მაგრამ მაინც, შესიტყვების კონტექსტი შემადგენელი ელემენტების მიხედვით დაისკვნება: „ვნებათ ქარბუქი“, „სევდიანი ქარი“, „შორეული ქარი“, „ფრთამალი ქარი“, „ურჩი ქარები“, „ტკვარცალა ქარები“ და სხვ.
4. სინტაგმები, რომლებშიც სიტყვები შედარებით მყარად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. საერთო მნიშვნელობა არის არა შემადგენელი ელემენტების ჯამი, არამედ ამ ჯამის განზოგადება ან მეტაფორა, რაც ახალ მნიშვნელობებს ბადებს: „ბებერი ქარი“ („გვიანი შემოდგომა“), „გულს შემოსეული გრიგალები“ („დარდი“), „მობურტყუნე ქარი“ („სამდურავი“), „ფრთებშეტრუსული ქარი“ („შიში“), „მოხარხარე ქარი“ („ბოროტების აღზევა“) და სხვ.

განსხვავებულია ქარის განცდა პოეზიაში. პოეტები ქარში პოულობენ შინაგანი ტკივილისა თუ აღმაფრენის შეუზღუდავ შესაძლებლობებს.

რ. კარნაპი ნაშრომში „ფილოსოფია და ლოგიკური სინტაქსი“ აღნიშნავს: „მზე“ „ღრუბელი“ ან „ქარი“ ის კი არ არის, რომ გვამცნოს გარკვეული მეტეოროლოგიური პროგნოზი, არამედ ის, რომ გამოხატოს პოეტის გრძნობები და ასეთივე გრძნობები გააღვიძოს სხვაში“ აღნიშნულს ეხმიანება შ. ნიშნიანიძის სტრიქონები:

„ეს თოვლი მარტო თოვლი არ არის,
ეს ქარიც მარტო ქარი არ არის,
ისინი სადღაც შიგნით მალავენ
მას, რაც არ იყო დასამალავი.“

ჩვენ მიერ განხილულ პოეტთა შემოქმედებაში ქარს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციური მნიშვნელობები: სევდა, ტკივილი, მრისხანება, შფოთი-მღელვარება, სინაზე და მონატრება. რადიკალურად განსხვავებულ ემოციათა ბალანსი დარღვეულია, ანუ ერთნაირი რაოდენობით მოცემული პოზიტიური და ნეგატიური ემოციური მნიშვნელობები არ გამოიკვეთა.

გ. ტაბიძის, ო. ჭილაძისა და მ. ლებანიძის პოეზიაში ჭარბობს „ქარის“ უარყოფითი ემოციური მნიშვნელობები: გალაკტიონთან - სევდა, ტკივილი; ჭილაძესთან - მრისხანება, დაუნდობლობა; ლებანიძესთან - შფოთი, მღელვარება. შ. ნიშნიანიძის პოეზიაში ჭარბობს დადებითი ემოციური მნიშვნელობები: სინაზე, მონატრება. გამონაკლისია ტერენტი გრანელი, რომლის შემოქმედებაშიც სიტყვა „ქარი“ დადებითი ემოციური მნიშვნელობით საერთოდ არ მოიპოვება.

„ქარის“ მნიშვნელობების მრავალფეროვნებამ ცხადყო, რომ სიტყვა „ქარის“ ემოციური კონტექსტი პოეტის განწყობის მიხედვით იცვლება.

„ქარი“ გ. ტაბიძის, ო. ჭილაძისა და ტერენტი გრანელის პოეზიაში სულის სიმბოლოა, პირდაპირ, სულის თვითგამოხატვაა:

ეს მე ვარ ქარი, ეს მე ვარ ქარი,
დავდივარ ბარად, ვოცნებობ მზეზე... (გ. ტაბიძე).
„და სიბნელიდან გამოდის ბავშვი,
რომელსც ბევრი სინათლე სურდა,
რომელმაც უცებ იპოვა ქარში
დიდი მსგავსება საკუთარ სულთან“ (ო. ჭილაძე).

ტერენტი გრანელისთვის ქარის ოდნავი რხევაც კი მის სულიერ განწყობას ამძიმებს და თრგუნავს. პირდაპირ ემოციური პარალელიზმებია გრანელის სულსა და ქარს შორის: „ელავს ჩემი შორეული სევდა//ამოვარდა საშინელი ქარი“;

„მე განვიცადე ეს ქარიშხლი//მე განვიცადე დიდი წამება“;
„უცებ იკვილეს ღამის ქარებმა// და უცებ დადგა შავი დროება“;
„წამება ისევ წინ არი//ფრთები აიშვა გრიგალმა“...

თუ ტაბიძის, გრანელის და ჭილაძის „ქარი“ სულის სიმბოლოა და მის ძვრებს ასახავს, ლებანიძის „ქარი“ ცხოვრებისეული დინამიკის, ცვალებადობის სიმბოლოა:

„მე გადავწყვიტე სიკვდილი გვიან!
კი, იმნაირი ქარები ჰქრიან,
მე უნდა ვნახო მზე, მთვარის სასძლო
ამ საუკუნის ბოლომდე გავძლო!..
დაწრიალებენ ქარები ჯარად
არის ტრიალი მსოფლიო ჩარხის.“

კვლევის პროცესმა ცხადყო, რომ სემანტემა „ქარს“, როგორც ენობრივ ერთეულს, შეუძლია წარმოაჩინოს ემოციათა ფართო სპექტრი, ასევე სხვა ენობრივ სისტემებთან დაკავშირებული კონტექსტუალური თუ ემოციური ნაირგვარობა. „ქარის“ აღნიშნული შესაძლებლობა, პირველ რიგში, ვლინდება ენის შინაფორმის ღრმად შემგრძნობი შემოქმედის პოეტურ მეტყველებაში.

ლიტერატურა:

1. გრანელი ტ., პოეზია, ტ.1, თბილისი, 1991;
2. Carnap R., Philosophy and Logical Syntax, 1935;
3. Gvinianidze, Tamar. (2023). "Lectures of a General Review Nature in the Teaching of Georgian Literature". *Language and Culture* (May 26, 2023). Accessed March 25, 2024.
<https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/1875>.
4. კვარაცხელია გ., მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები; თბილისი, 1995;
5. ლებანიძე მ., რჩეული ლირიკა, თბილისი, 1977;
6. ლურია ა., ენა და ცნობიერება, როსტოვი, 1998;
7. ნიშნიანიძე რ., მე და შენ, თბილისი, 1956;
8. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ.2, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1993;
9. რამიშვილი გ., ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თვალსაზრისით, თბილისი, 1995;
10. ტაბიძე გ., უბის წიგნაკი, თბილისი, 1992;
11. ტაბიძე გ., არტისტული ყვავილები, თბილისი, 1993;
12. ტაბიძე გ., თხზულებანი, ტ.12, თბილისი, 1995;
13. ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974;
14. ჭილაძე ო., ლექსები, პოემები, თბილისი, 1991;
15. ჯორბენაძე ბ., პოეზიის ენა, თბილისი, 1999

Sophio Kitesashvili

European Univeristy

e-mail: Kitesashvili.sopio@gmail.com<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.12>**SJIF 2024: 8.268****Semanteme “wind” in Poetic speech**

Abstract

The meaning of the word “wind” can be determined depending on the context. It is in the interaction of the elements of the artistic work that the wind reveals its connotative meanings. It acquires a deep subtextual load, which leads to the inner understanding of the word, in-depth understanding.

The feeling of wind in poetic speech is different. Semantema “wind” has a variety of emotional meanings: sadness, pain, anxiety, excitement, fury, regret, fear, tenderness, longing. The mentioned meanings change according to the mood of the poet, therefore, in the works of the same poet, the emotional meaning of “wind” can be sadness, pain, anger and tenderness. The aforementioned possibility of “wind” is first of all manifested in the poetic speech of the creator who deeply feels the domestic form of language.

Key words: wind, poetic speech, context.

რეცენზენტი: პროფესორი ნელი ვასილევა

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
Literature and Literary Theory

ლოლობერიძეების ოჯახი

ანასტასია მახათაძე

გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
tsoji.1611@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.13>

SJIF 2024: 8.268

სტატია ეხება XIX საუკუნის გამორჩეულად დიდებულ ქართულ ოჯახს - ლოლობერიძეების ოჯახს, რომლის თითოეული წევრი იწვოდა, ცხოვრობდა, იღწვოდა სამშობლოს სადიდებლად და უდიდესი სიყვარულით.

და-ძმა ლოლობერიძეები იყვნენ სკოლების დამაარსებლები, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლები, ქართული კულტურის მეცენატები.

უფროსი ძმა, გიორგი, იყო პირველი უმაღლესდამთავრებული იურისტი დასავლეთ საქართველოში და ევროპული იმიჯის პიონერი იმით, რომ პირველმა გაიპარსა წვერ-ულვაში და ამითაც სამაგალითო გახდა თავისი თანამედროვეებისათვის.

საკვანძო სიტყვები: გიორგი, ნიკო, დავითი, ანეტა და სიმონ ლოლობერიძეები.

ადამიანების უმთავრესი ნაკლი არის წარსულის დავიწყება. ჩვენ ვივიწყებთ წინაპრებს, იმას, თუ როგორ მოგვიყვანეს აქამდე, შეგვინარჩუნეს წარსული და გაგვიუმჯობესეს მომავალი. დროის მანქანის შექმნამდე ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, ეს არის წარსულის გახსენება და ცოტა ფანტაზიის მოშველიება. ნუთუ საოცარი არ არის XIX საუკუნის საქართველო, ნუთუ აღმაფრთოვანებელი არ არის ქუთაისი ამ დროს?! ქუჩებში წვერულვაშიანი ვაჟკაცებისა და მოკრძალებული მანდილოსნების ხილვა?! საინტერესოა, მაშინ, როცა არ არსებობდა ინტერნეტსივრცე და თანამედროვე ტექნიკა, რით ერთობოდნენ, სად დადიოდნენ და როგორ ცდილობდნენ კავკასიის გულში, მკაცრი და გიგანტური ქვეყნებით გარშემორტყმული პატარა საქართველოს ევროპული ბილიკის გაყვანას! საოცრებაა, ამდენ წვეროსაში ერთადერთი წვერულვაშგაპარსული მამაკაცის დანახვა. ის პირველი კაცია, რომელმაც ეს ევროპული ტრადიცია შემოიტანა საქართველოში და ამით პირველი ყვავილი დარგო იმ ბილიკზე, რომელიც ევროპისკენ მიდის.

გიორგი ლოლობერიძე, კაცი, რომელმაც საქართველოს ისტორიაში ერთი დიდი ფურცელი ოქროსფერი ასოებით შეავსო. მისი ღვაწლი ფასდაუდებელია. მან ხომ სამოციანელ ჭაბუკებს უბიძგა "სამოციანელობისკენ". ქართველ ერს უთხრა, რომ ყველას აქვს არჩევანის

გაკეთების საშუალება, თუნდაც ეს წვერ-ულვაშს ეხებოდეს. მან ბინა დაუთმო ახალდაქორწინებულ ილია ჭავჭავაძეს, როცა ის ქუთაისში სახელმწიფო სამსახურში საქმიანობდა. ეს იყო ღრმა ამოსუნთქვა რუსეთის წინააღმდეგ და თბილი ღიმილი ევროპის სასარგებლოდ. ადამიანი, რომელმაც დათვს „ბაბაია“ არ დაუძახა და, სამშობლოს ნიჭიერი ახალგაზრდობის რუსეთისთვის შესაწირ კრავებად გადაცემის სანაცვლოდ, ისინი სწავლისა და იდეის მინდორზე შეეშვა „საბალახოდ“.

XIX საუკუნის საქართველო, რომელსაც წართმეული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და ეროვნული კულტურა, ცნობიერება და ღირსება, ფეხქვეშ იყო გათელილი უცხო სახელმწიფოს იმპერიული ზრახვების გამოისობით, საკუთარი მეობის, სულისკვეთებისა და ეროვნული სახის შენარჩუნებას ცდილობდა სახელმწიფოს მცირე მოდელის, ოჯახის სახით.

ქართულმა კულტურულმა ოჯახებმა შეინარჩუნეს და იხსნეს ქართული გენი, ამ მოვლენას ხელს უწყობდნენ ჩონგურის სიმეზივით ხმაშეწყობილი სალონური ოჯახები, სადაც იკრიბებოდა ქართველი არისტოკრატია და მოაზროვნე საზოგადოება. ასეთი სალონური თავშეყრის კერა ჰქონდათ თბილისში ალექსანდრე ჭავჭავაძეს, მანანა და მაიკო ორბელიანებს, ხოლო ქუთაისში - ლოლობერიძეებს, სადაც სულს იბრუნებდა და საზრდოს პოულობდა მოაზროვნე ქართული ინტელიგენცია. ამ სულიერებით გაჟღერებულ ქანგბადს სუნთქავდნენ აქ შეკრებილი ფრთოსნები და სალონის სულის ჩამდგმელი, ოჯახის უფროსი ვაჟი - გიორგი ლოლობერიძე.

გავიცნოთ მისი მშობლების, ბესარიონ ლოლობერიძისა და ეკატერინე აბაშიძის ოჯახი, მამინდელი ცენტრი იმერეთისა, სადაც ფესვებს იდგამდა ახალი ჯიშის ვაზი, რომელმაც ყურძნის ხუთი მსხვილი მტევანი მოისხა, ამ ოჯახში აღზრდილი ხუთი შვილის სახით. გასანაყოფიერებლად იყენებდნენ პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, ისტორიაზე, სტამბაზე, გაზეთზე, ბანკსა და კიდევ სხვა მრავალ საჭირობოროტო თემაზე საუბარს.

ბატონი ბესარიონი იმდროისთვის განათლებული კაცი იყო, სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული და იმერეთის ეპისკოპოსის მდივნად მუშაობდა. ქალბატონი ეკატერინე კი ცნობილი მწიგნობარი ქალი გახლდათ და, რა გასაკვირია, რომ ნოყიერ ნიადაგზე კარგი მოსავალი მოსულიყო.

ლოლობერიძეების ოჯახში აღზრდილი ხუთი მამულიშვილი: გიორგი, ნიკო, დავითი, ანეტა და სიმონი.

ნიკო - ქართველ თერგდალეულთა თვალსაჩინო წარმომადგენელი. მან განათლება ჯერ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, შემდეგ კი რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით ქუთაისის გიმნაზიის დახურვის გამო თავის ბიძაშვილ - ბესარიონთან ერთად სწავლა განაგრძო თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც დაუმეგობრდა ილია ჭავჭავაძეს.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი კანდიდატის ხარისხით დაამთავრა და პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნებული ილიას ნაცვლად ქართველ სტუდენტთა ლიდერი გახდა. იგი ბესარიონ ლოლობერიძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა ხელისუფლების საწინააღმდეგო სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებს რუსეთის სატახტო ქალაქში.

სტუდენტობის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული ნიკო შეუდგა მრავალმხრივ საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობას. ის იყო ილიას უპირველესი თანამოაზრე „საქართველოს მოამბის“ გამოცემასთან დაკავშირებით, გაზეთის ეკონომიკური მხარდამჭერი და

მისი ისტორიული ნაწილის ხელმძღვანელი. მანვე გაიღო დიდი თანხა გაზეთ „დროების“ გამოსაცემად და მისივე მცდელობით გამოვიდა ჟურნალი „მოამბე“.

ჩვენში ბეჭდვითი ორგანოების საქმიანობის განვითარებას ხელს უშლიდა ქართული შრიფტის დაბალი დონე და სტამბის უქონლობა. ნიკომ, დ.ბაქრაძესთან, ვ.თულაშვილთან და ს.მელიქიშვილთან ერთად, დააარსა ქართული სტამბა, რისთვისაც შრიფტი ვენაში ჩამოასხმევინეს. სტამბის შექმნისათვის საჭირო თანხის უდიდესი ნაწილი სწორედ ნიკო ლოლობერიძემ გაიღო. მანვე კვალიფიციურ სპეციალისტთა არყოფნის გამო, პეტერბურგში საკუთარი ხარჯით მოამზადა სტამბის მუშა იოსებ ჩომახიძე.

ნიკო ლოლობერიძე აფინანსებდა გოჩა-ჯიხაიშისა და რგანის სკოლებს. ეკონომიკურად ეხმარებოდა ხელმოკლე ნიჭიერ ახალგაზრდებს: პეტრე უმიკაშვილს, ფილიპე გოგიჩაიშვილსა და ეგნატე ნინოშვილს. მან თავისი ქონების დიდი ნაწილი სიცოცხლეშივე მოახმარა საზოგადო საქმეს. სიკვდილის შემდეგ კი მთელი თავისი ქონება უანდერძა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ანდერძის მიხედვით, თანხა გათვალისწინებული იყო ქართული კულტურისა და მეცნიერების ასაღორძინებლად.

ნიკო ლოლობერიძე დაკრძალულია თბილისში, დიდუბის პანთეონში.

დავითი, ბესარიონისა და ეკატერინეს მესამე ვაჟიშვილი, სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იყო პეტერბურგში სტუდენტთა გამოსვლების აქტიური მონაწილე, რისთვისაც კრონშტადტის ციხეში იჯდა სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ერევნის სასამართლოში.

ლოლობერიძეების ერთადერთი და, ანეტა, XIX საუკუნის პედაგოგიური აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს ოთხკლასიანი სასწავლებელი, შემდეგ, უფროსი ძმებისა და ბიძაშვილის დახმარებით, ჩინებული განათლება მიიღო ოჯახში. დიმიტრი მუსხელიშვილზე დაქორწინების შემდეგ გაემგზავრა ახალციხეში და საკუთარი ხარჯით გახსნა ქალთა უფასო სკოლა. ანეტა იყო ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მზრუნველთა კომიტეტის წევრი.

ანეტა 48 წლის ასაკში გარდაიცვალა და თბილისში, დიდუბის ეკლესიაში, მის დაკრძალვას მისი ოთხი ძმისგან სამი დასწრებია. გიორგი ზედმეტი მწუხარების გამო ქუთაისიდან ვერ ჩასულა. ცხედრის გამოსვენებისას მეოთხე ძმის მაგივრობა ილია ჭავჭავაძეს გაუწევია და გიორგის სანაცვლოდ შესდგომია კუბოს. ამით ილიამ გამოხატა ღრმა პატივისცემა ამ ღირსეული ოჯახისადმი. აკაკიმ კი თავისი ცნობილი ლექსი „ვარდის ხმაზედ“ („ჩონგური“) ამ შესანიშნავ ქალს უძღვნა.

სიმონ ლოლობერიძე, ამ ოჯახის უმცროსი ვაჟიშვილი, იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. მის აღზრდაზე მშობლებთან ერთად ზრუნავდა უფროსი და-ძმა, რომელთა მეშვეობით სიმონმა ბავშვობიდან აითვისა რუსული და ფრანგული ენები.

მან ქუთაისის კლასიკური გიმნაზია წარმატებით დაასრულა და ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ გადავიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, შემდეგ - კიევის უნივერსიტეტში და დამთავრებისთანავე სამშობლოში დაბრუნდა.

სიმონმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ეროვნული ისტორიის შესწავლის საქმეს. მან ფრანგულიდან ქართულ ენაზე თარგმნა მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიის“ ორტომეული,

რომლითაც სასწავლებელში დაამკვიდრა რუსეთის მიერ განდევნილი საქართველოს ისტორიის სწავლება. სიმონი მუშაობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მასწავლებლად. ის დაკრძალულია ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის გალავანში.

როდესაც აკაკი წერეთელი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ბოლო კლასს ამთავრებდა და დიდი გზის დასაწყისთან იდგა, მაშინ დაბრუნდა ქუთაისში ღოღობერიძეების ოჯახის უფროსი ვაჟი, გიორგი, მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პირველი პროფესიონალი იურისტი ქუთაისში და პირველი უმაღლესდამთავრებული კაცი მთელს დასავლეთ საქართველოში.

იგი 24 წლის ასაკში იურისტის დიპლომით დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს. ის იყო თერგდალეულთა ერთგვარი გზის მასწავლებელი, რადგანაც საუნივერსიტეტო განათლების მიღების აუცილებლობისაკენ სწორედ მან მიუთითა აკაკისა და მის გიმნაზიელ მეგობრებს. ამის შესახებ უფროსი მეგობრის დაკრძალვაზე საგანგებოდ ჩასულმა აკაკიმ თავის გამოსათხოვარ სიტყვაში აღნიშნა: „წინამორბედ-მახარობლად მოევლინა განსვენებული გიორგი იმ ახალგაზრდა გუნდს, რომელიც ჩვენში მესამოცე წლების მოღვაწეებად არიან ცნობილნი... ჩვენ, მის ნაამხანაგებს, გვახსოვს და მოვალეთა ვხდით ჩვენს თავს, არ დავივიწყოთ, რომ იმ გზისაკენ, რომელზედაც შემდეგში მესამოცე წლების მოღვაწეებმა გაიარეს ჩვენში, პირველად გიორგი ღოღობერიძემ მიგვითითა“.

გიორგი იყო მრავალი ეროვნული საქმის წამომწყები. აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გახსნაში, ეკონომიკური დახმარება გაუწია ილიას „საქართველოს მოამბის“ დაარსებაში, მზრუნველობდა გოჩა-ჯიხაიშის სკოლას, თავისი ხარჯით საკუთარ სახლში გამართა ქუთაისში პირველი ქართული წარმოდგენა - გიორგი ერისთავის „გაყრა“. იგი იყო პირველი და ერთადერთი კაცი, რომელიც XIX საუკუნის 60-70-იან წლებში წვერულვამგაპარსული დადიოდა საქართველოში. ამით მან ხელი შეუწყო ევროპული და ეროვნული პროგრესული ჩვევების ურთიერთშერწყმას.

გიორგი ღოღობერიძე დაკრძალულია ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის გალავანში.

ნუთუ შესაძლებელია ასეთი ადამიანები დაივიწყოს შთამომავლობამ, თანაც მაშინ, როცა დღესაც ვცდილობთ ევროპისკენ გავიკვალეთ გზა. სამწუხაროდ, რომ არა XX საუკუნის გაწეილი, მკაცრი წლები, ვინ იცის, ეგებ იმ აყვავებულ ბილიკს, რომელიც გაკვალა გიორგი ღოღობერიძემ და მისმა დიდმა ოჯახმა, არ მოსდებოდა სარეველა. ახლა კი ისღა დაგვრჩენია, ბილიკი გავათავისუფლოთ, მოვაშოროთ მუშლი მუხას და გავაგრძელოთ ის დიადი საქმე, რაც ორი საუკუნის წინ დაიწყო და დღესაც გრძელდება საქართველოს უკეთესი მომავლისთვის, მისი კულტურის წმინდად შენახვისთვის, რომ არ დავივიწყოთ, „რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით!“

Anastasia Makhatadze

Grigol Robakidze University

tsoji.1611@gmail.com<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.13>**SJIF 2024: 8.268****Family of Ghoghoberidze**

Abstract

In the XIXth century, the Family of Ghoghoberidze lived in Kutaisi, which raised 5 public figures in the Georgia: Giorgi, Niko, Davit, Aneta and Simon. The Ghoghoberidze brothers and sisters were founders of schools, publishers of magazines and newspapers, patrons of Georgian culture.

The older brother, Giorgi, was the first graduate lawyer in Western Georgia and a pioneer of the European image by being the first to shave off his beard and mustache, thus becoming an example for his contemporaries.

Key words: Giorgi, Niko, Davit, Aneta and Simon Ghoghoberidze.

რეცენზენტი: პროფესორი ნინო კოჭლოშვილი

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
Literature and Literary Theory

ძმები ნიკურაძეები ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან

ლალი მიქაძე

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის N1
საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი
მასწავლებელი

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.14>

SJIF 2024: 8.268

ქუთაისის პირველი სკოლა ლეგენდარული სასწავლებლის - ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ისტორიული მემკვიდრეა და მხოლოდ მის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს. ეს სასწავლებელი 2025 წელს თავისი არსებობის 195-ე წელს მიითვლის. ორი საუკუნის განმავლობაში მის კედლებში, დერეფნებში, სასწავლო აუდიტორიებსა თუ ეკლარის ქვის საფეხურებზე ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდის სუნთქვას, მზერას, ფიქრს, ოცნებას უპოვნია თავშესაფარი...აქ აღზრდილი დიდი თაობები კი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ამ სასწავლებელში ყოველთვის ისმოდა სამყაროს ეპოქალური მაჯისცემა.

ამჯერად ძმებ ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეებზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება. მათ შესახებ პირველი ცნობები საქართველოში ჩამოიტანა და გამოაქვეყნა აკადემიკოსმა გურამ შარაძემ. მისივე დიდი მონდომებით, დღეს ნიკურაძეების პირადი არქივი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. ამჯერად ნიკურაძეების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მუშაობენ ახალგაზრდა მკვლევრები: გიორგი მამულია და ედიშერ ჯაფარიძე. ნიკურაძეების ღვაწლის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ვაჟა შუბითიძე.

ივანე ნიკურაძე - ინჟინერ-ფიზიკოსი, მსოფლიო მნიშვნელობის ჰიდრაულიკოსი, მიუნხენის უმაღლესი ტექნიკური სკოლის პროფესორი, რომლის ერთ-ერთი მოდელით დღესაც სარგებლობს „პორშეს“ ფირმა.

ალექსანდრე ნიკურაძე - ფიზიკოსი და პოლიტიკურ მეცნიერებათა მოღვაწე, გიოტინგენისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი, ბირთვული ფიზიკის აღიარებული სპეციალისტი და „კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიებათა ინსტიტუტის“ დამაარსებელი. მან გერმანიის მმართველ პოლიტიკურ ელიტასთან სიახლოვე გამოიყენა ათეულობით ქართველი და ქართველი ებრაელის საკონცენტრაციო ბანაკებიდან დასახსნელად, ამიტომაც მოიხსენიებენ „ქართველ შინდლერად“

საკვანძო სიტყვები: ივანე ნიკურაძე, ალექსანდრე ნიკურაძე, ქუთაისის კლასიკური გიმნაზია

ქუთაისის პირველი სკოლა ლეგენდარული სასწავლებლის - ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ისტორიული მემკვიდრეა და მხოლოდ მის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს. ეს სასწავლებელი 2025 წელს თავისი არსებობის 195-ე წელს მიითვლის. ორი საუკუნის განმავლობაში მის კედლებში, დერეფნებში, სასწავლო აუდიტორიებსა თუ ეკლარის ქვის საფეხურებზე ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდის სუნთქვას, მზერას, ფიქრს, ოცნებას უპოვნია თავშესაფარი...აქ აღზრდილი დიდი თაობები კი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ამ სასწავლებელში ყოველთვის ისმოდა სამყაროს ეპოქალური მაჯისცემა.

სუნთქვა შეგეკვრება, როდესაც ამ ულამაზეს არქიტექტურულ ანსამბლს თვალს შეავლებ და მის ფასადზე გაკრულ ორ მემორიალურ დაფას მზერას გაუსწორებ. ვის სახელს არ ამოიკითხავთ აქ - დიდი მეცნიერების, მწერლების, ხელოვანების, სახელმწიფო მოღვაწეებისა და, ზოგადად, დიდი მამულიშვილების...თუმცა ეს მემორიალი დიდი ხანია ელის ისტორიული სამართლიანობის აღდგენას იმ გვარ-სახელების შევსებით, რომლებსაც არ სწყალობდა საბჭოთა ხელისუფლება და სწორედ ბოლშევიკური იდეოლოგიის გავლენით მიიჩქმალა უცხოეთში მოღვაწე მიხაკო წერეთლისა თუ ძმებ ნიკურაძეების საკაცობრიო ღვაწლი. მათი „დანაშაული“ ემიგრანტული ცხოვრება გახლდათ.

ამჯერად ძმებ ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეებზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება. მათ შესახებ პირველი ცნობები საქართველოში ჩამოიტანა და გამოაქვეყნა აკადემიკოსმა გურამ შარაძემ. მისივე დიდი მონდომებით, დღეს ნიკურაძეების პირადი არქივი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. ამჯერად ნიკურაძეების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მუშაობენ ახალგაზრდა მკვლევრები: გიორგი მამულია და ედიშერ ჯაფარიძე. ნიკურაძეების ღვაწლის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ვაჟა შუბითიძე.

ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეები იზრდებოდნენ სამტრედიის რკინიგზის დეპოს უფროსის მრავალშვილიან ოჯახში. ნიჭიერმა ახალგაზრდებმა წარჩინებით დაასრულეს ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და გახდნენ ახლადდაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი თაობის სტუდენტები. უფროსი ძმა, ივანე, 1919 წელს მოხვდა უნივერსიტეტის 70 რჩეულ ახალგაზრდათა სიაში, რომლებსაც, ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციით, საქართველოს მაშინდელი მთავრობა სახელმწიფო ხარჯზე აგზავნიდა გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად. ნიკურაძეების მამა სპეციალურად შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს და სთხოვა, არ დაემორბინათ ძმები ერთმანეთისთვის და ოჯახის ფინანსური დახმარებით უმცროსი ძმა, ალექსანდრეც, გაეგზავნათ გერმანიაში.

ივანე ნიკურაძე-გერმანიაში მოღვაწე ქართველი ინჟინერი და ფიზიკოსი
(1894-1979)



ივანემ წარმატებით დაამთავრა გიოტინგენის უნივერსიტეტი და 1923 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ის სამეცნიერო წრეებში შევიდა იოჰან ნიკურადის სახელით და გახდა თანამედროვე ჰიდროდინამიკის, გაზის დინამიკისა და აეროდინამიკის მეცნიერებათა ფუძემდებელ ლუდვიგ პრანდტლის საუკეთესო მოწაფე და სამეცნიერო სკოლის გამგრძელებელი. მან 10 წლის განმავლობაში იმუშავა პრანდტლის მიერ დაარსებულ ჰიდრაულიკურ კვლევა-ძიებათა ინსტიტუტის ლაბორატორიაში, რომელიც მდებარეობდა მიუნხენის ახლოს ერთ-ერთ სოფელში პასიონისტების მამათა მონასტრის სარდაფში და იკვლევდა საბრძოლო თვითმფრინავებისა და ატომური ბომბის აეროდინამიკას. სწორედ აქ იქცა ივანე ნიკურაძე გამოყენებითი მექანიკისა და თერმოდინამიკის უდიდეს სპეციალისტად. 1934 წელს ივანე ნიკურაძე გახდა აახენის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და უნივერსიტეტის კათედრისა და კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, 1945 წელს კი - მიუნხენის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორი. არის ჰიდროდინამიკისა და თერმოდინამიკის მიმართულებით შექმნილი არაერთი სახელმძღვანელოს ავტორი, მიუნხენის მაგისტრთა კოლეგიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მსოფლიო მნიშვნელობის ჰიდრაულიკოსი და ამ დარგში საკუთარი სკოლის ფუძემდებელი. მის უდიდეს მეცნიერულ აღმოჩენებსა და მიღწევებს ისიც ადასტურებს, რომ მისი სახელი უწოდეს ფორმულებს, მრუდეებსა და დიაგრამებს. მის სახელს უკავშირდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაკიდული მატარებლების თერმოდინამიკური დამუშავება.

ივანე ნიკურაძეს დიდი მიღწევები ჰქონდა სამოქალაქო ინდუსტრიაშიც. მსოფლიოში სახელგანთქმული „პორშეს“ ფირმის ცნობილი მოდელი „911“ სწორედ მისი ნახაზებითაა შექმნილი.

ივანე ნიკურაძე გარდაიცვალა 1979 წელს. დაკრძალულია გიოტინგენში.

ალექსანდრე ნიკურაძე-ფიზიკოსი, პოლიტიკურ მეცნიერებათა მოღვაწე
(1900-1981)



ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ ალექსანდრე ნიკურაძე გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, საიდანაც ძმასთან ერთად გაგზავნეს გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად. სწავლობდა გიოტინგენისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში. 1927 წელს დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იყო გიოტინგენისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი. ალექსანდრე ნიკურაძე, როგორც ფიზიკოსი, აქტიურად იყო ჩაბმული გამოყენებადი ფიზიკის სფეროში, იკვლევდა დიალექტიკურ მასალებს, მუშაობდა იონებისა და ელექტრონების თეორიებზე. 1934 წელს მან გამოაქვეყნა ცნობილი მონოგრაფია „თხევადი დიალექტრიკები“, რომელიც დიდი სამეცნიერო ღირებულების გამო თვით საბჭოეთშიც თარგმნეს რუსულად, მაშინ როცა აქ არ აღიარებდნენ ემიგრანტთა მიღწევებსა და უარყოფდნენ მათ შრომებს.

ალექსანდრე ნიკურაძე ლექციებს კითხულობდა პარიზის, ვაშინგტონის, აახენის, ბერლინისა და მიუნხენის ცნობილ უნივერსიტეტებში. 1952 წელს საფრანგეთში მისი ინიციატივით გამართულ მეცნიერთა კონგრესზე მიიღეს მისი წინადადება ცნება-ტერმინ „ევროლოგიის“ შემოღების თაობაზე, რაც დღეს ფრიად აქტუალურია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და გულისხმობს ევროპული სამეცნიერო დარგების თავმოყრასა და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას. მისი ინიციატივით, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გერმანიის უნივერსიტეტებში შემოიღეს ეკონომიკის საგნის სწავლება, რაც მალე გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც.

ალექსანდრე ნიკურაძე ითვლებოდა ქართულ-ევროპული ურთიერთობების ყველაზე კომპეტენტურ მკვლევრად. იგი ფლობდა ხუთ ენას, სხვადასხვა ენაზე თარგმნიდა ქართული ლიტერატურის შედეგებსა და ამით ეწეოდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას. აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“.

ალექსანდრე ნიკურაძე დაახლოებული იყო გერმანიის მმართველ პოლიტიკურ ელიტასთან. მისი კურსელი და მეგობარი იყო ოკუპირებული აღმოსავლეთის ტერიტორიების მინისტრი ალფრედ როზენბერგი, რომლის დახმარებითაც შექმნა „კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტი“, სადაც შემუშავდა კავკასიის კონფედერაციის შექმნის გეგმა. იგი იყო ჰიტლერის საიდუმლო მრჩეველი საბჭოთა კავშირის საკითხებში, მოღვაწეობდა პოლიტიკური ფსევდონიმით „სანდერსი“. მეგობრობდა არნო შიკედანცთან, რომელსაც გერმანიის

ხელისუფლება საქართველოს მომავალ გენერალ-გუბერნატორად ამზადებდა. ალექსანდრე ნიკურაძემ, გერმანიის მმართველ პოლიტიკურ ელიტასთან სწორედ ამ სიახლოვის გამოყენებით, ათეულობით ქართველი და ქართველი ებრაელი იხსნა საკონცენტრაციო ბანაკებიდან. იგი თავდაუზოგავად იბრძოდა გერმანიის ნაცისტური პარტიის მიერ რეპრესირებულ თანამემამულეთა გადასარჩენად. მეორე მსოფლიო ომის დროს ემიგრაციაში გახიზნული ქართველობა თავადაც საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ იყვნენ ისეთი გაბედული ადამიანები, რომლებმაც არა მარტო ქართველი ებრაელები, არამედ ისინიც, ვინც საქართველოდან არ ყოფილან, დაიხსნეს ნაცისტების რისხვისგან. სწორედ ასეთი მოღვაწეები იყვნენ ალექსანდრე ნიკურაძე, მიხეილ კედია, მიხეილ ახმეტელი, შალვა მაღლაკელიძე. მათ უკეთილშობილესი მიზნებისათვის გამოიყენეს გერმანელ პოლიტიკოსთა ნდობა, გავლენა და მაღალი ავტორიტეტი. თითოეულ მათგანს შეიძლება ვუწოდოთ „ქართველი შინდლერი“.

არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ ექვთიმე თაყაიშვილს, როცა გერმანელთა მიერ პარიზის ოკუპაციისას ქართული განძის დაკარგვის საშიშროება გაჩნდა, მძიმე მომენტში „ესესის“ ფორმაში გამოწყობილი ძმები ნიკურაძეები და მიხეილ კედია გამოეცხადნენ და განძის გადამალვაში დაეხმარნენ.

ალექსანდრე ნიკურაძე გარდაიცვალა 80 წლის ასაკში მიუნხენში და იქვეა დასაფლავებული.

ძმები ნიკურაძეების არქივი 1989 წელს ოჯახმა გადასცა საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გურამ შარაძის ხელით.

ლიტერატურა:

1. ქეთევან პატარიძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივის აღწერილობა;
2. მანანა გაბრიჭიძის სტატია „ვინ იყვნენ ლეგენდარული ქართველი ემიგრანტი ძმები, რომელთა სახელი პორშეს, დაკიდულ მატარებელსა და ჰიტლერს უკავშირდება“- ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ ვაჟა შუბითიძესთან; AMBEBI.GE.
3. მანანა გაბრიჭიძე, სტატია „პოლიტიკური ემიგრაცია საფრანგეთში დასახლდა, გერმანიაში მცხოვრები ქართველები კი ინტელექტუალები იყვნენ“--ინტერვიუ პროფესორ რუსუდან დაუშვილთან. „კვირის პალიტრა“, 2011 წ. 28 ივლისი;
4. ნიკო ჯავახიშვილი, „ვინ იყო „ქართველი შინდლერი“. „კვირის პალიტრა“, 2019 წ. 06 ივნისი.
5. Rusudan Nishnianidze. (2022). „About One Literary Review Published in France“. *Language and Culture* (March 9, 2022). Accessed March 25, 2024. <https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/805>

Lali MikadzeMentor Teacher of Georgian language and literature,
Akaki Tsereteli #1 public school of Kutaisi<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.14>**SJIF 2024: 8.268****Nikuradze brothers from Kutaisi Classical Gymnasium**

Abstract

Founded in the XIXth century, Kutaisi Classical Gymnasium has graduated dozens of world-renowned scientists, artists, writers and politicians. Among them were scientists working in Germany, the brothers – Nikuradze.

Ivane Nikuradze – engineer-physicist, world-renowned hydraulic engineer, professor of the Munich Higher Technical School, one of whose models is still used by the “Porsche” company.

Aleksandre Nikuradze – physicist and political scientist, professor of Göttingen and Berlin Universities, recognized nuclear physics specialist and founder of “Continental European research Institute”. He used his closeness to the ruling political elite of Germany to free dozens of Georgians and Georgian Jews from concentration camps, that’s why he is called “Georgian Schindler”.

Key words: Ivane Nikuradze, Aleksandre Nikuradze, Kutaisi Classical Gymnasium

რეცენზენტი: პროფესორი სოფიო ნიკოლეიშვილი

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
Literature and Literary Theory

The seduction of AI in *iPhuck 10*

Morar Andreea-Roxana

"Decebal" Theoretical High School, Bucharest, Romania

e-mail: morar.roxana95!@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.15>

SJIF 2024: **8.268**

Automata and the debate around them have been around since immemorial times: from gold and clay-made entities that came to life through divine breath to robots endowed with artificial intelligence. Viktor Pelevin imagines in *iPhuck 10* a society where sexual automata are a norm and Artificial Intelligence is seeking to overthrow the statu quo of humans.

Sexual desire and sexual behaviour become in the novel a means of manipulation all in the name of power and knowledge.

Key words: automata, AI, technology

Introduction

Viktor Pelevin's novel, *iPhuck10*, poses some sensitive questions on the relationship narrator-reader, on the condition of otherness, on the future of technology and AI, but also on the future of the concept of love, of emotional bonds and of sexual need.

The dichotomy between love as a noble feeling and love as a sexually fulfilled desire has been around since forever, being one of the central themes in philosophy, religion, psychology, literature, sociology and many other fields. In the last decades love and sexual relationships have been connected to the field of technology. From cybersex to cybrothels, from androids to gynoids, this is a new reality

we are facing and which has been explored to a certain extent by the Russian novelist in his 2017 novel.

The seduction of robots

Olga Iliina sees Maruha Cho, one of the main characters of *iPhuck10*, as the embodiment of the futuristic society presented in the book, which is “a society of victorious feminism” [4:54]. Maruha Cho appears as a woman with male characteristics (shaved hair, displaying a masculine attitude in romantic relationships) which is a clear sign of a society where the boundaries between genders were effaced. As Galina Yuzefovich states, gender becomes irrelevant in Pelevin’s new world [4:54].

There is an entire history of robots with human characteristics dating back to the 1970’s when WABOT-1 was presented in Japan [3:54] and over time scientists have perfected the technology refining it so much that robots such as Jiajia, Nadine or Sophia are extremely realistic. These humanoid robots were created to be used in sectors such as healthcare and hospitality [2], but it is necessary to highlight that the most realistic ones programmed to mirror human behavior and even feelings have female characteristics. This led, naturally, to the sexualization of female robots.

However, the robot responsible with offering sexual pleasure in Pelevin’s novel takes male characteristics. Porfiry Petrovich is an algorithm that mainly uses masculine traits and clothes but, if the situation asks, it can take up the role of a female.

There is an incessant game of seduction between Maruha Cho and Porfiry Petrovich, a seduction that mirrors that between the text and the reader. We are never to forget throughout the novel that Porfiry Petrovich is pure discourse as he describes himself. He assigns consciousness to himself at the same time as he denies his own existence.

The lack of affection can be substituted by robots to a certain degree. Although machines are programmed to imitate human behaviour and emotions, they cannot – at the moment – fully replace a person. One reason for this would be the lack of a surprise element. Human beings are unpredictable, while machines display only a learnt pattern of behaviour. Nonetheless, Pelevin goes beyond this and imagines a world where AI technology is a little bit more cunning than people. Porfiry Petrovich manages to escape Maruha’s games showing a brief success over the human race. But with all the play Porfiry Petrovich does, the ultimate conclusion he reaches is that there are too many questions we try to answer to and that in our quest to uncover the secret of life we forget to live.

At the end of the novel a question arises: why is sex so important in Viktor Pelevin’s novel? Or, rather, is sex a key-concept in *iPhuck 10*? Or is just a front to hide far more serious matters?

Sex as a tool

In Pelevin's near future society the distinction between men and women is a peripheral matter. The distinction between humans and machines is tangential in terms of emotions and pleasure. This matters only in the work field where the struggle for power is fierce. The focus is on a stimulation that goes beyond physical pleasure. The sex machines (iphucks and androgynes) are not just toys to be used in the intimacy of one's bedroom. They are storage devices that contain vital information. Therefore, the math is simple: the one who has the information, has the power. Maruha Cho is a symbol of power and of elusiveness. She is always in between, nor here, nor there, but always in charge of whatever happens in her field of work: "У нее множество ликов и личин, в том числе и «демона-искусителя», но в романе она прежде всего – человек искусства, куратор, личность, непосредственно связанная с идеей авторства и ролью творца." [1:103]. She, as all human beings, assumes the role of the creator, but Porfiry Petrovich does the same thing so a clash between the two is inevitable. In their relationship often times Maruha plays the male role, while Porfiry is forced to be the passive agent. But all this feminism discourse, as V. S. Simkina says, is just an excuse to denounce the absurdity of leading feminism and other social phenomena to the extreme [5:77].

Talking about thinking machines, Kate Devlin goes back to the Greek mythology and puts forward the idea that one of the oldest of this kind was Pandora. According to Devlin, the woman Hephaistos created was the first artificially intelligent agent [3:71]. Pandora a creation of "godly programmers" [3:71] is translated in *iPhuck 10* as the algorithmical Porfiry Petrovich who, just as the mythological woman, out of mere curiosity unleashes unstoppable events that lead to chaos. Going further, we could even say that in Pelevin's new upside-down society AI devices are just an updated version of the mythological golden maidens. Known as *kourai khryseai*, their purpose was to serve the creator but, as in Pandora's case, the more divine (in mythology) or human (in the case of AI) attributes they had, the more inclined to rebel their creator they were.

Conclusion

Viktor Pelevin's play with gender and sex automatons should not frighten us. *iPhuck 10* is not a book about a gloomy future that awaits. It is a book about the ridiculousness of the present and, at the same time, a call for temperance. The Russian author has a tradition of using trivial matters to draw attention on primordial problems and this is exactly what he does in *iPhuck 10*: a marginally subject such as sex becomes the alleged reason to discuss tolerance, acceptance and morality.

References:

1. Babay, P. N. (2019), *Метафизическая поэтика романа Виктора Пелевина «iPhuck 10»*, Вісник Харківського національного університету імені В. Н. Каразіна, Серія «Філологія». Вип. 82
2. Biba, J. (2024), *Top 22 Humanoid Robots in Use Right Now*, <https://builtin.com/robotics/humanoid-robots>
3. Devlin, K. (2018), *Turned on. Science, sex an robots*, Bloomsbury Sigma
4. Іліна, О. (2020) *The Image of “Sinister Feminists” in Modern Russian Public Discourse: Discussing The Later Dystopias of V. Pelevin*, University of Tsukuba Cultural Exchange Research Association (15): 2020
5. Simkina, V. S. (2019), *Экзистенциальный дискурс в романе В. Пелевина «iPhuck10»*, <http://www.vestnik.vsu.ru/pdf/phylolog/2020/01/2020-01-19.pdf>

Морар Андрея-Роксана

"Дечебал" Теоретическая средняя школа, Бухарест, Румыния

e-mail: morar.roxana95!@yahoo.com<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.15>SJIF 2024: **8.268****Соблазнение ИИ в «iPhuck 10»****Аннотация**

Автоматы и споры вокруг них существуют с незапамятных времен: от созданных из золота и глины существ, оживших благодаря божественному дыханию, до роботов, наделенных искусственным интеллектом. Виктор Пелевин представляет в «iPhuck 10» общество, в котором сексуальные автоматы являются нормой, а искусственный интеллект стремится свергнуть статус-кво людей. Сексуальное желание и сексуальное поведение становятся в романе средством манипулирования во имя власти и знаний.

Ключевые слова: автоматы, ИИ, технологии**Рецензент:** профессор София Муджири

თარგმანთმცოდნეობა TRANSLATION SCIENCE

თარგმანი, როგორც კულტურათა სინთეზი თარგმანის თანამედროვე
თეორიათა კონტექსტში

მაია ბოლაშვილი, ნანა მაზმიშვილი

გორის სახ. უნივერსიტეტი

ბათუმის სახ. უნივერსიტეტი

e-mail: bolashvilimaia@gmail.com

e-mail: nana.mazmishvili@bsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.16>

SJIF 2024: 8.268

თარგმანთმცოდნეობას, როგორც ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის, სტილისტიკის, სოციო-ლინგვისტიკისა და პრაგმატიკის ერთ-ერთ მულტიფუნქციურ დარგს მთარგმნელობით საქმიანობასთან შედარებით არც თუ ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. თუმცა უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით ის წარმატებით ვითარდება როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში, ასევე საქართველოშიც, რადგან ამის დასტურია თარგმანის უამრავ თეორეტიკოსთა მნიშვნელოვანი მოსაზრებანი და მათი ემპირიული გამოცდილება, რომელიც მათ ნაშრომებშია ასახული და მიუხედავად აზრთა მრავალფეროვნებისა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ თარგმანი უპირველესად კულტურათა დიალოგია და მთარგმნელს კულტურეგერის საპატიო ფუნქცია ენიჭება.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია XX ს-ის რამდენიმე ცნობილ თარგმანის თეორეტიკოსთა, მათ წინამორბედთა და ასევე გამოჩენილ ლიტერატურულ მოღვაწეთა მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს თარგმანი, მოყვანილია რამდენიმე მაგალითი მთარგმნელის უფლება-მოვალეობაზე და წმინდა წერილის, -ბიბლიის და მსოფლიო ლიტერატურის, - კერძოდ ძველი ინდური ეპოსების სხვადასხვა თანამედროვე ინდურ ენებსა და ქართულზე ტრანსფორმაციის ფაქტები, ბერძნული და ლათინური ტექსტების უახლეს ევროპულ და ქართულ, ხოლო ძველი არაბული და სპარსული ტექსტების თარგმანები, როგორც თანამედროვე, ასევე ქართულ ენებზე. სტატიაში ასევე საუბარია XIX ს-ის ბოლოს დიდ ბრიტანეთზე, სადაც იმპერიის ძალაუფლების ზრდასთან ერთად თარგმანმა თავის ფუნქცია დაკარგა და ის აღარ ითვლებოდა ბრიტანული კულტურის გამდიდრების ერთ-ერთ საშუალებად.

XX ს-ის შუა პერიოდისთვის ლინგვისტთა და თარგმანთმცოდნეთა გარკვეული ნაწილი იზიარებს თარგმანის დინამიკური ეკვივალენტობის კონცეფციას, რომელსაც არა ერთი სახელმძღვანელო, მონოგრაფია თუ კვლევა მიეძღვნა როგორც ევროპულ, ასევე ქართულ ენებზე, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ მასში პირველ პლანზე წამოწეულია თარგმანის პრაგმატული განზომილება, -მთარგმნელის ორიენტაცია თარგმანის ტექსტის ადრესატზე.

საკვანძო სიტყვები: წყარო ენა, სამიზნე ენა, ეკვივალენტი, სინტაქსურ-სემანტიკური, ტრანსლატაცია, კულტურათა შეჯახება, დინამიკური ეკვივალენტობა

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნებისმიერი ტექსტი ინტერპრეტაციაა და ყოველი ინტერპრეტაცია - ტექსტის დეკოდირება. ამიტომ, თარგმანი დეკოდირებისა და კოდირების თანადროული პროცესს წარმოადგენს. მაშინ, როცა ის წყარო ენის (SL) ტექსტში არსებული მნიშვნელობის დეკოდირებას ახდენს, მნიშვნელობის გადატანასაც ასევე კოდირებული ფორმით ახორციელებს სამიზნე ენაზე (TL). ასე რომ, ყოველი თარგმანი ორიგინალის ტექსტის გაგრძელება-გაფართოებაა, რომელიც ახალ ღირებულებას იძენს და ასევე სამიზნე ენას (TL) ამდიდრებს. თუმცა ეს პროცესი არა მხოლოდ ერთი ლინგვისტური რეესტრიდან მეორეზე მარტივ, მექანიკურ გადატანას საჭიროებს, არამედ სწორ გააზრებას მოითხოვს, რადგან მთარგმნელს ორ ენასა და კულტურას შორის შეჯახებასთან აქვს საქმე. თარგმნის პროცესში ორ ლინგვისტურ რეესტრს შორის არსებული მთელი რიგი ფარული სოციო-ლინგვისტური რეაქციები ზედაპირზე ამოდის. პრადის სკოლის ერთ-ერთი ცნობილი ლინგვისტი და თარგმანის თეორეტიკოსი, ჯირი ლევი თავის წიგნში „თარგმნის ხელოვნება“ განმარტავს, რომ: „თარგმანი მონისტური თხზულება კი არ არის, არამედ ორი სტრუქტურის ინტერპრეტაცია და კონგლომერატია. ერთის მხრივ, მასში თავმოყრილია სემანტიკური კონტენტი და ორიგინალის ფორმალური კონტურები, ხოლო მეორეს მხრივ,- თარგმანის ენასთან დაკავშირებულია ესთეტიკურ მახასიათებელთა მთელი სისტემა“ [Levy, 1963:5-6].

მაშასადამე, თარგმნის ხელოვნება ორ გზის პროცესად უნდა იქნას აღიარებული: ორიგინალის ტექსტში გარკვევა და მისი შეფასება და შემდეგ, განსხვავებულ ენაზე ახალი ტექსტის შექმნა. აღნიშნულ პროცესს სუზან ბასნეტი თანამედროვე მიდგომის მიხედვით ასე განმარტავს: „...უპირველესად, ორივეს ანუ წყარო (SL) და სამიზნე (TL) ენაზე არსებული ზედაპირული მნიშვნელობები მსგავსი უნდა იყოს და მეორე, ორივე ენის ლინგვისტური სტრუქტურა შენარჩუნებული უნდა იქნეს“ [Bassnett-McGuire, 1980:2]. ამგვარ მიდგომას იმ აზრამდე მივყავართ, რომ თარგმნის პროცესი ტექნიკური უნარ-ჩვევაა და ორ ლინგვისტურ ჯგუფს შორის მეცნიერულ დონეზე გარკვევას საჭიროებს. ტექნიკურ უნარ-ჩვევაზე ყურადღების გამახვილების გარდა, თარგმანი ასევე გულისხმობს ერთ ენაში არსებული მნიშვნელობის მეორეზე გადატანას, თითოეული ენის კულტურის ფესვების გათვალისწინებით.

თარგმანს, როგორც ხელოვნების ფორმას, თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი კვლევის საგნისგან განცალკევებული დიდი ისტორია აქვს. უძველესი დროიდან ცოდნა უძველესი და კლასიკური ტექსტების თარგმნის და გავრცელების პროცესის საშუალებით მდიდრდებოდა და ასე გრძელდება. მაგალითად, ძველი ინდური ეპოსები ითარგმნა სხვადასხვა თანამედროვე ინდურ ენებსა და ქართულზე, ბერძნული და ლათინური ტექსტები უახლეს ევროპულ და ქართულ ენებზე, ხოლო ძველი არაბული და სპარსული ტექსტები, როგორც თანამედროვე, ასევე ქართულ ენებზე. ჩვ.წ. აღ. III ს-ში კალიდასმა უძველეს ეპოს მაჰაბჰარატადან ერთ-ერთი ეპიზოდი სანსკრიტულ პიესად,- შაკუნტალა აბჰიჯნამინად გადააქცია, რომელიც შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ითარგმნა რამდენიმე ინდურ ენაზე, ხოლო XIX ს-ში უილიამ ჯოუნსმა ეს ტექსტი ინგლისურად თარგმნა, რასაც მრავალ ევროპულ ენებზე თარგმანი მოყვა, რომელთა შორის გოეთეს მიერ გერმანულად თარგმნილი ერთ-ერთი საუკეთესოა.

წმიდა წერილის თარგმანი ერთ-ერთ საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს. ბიბლიას, ძველ აღთქმას, რომელიც სირიის უძველეს ენაზე, არამეულზეა დაწერილი, ძვ.წ. აღ. Vს-ში სამარიტანულ და ებრაულ ენებზე თარგმნილი ტექსტები მოყვა, ხოლო ჩვ.წ.აღ. III ს-ში ის ბერძნულად (სეპტუაგინტა) ითარგმნა, ხოლო შემდეგ უკვე ჩვ.წ.აღ. IV ს-ში წმ იერონიმემ ლათინურ ენაზე შეასრულა მისი თარგმანი და ვულგატის სახელწოდებით იყო ცნობილი. შუა საუკუნეებში წმ. ბიდის მიერ თარგმნილ ბიბლიას მალე ვიკლიფის მიერ პოპულარულ ინგლისურ ენაზე თარგმნილი ბიბლია მოყვა, ხოლო კრანმერის ბიბლია, რომელიც დიდი ბიბლიის სახელითაა ცნობილი, 1539 წელს გამოჩნდა. 1611 წელს კი ჯეიმს I-ის მიერ ავტორიზებული

ბიბლიის პირველი ინგლისური ვერსია გამოიცა, რომელიც უბრალო ხალხისთვის იყო ხელმისაწვდომი.

ასეთ მნიშვნელოვან ტექსტთა თარგმანში საკითხი არ დგას იმის შესახებ თუ რამდენად ზუსტი თარგმანია შესრულებული, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა დამახინჯებული ან მცდარი ინტერპრეტაციითაა გადმოცემული, არამედ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ისინი ითარგმნა და დღემდე მოაღწია, რაც შესაძლებელია, რომ თარგმნის გარეშე საერთოდ დაკარგულიყო.

ეკვივალენტობის პრობლემას პირდაპირ მივყავართ დისკუსიამდე, რომელიც თარგმნას ან ხელოვნების ფორმად მიიჩნევს ან უბრალო ხელობად. როგორც ადრეულ პერიოდში მიაჩნდათ, მთარგმნელი არა მხოლოდ ორიგინალის და თარგმნილ ტექსტებს შორის არსებულ სინტაქსურ გამართულობას ცდილობს, არამედ ტექსტში ჩაკარგულ სემანტიკურ მნიშვნელობათა ეფექტურ კომუნიკაციასაც ახდენს. ვოლტერ ბენჯამინის აზრით [Benjamin, 1970:73] ორივე, -წყარო ენის (SL) და სამიზნე ენის (TL) ტექსტებსაც ცვლილება ჭირდებათ მესამე შესწორებული და დახვეწილი ვარიანტის მისაღებად. თარგმნა იმ რაღაცის ტრანსფორმაციისა და განახლების პროცესია, რაც რაღაცაში არსებობს გაცილებით უფრო დინამური და ორგანული. ის ამტკიცებს, რომ: „...თარგმნა შეუძლებელი იქნებოდა, არც ერთი თარგმანი არ იარსებებდა, თუ ის თავისი საბოლოო არსით, ორიგინალის დამსგავსებას შეეცდებოდა”. ისევე, როგორც გამოგონილი, მხატვრული წარმოსახვა არ შეიძლება იყოს რეალობის ასლი და წარმოსახვითი რეკრეაციის სფეროში რჩება, ანალოგიურად თარგმანი არ უნდა იყოს ორიგინალის ზუსტი ასლი. თუ მას რაიმე ახალი არ დაემატა, ის ღირებული არასოდეს იქნება. სამიზნე ენაზე (TL) სინტაქსურად გამართული ეკვივალენტობის მისაღწევად წყარო ენაზე (SL) არსებული ფაქიზი ნიუანსები და იდიომატური გამოთქმები აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

XIX საუკუნის ბრიტანეთში თარგმანს მზარდი საშუალო ფენების განათლებისა და ძველი და კლასიკური ევროპული ტექსტების გაცნობის საჭიროების გამო ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნდა. ასეთი ტექსტების დიდი რაოდენობა ითარგმნა და იმ დროისათვის მათზე მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა. ამას ხელი შეუწყო დასავლეთში უძველესი დროიდან არსებულმა კულტურულ-ტრადიციულმა კავშირებმა. როდესაც პოპულარულ ენაზე შესრულებული თარგმნილი ტექსტების რაოდენობა გაიზარდა, თარგმანი ვიქტორიანული პერიოდის მთავარი ლიტერატურული მოღვაწეების ყურადღების ცენტრსა და კრიტიკის ქვეშ მოექცა. თავის ესეში „ჰომეროსის თარგმანის შესახებ“, მეთიუ არნოლდმა მომავალ მთარგმნელებს ასეთი რჩევა მისცა: „დაე, მთარგმნელი არ ენდოს თავის წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ რას იფიქრებდნენ მასზე ძველი ბერძნები; ის გაურკვეველობაში ჩაიკარგება; დაე, არ ენდოს იმას, რასაც მასზე უბრალო ინგლისელი მკითხველი ფიქრობს, რადგან მეგზურად ბრძანს გაიყოლებს; დაე, არ ენდოს თავისი საქმის თვითგანსჯას, რადგან მისმა პიროვნულმა კაპრიზმა შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს. დაე, მან ჰკითხოს მათ, ვინც ბერძნული იცის და პოეზიით ადფრთოვანებაც შეუძლია, თუ როგორი ეფექტი ჰქონდა მათზე მის თარგმნილს...“ [Arnold 1914:247].

XIX საუკუნის ბოლოს, ბრიტანეთის იმპერიული ძალაუფლებისადმი ნდობისა და ეროვნული კულტურისადმი სიამაყის ზრდასთან ერთად, თარგმანი აღარ იყო საჭირო, როგორც ბრიტანული კულტურის გამდიდრების საშუალება. თარგმანი ხელოვნების დაქვეითებულ ფორმად იქნა მიჩნეული და მთარგმნელი უბრალო ხელოსნის და ტექნიკოსის დონეზე განიხილებოდა. თუმცა XX საუკუნეში თარგმანისადმი ასეთ მიგომას აშკარა რეაქცია მოჰყვა, რის შედეგადაც მიღებული ცვლილება მთელი პროცესის დეპოლიტიზირება იყო. ბოლო პერიოდში, - XX საუკუნის დასასრულს და XXI საუკუნის დასაწყისისთვის, თარგმანის ტექნიკური წესების რიტორიკით დაწესებული შეზღუდვებისგან გადარჩენის აქტიური მცდელობა შეინიშნება, რაც თავისუფალი თარგმანის კონცეფციის დანერგვაში გამოიხატება წყარო ენიდან (SL) სამიზნე ენაზე (TL).

თარგმანის თანამედროვე თეორიათა კონტექსტში თარგმანი მხოლოდ საწყისი ტექსტის მნიშვნელობის უბრალო რეპროდუქციას და არც მასში შემავალი სინტაქსის პირდაპირი

გადმოცემას ითვალისწინებს, არამედ ორივეს ერთგულების და თავისუფლების ხარისხით აღქმის მცდელობაა. ვოლტერ ბენჯამინი, რომელიც მხარს უჭერს ერთგულების და თავისუფლების ცნებას, აცხადებს [Benjamin, 1970:73]: „ნამდვილი თარგმანი გამჭვირვალეა; ის არ ფარავს ორიგინალს, არ ბლოკავს სინათლეს, თუმცა ენის სიწმიდეს გამჟღავნების საშუალებას აძლევს, ისე, თითქოს მისივე საშუალებით უფრო გაძლიერდეს და ორიგინალის ტექსტს გაცილებით მეტად და სავსებით აბრწყინებდეს“.

თარგმანის ეკვივალენტობის თეორია, რომელიც XX საუკუნის დასასრულის ამერიკელ და ბრიტანელ თუ სხვა ევროპელ თარგმანმცოდნეთა და თეორეტიკოსთან მნიშვნელოვანია მონაპოვარია, რომელიც წყარო ენიდან (SL) სამიზნე ენაზე (TL) ტრანსლატაციისა და განსაკუთრებით მხატვრული ტექსტის შემთხვევაში აქცენტს არა ზუსტ, ადეკვატურ თარგმანზე, არამედ მთლიანად ეკვივალენტურ გზავნილზე აკეთებს, კიდევ უფრო ცხადად წარმოაჩენს თარგმანის კულტურათა შორის დიალოგის, მთარგმნელის კულტურეგერის ფუნქციისა და მისიის საჭიროებას.

ლიტერატურა:

1. ალიბეგაშვილი გ., დუღაშვილი ე., მღებრიშვილი თ., -თარგმანის ისტორია. გამომცემლობა "ქართული უნივერსიტეტი". თბილისი. 2017. გვ. 87.
2. საყვარელიძე ნ., -თარგმანის თეორიის საკითხები (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2001. გვ. 93-103.
3. Bassnet-McGuire S., -Translation Studies. Methuen. London. 1980. p.119-121.
4. Benjamin W., -Illuminations. Cape. London. 1970. p.73.
5. Hatim B., Mason I., -The Translator as Communicator. Routledge. London & New York. 1998. p.305-337.
6. Levy J., -The Art of Translation. Československy Spisovatel. Prague. 1963. p.24-31.
7. **Matthew A.**, - Essays, Lecture I. Oxford University Press. London. 1914. p.234-241.

Maia Bolashvili, Nana Mazmishvili

Gori State University,

Batumi State University

e-mail: bolashvilimaia@gmail.com

e-mail: nana.mazmishvili@bsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.16>

SJIF 2024: 8.268

Translation as a synthesis of cultures in the context of modern theories of translation

Abstract

Translation studies, as one of the multifunctional fields of linguistics, literary studies, stylistics, socio-linguistics and pragmatics, has not a very long history compared to the translation activity. However, it must be said that today it is successfully developing both in Western European countries and America, as well as in Georgia, because this is evidenced by the important opinions of many translation theorists and their empirical experience, which is reflected in their works, and despite the diversity of opinions, everyone agrees that translation is primarily a dialogue between cultures and the translator is given the honorary function of the moderator between two cultures.

The present paper discusses the opinions of several famous translation theorists of the XXth century, their predecessors, as well as prominent literary figures about what a translation must be, some examples of the translator's rights and duties are given. The Holy Scriptures, - the Bible and world literature, especially ancient Indian, the facts of the transformation of epics into various modern Indian languages and Georgian, translations of Greek and Latin texts into modern European and Georgian, ancient Arabic and Persian texts into both modern and Georgian languages are analyzed in the context of modern translation theories. The article also talks about Great Britain at the end of the 19th century, where with the growth of the empire's power, translation lost its function and it was no longer considered one of the means of enriching British culture.

By the middle of the XXth century, a certain number of linguists and translation experts shared the concept of dynamic equivalence of translation, to which a lot of textbooks, monographs or studies were dedicated to both European and Georgian languages, the essence of which lies in the fact that the pragmatic dimension of translation is focused on a translator's orientation to the addressee of the translation text and its message.

Key words: source language, target language, equivalent, syntactic-semantic, translation, blending of cultures, dynamic equivalence

რეცენზენტი: პროფესორი ციური ახვლედიანი

ისტორია History

იაკობ რაინეგსი და საქართველო

მანანა ფხაკაძე, ქეთევან გარდაფხაძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: makopkh@gmail.com
<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.17>
SJIF 2024: 8.268

XVIII საუკუნის გერმანელმა მოგზაურმა, რუსეთის ემისარმა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეფის კარზე 1777-1781 წლებში, ავანტიურისტმა იაკობ რაინეგსმა (1744-1793 წწ) სპეცდავალების (საქართველოში წიაღისეულის, მინერალური წყლების, მეტალების, ნახევრად ძვირფასი ქვების, ნავთობის შესწავლა) შესრულებასთან ერთად გარკვეული კვალი დაამჩნია ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და საბუნებისმეტყველო - ტექნიკურ ცხოვრებას. მან ბევრი ევროპული ტექნიკური სიახლე ქართულ პრაქტიკაში დაამკვიდრა. იაკობ რაინეგსმა წარმატებით დაასრულა თავისი მისია, დაარწმუნა მეფე ერეკლე ხელი მოეწერა გეორგევსკის ტრაქტატზე და თავისი ღვაწლი ამ საქმეში ხელმოწერითაც განამტკიცა.

საკვანძო სიტყვები: რაინეგსი, საქართველო, ისტორია, წიაღისეული

იაკობ რაინეგსის ცნობები საქართველოს შესახებ. XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაური, ექიმი და ბუნებისმეტყველი იაკობ რაინეგსი (1744-1793 წწ) 1777-1781 წლებში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის (1720-1798 სს) კარზე მოღვაწეობდა საქართველოში და მან გარკვეული კვალი დაამჩნია ჩვენი ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და საბუნებისმეტყველო - ტექნიკურ ცხოვრებას.

რაინეგსის ნამდვილი გვარ-სახელი იყო ქრისტიან-რუდოლფ ელიზი. 1762 - 1768 წლებში მედიცინას ეუფლებოდა ლაიპციგში. საფუძვლიანად შეისწავლა აგრეთვე ქიმია და მინერალოგია. 1773 წელს ქ. ტირნაუში (უნგრეთი) მიიღო მედიცინის დოქტორის ხარისხი. 1776 წელს გაემგზავრა აღმოსავლეთში, რასაც წინ უსწრებდა მოსამზადებელი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მან შეისწავლა რამდენიმე აღმოსავლური ენა. ამასთან ერთად საბოლოოდ დახვეწა თავისი ცოდნა გამოყენებითი მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორცაა ტექნიკური ქიმია, მინერალოგია, სამთო საქმე და მეტალურგია.

რაინეგსით, როგორც საბრძოლო საქმეებში ჩახედული სპეციალისტით, დაინტერესდა რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ის მინისტრი გრიგოლ პოტიომკინი და საგანგებო დავალებით ის 1782 წელს საქართველოში გამოაგზავნა ერეკლესა და იმერეთის მეფე სოლომონის რუსეთის მხარეზე გადასაბირებლად. 1783-1787 წლებში რაინეგსი ექიმად მუშაობდა

ასტრახანაში, ხოლო 1787 -1793 წლებში ის ძირითადად პეტერბურგში იმყოფებოდა და გარდაიცვალა იქვე 1793 წ.

ქართულ საზოგადოებაში მან სახელი გაითქვა როგორც დახელოვნებულმა ექიმმა. ერეკლე მეფისათვის, რომელიც ქვეყნის სამთო-მეტალურგიული წარმოების განვითარებისათვის ყველაფერს აკეთებდა, რაინეგსი ის შეუცვლელი მრჩეველი და სპეციალისტი აღმოჩნდა, რომელსაც შეეძლო მრავალი ევროპული ტექნიკური სიახლე ქართულ პრაქტიკაში დაემკვიდრებინა. გერმანელმა მკვლევარმა, რომელიც ვენაში მსახიობობდა, კულტურის სფეროშიც გამოიჩინა თავი, მას მონაწილეობა უნდა ჰქონოდა მიღებული 1780 წელს ქართული თეატრის დაარსებაში [გელაშვილი 2002:42].

რაინეგსის ცნობები სააქართველოს შესახებ მისი გარადაცვალების შემდეგ გერმანულად პეტერბურგში 1796-1797 წლებში გამოიცა ნაშრომით “Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus“. “აღწერილობას” დაერთო ი. რეინეგსის ბიოგრაფია, რომელიც შეადგინა მოგზაურის ნაცნობმა და ბიოგრაფმა ი. გ. გერსტენბერგმა [Reineggs, J. 1797]. ამ “აღწერილობიდან” უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებული მასალები რაინეგსის ბიოგრაფიასთან ერთად ქართულ ენაზე თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა [გელაშვილი 2002].

რაინეგსის “მოგზურობა საქართველოში” უაღრესად საინტერესო მასალებს შეიცავს XVIII ს. II ნახევრის საქართველოს კულტურის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ეკო-ნომიკისა და ა.შ. სფეროებიდან. განსაკუთრებით საინტერესოა ქვეყნის სხვადასხვა მხარის მინერალური რესურსების საკმაოდ დეტალური აღწერილობა, რომელიც ამ რესურსების ადგილზე შესწავლის საფუძვლზე არის შედგენილი.

პირველ რიგში უნდა შევხვით ი. რაინეგსის იმ მოსაზრებებს, რომელსაც ის საქართველოსთან და ქართველ ხალხთან დაკავშირებით გამოთქვამს. მისი პირველი შთაბეჭდილება ქვეყნის შესახებ ცოცხლად არის წარმოდგენილი ფრაგმენტში, რომელიც მოგზაურის საქართველოში შემოსვლის ეპიზოდს აღწერს. თუმცა ეს ფრაგმენტი მოგზაურის ბიოგრაფს ი. გერსტენბერგს ეკუთვნის, მაგრამ ის რაინეგსის ჩანაწერებისა და წერილების გამეორებას წარმოადგენს და პირველწყაროს სტატუსით მის გამონათქვამს ასეთი სახით გადმოსცემს: -“რაინეგსმა ...დაინახა ცამდე აწვდილი იქაური მთები, სადაც ერთმანეთზე მიჯრილი ქედები კავკასიამდე აღწევენ და გადამთიელ მეზობელს უნშობენ შესასვლელს... კეთილმა ბუნებამ დაიცვა ქვეყნისა და ერთი მუჭა ხალხის მდიდარი საგანძური, რომელმაც შექმნა ნარევი, რაც აზიასა აქვს განსაკუთრებული და ევროპას თავისებური, აქ ერთად მოაქცია” [გელაშვილი 2002:79-80].

ციტირებულ ფრაგმენტში ზუსტად არის აღნიშნული, რომ ქართველები აღმოსავლური და ევროპული კულტურების ურთიერთშერწყნის მატარებელ ხალხს წარმოადგენდა, რომელსაც “კეთილი ბუნება” “გადამთიელი მეზობლიდან” იცავდა ზღუდედ ამართული კავკასიონის ქედების სახით (თუმცა შემდგომში ერთმორწმუნე რუსეთი ის “გადამთიელი მეზობელი” გახდება, რომელიც “ერთ მუჭა ხალხს” ვერაგულად თავს დაესხმება და კავკასიონი საფარი ზღუდის დანიშნულებას უკვე ვეღარ შეასრულებს). რაინეგსი ქართველების ტრადიციულ სტუმართმოყვარეობას აღნიშნავს: „არასოდეს ნაცნობი და სახელოვანი მგზავრი იბერიელის სახლს ისე ვერ ჩაუვლის, რომ ბიჭმა კვერცხები, თაფლი და ღვინო არ დაახვედროს და თუ სტუმარი წასვლას დააპირებს, აიძულებენ ან ცოტა გასინჯოს, ანდა თან წაიღოს” (გელაშვილი გ. 2002:136). განსაკუთრებით უსვამს ხაზს ი. რაინეგსი ქართველების შემწყნარებლობასა და კეთილგანწყობას თანამოსახლე სხვა ერის წარმომადგენლებისადმი. მრავალსუკუნოვანი მეგობრობის თვალსაჩინო გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ავტორის შემდეგი ცნობა ცხინვალში მცხოვრები ებრაელების შესახებ: „ებრაელებს აქ არა აქვთ მცირე მისწრაფებაც კი მევახშეობისა და ვაჭრობისადმი; ეწევიან მხოლოდ მემინდვრეობას და სხვა ქართველი გლეხებივით ცხოვრობენ. ისინი ისევე დაბეგრული არიან გადასახადებითა და საბატონო ბეგარით, მათთან ერთად მიდიან ომში და ქართველებისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სახელწოდებითა და

რელიგიით” [გელაშვილი გ. 2002:153]; მაგრამ მას ასევე ქართველების ნაკლები მხარეებიც არ დარჩენია შეუმჩნეველი: „იბერიელი ისევე ამაყია, როგორც უდარდელი” – აცხადებს ის – “როცა იყინება, მაშინ შეაგროვებს შეშას და როდესაც შია, მხოლოდ მაშინ მოიფიქრებს მოძებნოს, აქვს თუ არა რაიმე საჭმელად” [გელაშვილი 2002:136]; “ისინი ისე ყოჩაღები და დაუღალავები არ არიან, როგორც ურთიერთ ქიშპსა და ბრძოლებში” [გელაშვილი 2002:178].

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა რაინეგსზე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ, რომლის მიწვევითაც ის საქართველოში ჩამოვიდა. მოგზაურის ბიოგრაფი ი. გერსტენბერ-გი აღნიშნავს, რომ ის ძალზე თბილად მიიღო მეფემ და ხანგრძლივმა საუბარმა დაადასტურა ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა და სიმპათიები. ერეკლე, ბიოგრაფის სიტყვებით, „დარწმუნებული იყო, რომ რაინეგსი ნახავდა იმას, რისი იმედიც ჰქონდა; ეს უკანასკნელი კი მბრძანებლის პიროვნებაში ნამდვილად ხედავდა კაცს, რომლის მსგავსი საუკუნეებში ერთი თუ იბადება” [გელაშვილი:2002:81]. თავის მხრივ, რაინეგსიც არ მალავს თავის კეთილგანწყობასა და პატივისცემას ქართლ-კახეთის მეფის მიმართ და შესაბამისად ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: “მეფე ერეკლეში მე დავინახე ღირსეული კაცი, როგორც შეიძლება ბუნებამ შექმნას. მე ის შევიყვარე და ჩვენი მეგობრობა ისე გაღრმავდა, რომ მას მამასაც კი ვეძახდი” [გელაშვილი 2002:89].

მეგობრობის გაღრმავებას უდაოდ შეუწყო ხელი საქართველოს წიაღისეულის საკმაოდ დეტალურმა შესწავლამ, რომელიც რაინეგსმა ერეკლეს დავალებით ჩაატარა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ ქართულ პრაქტიკაში მთელი რიგი ევროპული ტექნიკური სიახლეების დანერგვას, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

რაინეგსის ზოგადი ცნობებიდან, რომლებიც საქართველოს ისტორიას შეეხება, ყურადღებას იქცევს ინფორმაცია ხალხში გავრცელებული თქმულების შესახებ. ერთ-ერთ ასეთ ნიმუშად „მოგზაურობიდან” შეიძლება დავასახელოთ უძველესი თქმულება ბაგრატიონთა გვარის დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით რაინეგსი აღნიშნავს: „იბერიელები და მათთან ერთად გეორგიელები ამტკიცებენ, რომ მათ სამეფო გვარი ქალწული მარიამისაგან და პირდაპირი დავითისაგან წარმომავლობს, და რომ ის ქვეყნის დასასრულამდე იმეფებს” [გელაშვილი : 2002:175]. „იბერიელებში” აქ ძველი, ხოლო “გეორგიელებში” ახალი (ე.ი. XVIII ს) ქართველები იგულისხმება. ასე რომ ამ ლეგენდას რაინეგსი როგორც მწიგნობრული გზით, ისე ქართული ზეპირსიტყვიერების საშუალებით უნდა გასცნობოდა [გელაშვილი :2002: 163, 175). მეორე ასევე ძველი თქმულება ქართველთა და ესპანელთა ნათესაობას შეეხება, რომელთა ქვეყნების ძველი სახელწოდება ერთი და იგივეა და „იბერია” არის ცნობილი. რაინეგსის სიტყვებით, ქართველები “ძველი ზეპირი გადმოცემებით ამტკიცებენ, რომ ისინი აქ ესპანეთიდან გამოგზავნეს ლითონების დასამუშავებლად. მათ სახელი იბერია ესპანეთიდან მომდინარედ მიაჩნიათ” [გელაშვილი:2002:174].

რაინეგსის ეს ინფორმაცია ერთ სიახლეს შეიცავს, რომელიც სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის. კერძოდ, საქართველოში ჩამოსვლის მიზეზად ლითონების დამუშავებაა დასახელებული, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ძველი ქართველების კავშირს სამთამადნო-მეტალურგიულ ხელოვნებასთან. სხვათა შორის, თავად რაინეგსს ეს თქმულება საკმაოდ სანდოდ მიაჩნდა, ვინაიდან ქართლ-კახეთის წიაღისეულის დეტალური გამოკვლევისას ის არაერთხელ წააწყდა ძველი გამონამუშავების და მიტოვებული მადაროების კვალს. სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა მას, “რომ დღევანდელი იბერიის მთები ძვირფასი ლითონებით ძალზე მდიდარია და მართლაც, როგორც ჩანს, ძველად დაუმუშავებიათ” [გელაშვილი 2002:124].

რაინეგსს უყურადღებოდ არც ზოგიერთი ძველი ეპიგრაფიკული ძეგლი დაუტოვებია: “მცხეთის ჩრდილოეთით მდებარე ნახევრადდანგრეულ ძლიერ ციხეში არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ყოფილა წარწერა, რომლიდანაც განსწავლულ ქართველებს ბერძნულ ენაზე დაწერილი სიტყვა აკროსტოპოლისი ამოუკითხავთ” [გელაშვილი 2002:156]. ასევე საინტერესოა რაინეგსის მიერ მოხსენებული მეორე წარწერაც, რომელიც თბილისს ეხება. ავტორი არ აზუსტებს, თუ კონკრეტულად რომელ ციხე-სიმაგრეში იყო მის დროს ეს წარწერა და მხოლოდ ზოგადად

აღნიშნავს, რომ ეს ქალაქი „ერთი ძველი წარწერით, რომელიც ჯერ კიდევ ციხე-სიმაგრეში ჩანს, ერთ-ერთი მმართველის, ლევანის მიერ 1063 წელს უნდა იყოს აშენებული“ [გელაშვილი 2002:158]. აღნიშნული ცნობა აშკარად დამახინჯებულად არის გადმოცემული. ვინაიდან XI ს-ში “მმართველი ლევანი” არ არის ცნობილი და მითუმეტეს ჯერ კიდევ V ს დაარსებული ქალაქის “აშენების “ თუ დაარსების თარიღად 1063 წლის დასახელება კიდევ უფრო უხეშ შეცდომას წარმოადგენს. მაგრამ მეორეს მხრივ, სწორედ ამ 1063 წლის დასახელება არის ნიშანდობლივი, ვინაიდან ცნობილია, რომ ამ წელს ეს ქალაქი მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ) ხელში გადავიდა [ნარკვევები 1979:168]. ამიტომაც რაინეგის ეს ცნობა ყურადსაღებია.

საქართველოს ისტორიული წარსულის იმ ობიექტებს შორის, რომლებმაც რაინეგის ყურადღება მიიქციეს, კლდეში ნაკვეთი ქალაქები და დასახლებები იყო. მაგალითად, უფლისციხე [გელაშვილი 2002:194-195]. რაინეგს, როგორც სამთო საქმის სპეციალისტს, უდაოდ კარგად უნდა სცოდნოდა, თუ რა სიძნელები უნდა დაეძლიათ კლდის მკაფავ ქართველებს ასეთი კომპლექსის შექმნისას. ამავე დროს ის ხაზს უსვამს გარემოებას, რომ საქართველოში უფლისციხის მსგავსი ქალაქები იშვიათობა როდი არის „ამნაირი შრომით კლდეში ნამოღვაწარს“ - აცხადებს ის - ბევრგან ვხვდებით და ხშირად ისეთ ადგილებში, სადაც ამაჟამად მისვლა შეუძლებელია“ [გელაშვილი 2002:195]. მისი განმარტებით, უფლისციხის მსგავსი პუნქტები ქართველებს თავდაცვისათვის ესაჭიროებოდათ იმ მრავალრიცხოვანი მტრებისაგან, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გამაჩანაგებელ ლაშქრობებს აწყობდნენ საქართველოზე [გელაშვილი 2002:195,152] და თავდაცვის გარდა კლდის სათავსოებს ბერთა სადგომდაც იყენებდნენ. რაინეგის ეს აღწერილობა დავით-გარეჯის ცნობილ მონასტრებს - საქართველოში ერთ-ერთ უდიდეს სამონასტრო ანსამბლს ეხება, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საეკლესიო და საგანამანათლებო ცენტრს წარმოადგენს.

რაინეგის სხვა ცნობებიდან უდაოდ ყურადღებას იმსახურებს ცნობა ვახვახიშვილთა ბრწყინვალე გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის შესახებ, რომელიც მის „მოგზაურობაში“ ასე არის წარმოდგენილი: ”ამ... გვარიდან არის ქართველი ბერი, რომელიც თორმეტი წლის მანძილზე რუსეთში სწავლობდა და 1780 წელს დიდი ცოდნით შეიარაღებული საქართველოში (გეორგიაში) დაბრუნდა და თელავში სკოლა დაარსა. მისმა დაულავმა სიბეჯითემ და გასაგებმა სწავლებამ გააღვიძა მისი თანამემამულეების ნიჭი“ [გელაშვილი 2002:102].

რაინეგის ეს ცნობა გაიოზ რექტორის (1745-1821) და მისი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის შესახებ, მრავალმხრივ არის საყურადღებო. რაინეგს ადასტურებს ამ მოღვაწის რუსეთში თორმეტწლიან სწავლას, ისევე როგორც მის მიერ თელავის სემინარიის დაარსების ფაქტს. თუმცა დაზუსტებას მოითხოვს თვით დაარსების წელი, ვინაიდან ქართული წყაროებით ის 1782 წელს შეესაბამება, რაინეგს კი 1780 წელს ასახელებს. ასევე დასაზუსტებელია გაიოზის გვარიც, ვინაიდან ქართული წყაროებით ვარაუდობენ, რომ ის ბარათაშვილი უნდა ყოფილიყო [ლექსიკონი 2007: 179], მაშინ როდესაც რაინეგს მას ვახვახიშვილად ასახელებს.

რაინეგის ზოგადი სახის ცნობების მიმოხილვა შეიძლება ზემომოყვანილი ფრაგმენტით დავასრულოთ და გადავიდეთ იმ საკითხის განხილვაზე, რომელიც გერმანელი მოგზაურის საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი გახდა. „მოგზაურობაში“, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს მინერალური რესურსების აღწერილობას, რომელიც რაინეგს პირადი გამოკვლევის საფუძველზე შეუდგენია. თუ რა გულდასმით ჩატარდა ეს გამოკვლევები, ამაზე ერთდროულად რამდენიმე ფაქტი მიუთითებს. მაგალითად, ერთ-ერთი ლოკალური უბნის ზედაპირული ქანების შესწავლისას რაინეგსმა დეტალურად 21 ნაკადუ-ლის კალაპოტი გამოიკვლია [გელაშვილი 2002:87]. თავის კვლევებში ის მხოლოდ ორგანოლექტიკური ანალიზით როდი შემოიფარგლებოდა, არამედ ქიმიური ანალიზის მეთოდებსაც იყენებდა. ეს ნათლად ჩანს თხზულების ერთ-ერთი ფრაგმენტიდან, რომელიც ტექსტში რაინეგის სამუშაო ჩანაწერიდან უნდა იყოს მოხვედრილი. აქ საანალიზო მინერალის იდენტიფიცირების მიზნით, ის სხვადასხვა არაორგანულ მჟავებში ხსნადობაზე არის შემოწმებული [გელაშვილი 2002:189]. ამ მხრივ საინტერესოა რაინეგის მიერ თბილისი-დან მეგობრისადმი გაგზავნილი წერილი (1780

წ. 21. 01), საიდანაც ჩანს, თუ რა ფართო მასშტაბებით იყენებდა ის ქიმიურ მეთოდებს თავისი გამოკვლევების ერთ-ერთად ციკლში: „ბამბის ქსოვილების წითლად ღებვა საფუძვლიანად შვეისწავლე და ის შეცდომა, რის გამოც მან ევროპაში ფეხი ვერ მოიკიდა, ქიმიური გამოკვლევებით აღმოვაჩინე“ [გელაშვილი 2002: 91].

რაინეგსმა საქართველოს მინერალური რესურსების შესწავლისას ქვეყნის თითქმის ყველა პერსპექტიული კუთხე მოინახულა. ამასთან ერთად უდავოდ ერეკლე მეფის დავალებით, ისევე როგორც ეს კეთდებოდა აკადემიკოსს ი. გულდენშტედტის გამოკვლევების დროს 1771-1772 წწ, სხვადასხვა პუნქტიდან მინერალების და მადნების ნიმუშებს უგზავნიდნენ შესამოწმებლად. ამ გზავნილებიდან ორს მკვლევარი ასეთი სახით მოიხსენიებს: “გურიიდან მივიღე არაჩვეულებრივად ლამაზი მარმარილო” [გელაშვილი 002:142] და “ვახანშიც მივიღე ერთი ნატეხი მდიდარი ვერცხლის მკრთალი მადნიდან” [გელაშვილი 2002:189].

გამოსაკვლევ წიაღისეულში შედიოდა როგორც სხვადასხვა დანიშნულების ქვები, ისე ქიმიური ნაერთები, მინერალური წყლები და რაც მთავარია, მეტალების (ძირითადად ოქრო-ვერცხლის, რკინის, სპილენძის და ტყვიის) შემცველი მადნები.

სასარგებლო წიაღისეულიდან XVIII ს. საქართველოში ფართო გამოყენება ჰქონდა სხვადასხვა სახის ქვებს. მათ შორის რაინეგსი ხშირად მოიხსენიებს მარმარილოს, რომელიც, მისი ცნობით: „კახეთში რამდენიმე ადგილას ცნობილია [გელაშვილი 2002:157]. კახეთშივე “გრემთან მთელ საქართველოში საუკეთესოდ აღიარებული, არაჩვეულებრივად ძვირფასი ალებასტრის მოპოვებას აწარმოებენ, ხოლო არსიანის მთის აღმოსავლეთით განთავსებულ სამტეხლოში თეთრ მარმარილოს “მრავალი ასეული კაცი ამუშავებს”. მას იყენებენ საფლავის ქვებად, აბანოების და აბაზანებისათვის, იატაკის დასაგებად და ა. შ. [გელაშვილი 2002: 151, 159, 198]. ქვების სხვა სახეობებიდან რაინეგსი ასახელებს – წისქვილის ქვებს- ლორეში, ტალკს –არსიანის მთასთან, სალეს ქვას - ახალციხის მიდამოებში. ამ უკანასკნელს, სიმაგრის მისანი-ჭებლად ადგილობრივი ხელოსნები ზეთში ხარშავენ, რის შემდეგადაც ზეთით გაჟღენთილი ქვა საგრძნობ სისალეს იძენს [გელაშვილი 2002: 159, 190-191]. გელათთან რაინეგსი გაეცნო გიშრის წარმოებას, რომელთან დაკავშირებით ის აცხადებს: “მე არ მახსოვს სადმე ისეთი მშვენიერი გიშერი მენახოს, როგორც გელათში” [გელაშვილი 2002:198].

რაინეგსის ყურადღება ქიმიურმა სარეწებმაც მიიქცია, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში ფუნქციონირებდნენ. ახალციხის მახლობელ პუნქტში, მისი ცნობით “მზადდება კარგი ხარისხის ბორაქსი”, (მარილი), რაც მისი შემცველი წყაროს წყლიდან გამოლექვის ოპერაციის საშუალებით ხორციელდება [გელაშვილი გ. 2002: 144, 191]. დუშეთთან აწარმოებენ “სუფთა მინერალურ სასაქმებელ მარილს”, რომელშიც იმ დროს მედიცინაში გავრცელებული “ინგლისური მარილი” ანუ მაგნიუმის სულფატი იგულისხმება. ახალგორთან მკვლევრების ყურადღება მიიქცია შაბიამნის სარეწმა, რომელსაც ფართო გამოყენება ჰქონდა ღებვის საქმეში [გელაშვილი 2002: 194, 19]. კახეთში რაინეგსმა დააფიქსირა შაბის მოპოვების საინტერესო წესი, რომელიც ქიმიური მეთოდების საშუალებით ხორციელდება. კირქვისა და შაბის მკვრივ ნარევეს ჯერ ცეცხლზე ახურებენ, რის შედეგადაც კირქვა ფქვილისებურ კირად იშლება. ამ ფქვილისაგან ადვილად გამოცალკევებულ შაბის მკვრივ გორახებს ჰაერზე ტოვებენ, ვიდრე ისინი მსხვრევადი არ გახდებიან, ამის შემდეგ მათ ნაყავენ და სამგზის ცხელ წყალში გახსნილი და გამოკრისტალებით, გაწმენდილ შაბის კრისტალებს იღებენ [გელაშვილი 2002:199].

ახალგორთან რაინეგსი რკინის ოქრისა და გემატიტის პლასტების არსებობას ადასტურებს, რომლებსაც საღებავად იყენებდნენ [გელაშვილი 2002:195]. საღებავებით მეფე ერეკლეს დაინტერესებაზე ის ფაქტი მიუთითებს, რომ მისი დავალებით რაინეგსი სომხეთში გაემგზავრა და არარატის მიდამოებში საძიებო სამუშაოები ჩაატარა კერმეს-ჩერვეცის მოსაპოვებლად (ძირითადად არარატის მიდამოებში გავრცელებული ეს მწერი ძვირფას საღებავ მასალას – კარმინს ანუ ჭიაფერს იძლევა). წარმატებული ძიების შემდგომ ეს კერმეს-ჩერ-ვეცი მან ერეკლეს ჩამოუტანა, რითაც მეფის დიდი მადლობა დაიმსახურა [გელაშვილი 2002:39]. რაინეგსს უყურადღებოდ არც მინერალური წყლები დაუტოვებია, რომელთა მიმართ ის როგორც

პროფესიონალი ექიმი, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს. თერგის მახლობელ მთებში, მისი ცნობით, “სათავეს იღებს ყველაზე უფრო გამაგრებელი და განმკურნებელი მინერალური წყლები”. მრავალი სამკურნალო წყაროს არსებობა დაადასტურა მან ბოლნისშიც, წუხილით აღნიშნა, რომ კობთან მდებარე რკინის შემცველი განსაცვიფრებელი წყაროები გამოუყენებელი რჩება [გელაშვილი 2002: 152, 159, 196]. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ცნობა ბოლნისის მინერალური წყლების შესახებ. თუმცა აქ მრავალი სამკურნალო წყარო არის, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა არცერთ მათგანს არ იყენებს, ვინაიდან ქართველობა “მიჩვეულია ტკბილ ღვინოს” და შესაბამისად “ეჯავრება მისი მჟავე გემო”. თუმცა მისივე სიტყვებით, მოსახლეობა “იმდენად ჭკვიანია და მზრუნველი..., რომ თავის ავადმყოფ საქონელს ამ წყაროებისაკენ მიერეკვება, რადგან მათი გამოჯანმრთელება გამოცდილებითაა დამტკიცებული” [გელაშვილი 2002:159].

ქვეყნის რამდენიმე კუთხეში რაინეგსმა ნავთობის საბადოების არსებობაც დაადასტურა (გელათთან, ნავთლულთან), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდი რაოდენობით საწვავად და საცხ მასალად იყენებდა [გელაშვილი გ. 2002:190, 197-198]. ნავთობისაგან განსხვავებით ქვანახშირი ქვეყანაში აუთვისებელი ჩანს. მისი საბადოები მკვლევარმა ქართ-ლში, სოფელ ცხრამუხასთან და სურამთან გამოავლინა [გელაშვილი გ. 2002:192]. ამაზე ის უთუოდ ერეკლეს მოეთათბირებოდა და მათ შეიძლება სამომავლო გეგმაც დაესახათ ამ საწვავის საწარმო მასშტაბების ათვისებასთან დაკავშირებით. ლეჩხუმის ერთ-ერთ სოფელთან რაინეგს მიკვლეული აქვს რკინის მადნის მძლავრი საბადო, თანმდევი ტყვიის კრიალითა და ანთიმონიტით. რაჭაში სოფელ კუდაროსთან მისი ყურადღება მიიქცია რკინის საბადომ, რომელიც მადნის უჩვეულო ზომებით გამოირჩეოდა [გელაშვილი 2002:189]. რკინის ბევრი მადანი მოიპოვება აფხაზეთში და მისი გამოდნობის პროცესი პატარა ქურებით საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი “მოგზურობაში”. რკინის წარმოების მსხვილი ცენტრი რეინეგსს დაფიქსირებული აქვს ბოლნისში [გელაშვილი 2002:159, 185-187].

სპილენძის მადანი რეინეგსმა ქვეყნის მიდამოებში მოინახულა. ამ მადნების არსებობას საკმაოდ დიდი რაოდენობით ის ადასტურებს ლორეში, ლორეს მეზობელ უზუნლარში, შულავერში. მათი ექსპლუატაციის შესახებ თუმცა ავტორი არაფერს ამბობს, მაგრამ კონტექ-სტით ის უდაოდ იგულისხმება [გელაშვილი გ. 2002:159-160]. სამაგიეროდ ამის შესახებ რაინეგსი პირდაპირ აცხადებს ავალისციხის (აწყურიდან ჩრდილოეთით) მიდამოებში არსე-ბული სპილენძის მადანთან დაკავშირებით, როდესაც აღნიშნავს, რომ ამუშავებენ სპილენძის მადანს [გელაშვილი 2002: 192].

ოქროსთან და ვერცხლთან დაკავშირებით რაინეგსი ძირითადად მათ გადამუშავებულ სამთო-მეტალურგიულ წარმოებებს ასახელებს. მისი ცნობით, ამ მეტალებით მდიდარი მადნე-ბიდან ოქრო-ვერცხლს ადნობენ ახტალის ლითონსადნობ ქარხანაში, რომლის შენობადაც მთავრის ყოფილი სასახლეა გამოყენებული. მკვლევრის მონაცემით, 1780 წელს ამ საბადოს გამომუშავებით მიღებულმა სარგებელმა ვერცხლით 60000 მანეთი, ხოლო ოქროთი 3200 მანეთი შეადგინა. რაც შეეხება ოქროს, ვერცხლის და ტყვიის საბადოებით მდიდარ დამბლუტს, იქ მეტალების რეწვა, როგორც ეტყობა, დროებით იყო შეჩერებული, ვინაიდან როგორც რაინე-გსი აღნიშნავს “მთის წყალმა მათი ძარღვები აავსო”. მოსაპოვებელი სამუშაოები შეფერხებული ჩანს ძალიანშიც, სადაც არის “საუკეთესო მადანი ოქროს შემცველი ვერცხლისა, ტყვიისა და სპილენძისა”. მისი აზრით: ტერიტორია “სურამიდან, ცხინვალიდან, ძალინიდან ახალგორა-მდე, მდიდარი საბადოების გამო გამოკვლევის ღირსია” [გელაშვილი 2002: 159-160, 184, 192].

მდინარე ცხენისწყლზე, რაინეგსის ცნობით, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, რამდენიმე ებრაელი ოჯახი ქვიშრობ ოქროს მოპოვებას აწარმოებდა. ამით ისინი ერთგვარად აგრძელებ-დნენ ცხვრის ტყავით მდინარის ოქროს მოპოვების ძველ ტრადიციებს, რომლებსაც მრავალი საუკუნის წინ საფუძველი ჩაუყარეს კოლხებმა. სამწუხაროდ, როგორც ირკვევა, ამ სარეწის ფუნქციონერებმა თურქების შემოსევის შემდეგ შეწყდა და აღარ განახლებულა [გელაშვილი 2002:182].

რაინეგსმა საქართველოს წიაღისეულის შესწავლასთან ერთად თავი გამოიჩინა ერეკლესეულ სამთო-მეტალურგიულ წარმოებებში მთელი რიგი ტექნიკური სიახლეების დანერგვით და პრაქტიკული რეკომენდაციებით. ამის შესაძლებლობას მას აძლევდა ის საფუძვლიანი ცოდნა, რომელიც ამ სფეროში თეორიულად და პრაქტიკულად მიიღო გერმანიაში და უნგრეთში. არ არის გამორიცხული, რომ მას ზოგიერთი გაუმჯობესებები შეეცანა ოქროსა და ვერცხლის დნობის საქმეში (ამ ორ მეტალს ასახელებს მკვლევარი თავისი დამსახურებების ჩამოთვლისას, მისი ხელმძღვანელობით უნდა აეთვისებინათ ქართველებს თუჯის გამოდნობის პროცესი, რომელიც პირველ რიგში თუჯის ზარბაზნების ჩამოსასხმელად იყო საჭირო. მანამდე ეს ზარბაზნები რაინეგსის სიტყვებით “ძვირად და გაჭირვებით რუსეთიდან მოჰქონდათ” [გელაშვილი 2002:90]. რაც შეეხება თუჯის ზარბაზნების ადგილობ-რივი წარმოების ორგანიზაციას, ის რაინეგსს ერეკლეს არტილერიის უფროსთან (“თოფჩიბა-შთან”) პაატა ანდრონიკაშვილთან ერთად უნდა განეხორციელებინა. თოფჩიბაში რუსეთში განსწავლული პროფესიონალი არტილერისტი იყო, რომელმაც, დავით ბატონიშვილის ცნობით, ერეკლეს არტილერია რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა. სწორედ ამ გარდაქმნის ერთ-ერთ შემადგენელ ღონისძიებებს შეადგენდა მისი და რაინეგსის ხელმძღვანელობით ქართულ საარტილერიო პარკის ახალი, ადგილობრივ წარმოებული ზარბაზნებით დაკომპლექტება [გელაშვილი 2002:39,90]. რაინეგსის სხვა ნოვატორული წამოწყებებიდან აღსანიშნავი მადანსადნობ ღუმელებში ჰაერის ხელის საბერველების შეცვლა მექანიკური საბურველებით, რომელიც წყლის ენერჯის საშუალებით მუშაობდა. თოფისწამლის ნაყვის პროცესის ინტესი-ფიცირების მიზნით, მის მიერ შემოთავაზებული იქნა უფრო მაღალი წარმადობის სანაყის მოდელი და ა.შ. [გელაშვილი 2002:39].

რაინეგსის მიერ ჩატარებულ კვლევებს და პრაქტიკულ ღონისძიებებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამთო-ტალურგიული წარმოებების განვითარებისათვის. შესაბამისად, მეფე ერეკლეც მადლიერი იყო და დიდად აფასებდა გერმანელი სტუმრის ნამოღვაწარს. მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაინეგსმა, რუსეთის ემისარმა ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის სასახლეში (1777-1781), გარდა მისი განსაკუთრებული მოვალეობის შესრულებისა, როგორცაა მინერალური რესურსების, მინერალური წყლების, ლითონების, ნახევრადძვირ-ფასი ქვების და ნავთობის შესწავლა ნებისთნეულად თუ უნებლიედ საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოს ცხოვრებაში. მისი და სხვა მკვლევართა მონაცემების საფუძველზე, რუსეთის მთავრობას გადამეტებული წარმოდგენა შეექმნა ქვეყნის წიაღისეულზე, განსაკუთრებით კი ოქრო-ვერცხლზე და სწორედ ეს გახდა მის მიერ საქართველოს ექსპანსიის ერთ-ერთი მიზეზი. თავად რაინეგსმა, ავანტიურისტმა და რუსეთის ემისარმა წარმატებით შეასრულა თავისი მისია, დაარწმუნა მეფე ერეკლე ხელი მოეწერა გეორგიევსკის ტრაქტატზე და ამ მიღწევაში თავისი ხელმოწერით გააძლიერა თავისი წვლილი.

დამპყრობელმა რუსეთმა კი ბოლო მოუღო ბაგრატიონთა დინასტიის ათასწლოვანზე მეტი ხნის მეფობას და თავისი „გამარჯვების“ აღსანიშნავად საიუბილეო მონეტაც კი გამოუშვა [კაპანაძე 1950:103]. ორთავიან არწივს ბრჭყალებში ოქრო-ვერცხლის მადნების სიმბოლოდ გადქცეული ოქროს საწმისი უჭირავს, ხოლო ქვემოთ განთავსებული წარწერა : “Похищенное-возвращает“ მიზნად ისახავს ცინიკურად დაგვარწმუნოს, რომ ბერძენი არგონავტების მიერ გატაცებული ამ საწმისის სათავისოდ გამოტაცება, თურმე კანონიერი მფლობელისათვის – რუსეთის იმპერიისათვის (და არა საქართველოსათვის!) წართმეულის უკან დაბრუნებას ნიშნავს.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი გ. (2002): *Jacob Reineggs, Reise in Georgian, Georgisch ubersetzt und herausgegeben von Gia GelaShvili*. თბილისი: არტანუჯი
2. კაპანაძე დ. (1950): *ქართული ნუმიზმატიკა*, თბილისი., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

3. ლექსიკონი (2007): *საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი*, თბილისი
4. ნარკვევები (1979): საქართლოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი: საბჭოთა საქართველო
5. Reineggs, Jacob (1797): *Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus*. 2 Bde. Gotha und St. Petersburg: Gerstenberg und Dittmar

Manana Pkhakadze, Ketevan Gardapkhadze

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

e-mail: makopkh@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.17>

SJIF 2024: **8.268**

Jacob Rainergs and Georgia

Abstract

The 18 th century German traveller, the emissary of Russia to the palace of the King of Kartl-Kakheti, Erekle II in 1777-1781, adventurer Jacob Rainergs (1744-1793), in addition to performance of his special task (study of mineral resources, mineral waters, metals, semi-precious stones, oil in Georgia) put a certain imprint on the cultural-educational and natural science-technical life of the country. He introduced many European technical novelties in the Georgian practice. Jacob Rainergs successfully accomplished his mission, convinced the King Erekle to sign the Treaty of Georgievsk and enhanced his contribution to this fact by his signature.

Key Words: Rainergs, [Georgia](#), [History](#), mineral resources

რეცენზენტი: პროფესორი ჰაატა სურგულაძე

პედაგოგიკა Pedagogic

აღზრდის მიზნის საკითხისათვის მონტესორის

პედაგოგიკურ სისტემაში

ნინო ჭოხონელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: nino.chokhoniidze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.18>

SJIF 2024: 8.268

ცნობილი იტალიელი ექიმის, ჰუმანისტის, ფსიქოლოგის, მასწავლებლისა და ანთროპოლოგის მ. მონტესორის პედაგოგიკურ სისტემას გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში გამორჩეული ადგილი უჭირავს. მრავალწლიანი დამაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად მან შეძლო შეექმნა ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც განათლებას განიხილავს, როგორც ცხოვრებისეული უნარების ერთობლიობას. მონტესორის მიხედვით, ბავშვი აღზრდისა და სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში ორიენტირებული იყო სამყაროში საკუთარი ადგილის დამკვიდრებით. აღზრდის მიზანს კი წარმოადგენდა „მსოფლიო გონების“, „მსოფლმხედველობის“ და კაცობრიობის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ფორმირება.

მნიშვნელოვანია მონტესორის მიდგომები მორალურ აღზრდასთან დაკავშირებით. მას მიაჩნდა, რომ ადამიანის ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება – მისი მორალის განმტკიცებას ემსახურება. მორალური აღზრდის არსი არის შინაგანი ადქმის გააქტიურება, რომელიც ამყარებს წესრიგს: სიკეთეს განასხვავებს ბოროტისაგან.

საკვანძო სიტყვები: მ. მონტესორი, პედაგოგიკური სისტემა

ცნობილი იტალიელი ექიმის, ჰუმანისტის, ფსიქოლოგის, მასწავლებლისა და ანთროპოლოგის მ. მონტესორის პედაგოგიკურ სისტემას გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში გამორჩეული ადგილი უჭირავს. მრავალწლიანი დამაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად მან შეძლო შეექმნა ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც განათლებას განიხილავს, როგორც ცხოვრებისეული უნარების ერთობლიობას. მონტესორის სწავლების მეთოდი ეფუძნება ფილოსოფიურ იდეას: ყოველი ბავშვი

იბადება საკუთარი შინაგანი პოტენციალით და მისი განვითარება დამოკიდებულია გარემოზე.

მონტესორი ემხრობოდა იმ აზრს, რომ აღზრდის მთავარი მიზანი იყო კაცობრიობის მიერ მსოფლიო ჰარმონიის მიღწევა, უნივერსალური და მოწესრიგებული საზოგადოების აშენება. ეს მიზანი კი გამომდინარეობდა მონტესორის ფილოსოფიური შეხედულებებიდან. მისი ფილოსოფიური შეხედულებები დაფუძნებული იყო „კოსმიურ თეორიაზე“, რომელიც წარმოდგენილია მონტესორის გვიანდელ ნაშრომებში, მათ შორის მოხსენებებში „ადამიანის ადგილი შექმნაში“ (ლონდონი, 1935) და „კოსმიური აღზრდა“ (ინდოეთი, 1945) [Сорокова 2015:6].

მონტესორის მიაჩნდა, რომ აღზრდა იყო განვითარებისადმი დახმარება ანუ ხელის შეწყობა, ხოლო დახმარების საბოლოო მიზანი კი - მსოფლიო ჰარმონია. „ადამიანის გონება გახდა თითქმის ყოვლისშემძლე. დღეისათვის მან მიაღწია იმას, რომ შესწევს ძალა ენერჯიების მოსათვინიერებლად და შეძლო შეღწევა ცხოვრების ყველაზე იდუმალ წერტილებში. ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ პარაზიტულად იცხოვროს და მიიღოს გარემოს ყველა სარგებელი, ის არის ყველაზე აქტიური იმ მოქმედი ძალებიდან, რომლებიც განკუთვნილია შეცვალოს და გააუმჯობესოს გარემო“ [მონტესორი 2015:7]. მონტესორის აზრით, ადამიანმა ნიჭი უნდა გამოიყენოს ადამიანებისვე სასარგებლოდ.

მონტესორის მიხედვით, ბავშვი აღზრდისა და სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში ორიენტირებული იყო სამყაროში საკუთარი ადგილის დამკვიდრებით. აღზრდის მიზანს კი წარმოადგენდა „მსოფლიო გონების“, „მსოფლმხედველობის“ და კაცობრიობის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ფორმირება. ამისათვის კი შემდეგი ამოცანები იყო გადასაწყვეტი:

- სისტემური და ეკოლოგიური აზროვნების ხელშეწყობა;
- ადამიანის ადგილის განსაზღვრა სამყაროში;
- სხვადასხვა მეცნიერების მარცვლების გაღვივება, როგორც ერთი მთლიანის შემადგენელი ნაწილების.

მნიშვნელოვანია მონტესორის მიდგომები მორალურ აღზრდასთან დაკავშირებით. მას მიაჩნდა, რომ „ადამიანის ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება - მისი მორალის განმტკიცებას ემსახურება. ჩვენი მოსწავლეები, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ ინტელექტუალური მუშაობა, შინაგანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არჩეული საგნებით თავისუფლად მეცადინეობა, მედიტაციაზე ყურადღების მიპყრობა - სიმშვიდესა და წესრიგს ინარჩუნებენ. მოძრაობის ჰარმონია, მშვენიერების განცდა, მგრძნობელობა მუსიკისადმი, ურთიერთობები, თავაზიანობა შინაგანი წყაროდან საზრდოობს... ბავშვების აღზრდისათვის ჩვენ არავითარი წესები არ გაგვაჩნია. მოვუწოდებთ რა, მიჰყვნენ მაგალითს და ვუხსნით დისციპლინის სარგებელს. ჩვენ არ ვასწავლით მათ კაპრიზების დამარცხებასა და მუშაობისას სიმშვიდის შენარჩუნებას, წესრიგსა და სიჩუმეს. ჩვენ არ ვუკითხავთ მათ ქადაგებას თავაზიანობაზე, შრომისა და სხვა ადამიანების პატივისცემაზე, მოთმინებაზე, არავითარი მსგავსი. ჩვენ ბავშვებს მხოლოდ ვათამაშებთ და ვეხმარებით იცხოვრონ“ [მონტესორი 2015: 285].

მ. მონტესორი თვლიდა, რომ ბავშვთა მორალური განვითარებისთვის საჭირო იყო სწორად ორგანიზებული გარემოს შექმნა, სადაც ცუდი გამოყოფილი იქნებოდა კარგისგან. იქ სადაც ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული, გარემო ვერ შეძლებდა მორალური წარმოდგენების მოწესრიგებას. მორალური აღზრდის არსი არის შინაგანი აღქმის გააქტიურება, რომელიც ამყარებს წესრიგს: სიკეთეს განასხვავებს ბოროტისაგან. ბავშვს უნდა შეეძლოს სიკეთისა და ბოროტების გარჩევა, რადგან „სიკეთე ეს - ცხოვრებაა, ბოროტება - სიკვდილი“ [მონტესორი 2014: 299]. მონტესორის მიაჩნდა, რომ საჭიროა „საკუთარი სულის გულდაგულ შესწავლა - აი, ცხოვრების უმთავრესი და უსაჭიროესი რამ, რომელიც ეყრდნობა არა მარტო მორალური უფლებების ცოდნას, არამედ სიყვარულს. მხოლოდ სიყვარულს მიყვავართ სრულყოფილებსაკენ. ის, ვისაც მორალური გრძნობა არა აქვს ვერასოდეს შეიძნობს საკუთარ თავს“ [მონტესორი 2014: 299].

მონტესორის აზრით, დიდია მორალურ აღზრდაში მშობლისა და მასწავლებლის როლი. „საუკეთესო მასწავლებელი, მშობელი, ისაა, ვინც მაგალითს დიდაქტიკური მასალისგან იღებს. მათშია თავმოყრილი მორალური სიმდიდრე...“ [მონტესორი 2014: 294]. მშობელმა და მასწავლებელმა ამისათვის უნდა გამოიყენონ სენსორული მასალები. ბავშვებს უნდა წარუდგინონ გრძნობათა მთელი გამა და დაელოდონ, რას აირჩევს „განვითარებადი“ სული. „როგორ შევაცვართ ბავშვს თავი? უნდა განუვითაროთ მათ გრძნობები“ [მონტესორი 2014: 293]. მასწავლებელი იმის ნაცვლად, რომ ბავშვს თავს მოახვიოს ინფორმაციები, ემსახურება და წარმართავს მას იმ გარემოსკენ, იმ საგნებისკენ, რომელიც ბავშვის შინაგან მოთხოვნებს შეესაბამება და მისი ასაკისთვის მისაღებია.

ამრიგად, მონტესორის მიაჩნდა, რომ ბავშვს გააჩნდა არა მარტო ინტელექტუალური მოთხოვნილებანი, არამედ „ღია, სუფთა, ღვთაებრივი სინათლის ამრეკლავი სული“ [მონტესორი 2014: 306]. განათლებაში ის გულისხმობს ადამიანის სულიერ განვითარებას. მისი, როგორც ინდივიდის ღირებულების ამაღლებას და ახალგაზრდების მომზადებას იმ დროის შესაბამისად, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. მორალურ აღზრდას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. როგორც აწმყოში, ისე მომავალში საზოგადოებას სჭირდება ჭკვიანი, ძლიერი ნებისყოფის მქონე, უნიკალური, სოციალურად აქტიური ინდივიდები. მარია მონტესორის პედაგოგიური სისტემა იდეალურად ემსახურება ბავშვების განათლებისა და აღზრდის ხარისხის ამაღლებას, რომელშიც სასწავლო პროცესს აქვს ჰუმანური ხასიათი და პიროვნებაზე ორიენტირებული საფუძველი.

ლიტერატურა:

1. მონტესორი მ., ჩემი მეთოდი: დაწყებითი განათლება, თარგმანი ლ. კუხიანიძის, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“, 2014 წ.
2. **ჭობონელიძე ნ.**, მარია მონტესორის პედაგოგიური იდეები და თანამედროვეობა, ქუთაისი, 2020
3. Сорокова М. Г., Система М. Монтессори - Теория и практика; Москва, Академия, 2003 г.
4. www.montessoricity.ru

Nino Tchokhonelidze

Akaki Tsereteli State University, Assistant Professor

e-mail: nino.chokhonelidze@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.18>**SJIF 2024: 8.268**

**For the question of the purpose of education, Montessori
in the pedagogical system**

Abstract

The Montessori pedagogical system of the famous Italian doctor, humanist, psychologist, teacher and anthropologist occupies a prominent place in the global educational space. As a result of many years of intensive creative work, he was able to create a well-established system that views education as a set of life skills. According to Montessori, the child throughout the period of upbringing and education was focused on establishing his place in the world. The goal of education was the formation of a "worldly mind", "worldview" and a sense of responsibility towards humanity.

Montessori's approach to moral education is important, he thought that "satisfying the intellectual needs of a person - serves to strengthen his morals. The essence of moral education is the activation of inner perception, which establishes order: It distinguishes good from evil.

Key words: Montessori, pedagogical system

რეცენზენტები: პროფესორი ოლგა გუსევა

სწავლების მეთოდოლოგია Methodology of Teaching

თანამედროვე ენათმეცნიერების გნოსეოლოგიური და მეთოდოლოგიური
პრობლემები

ლელა მალულარია

შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: Lelamagularia26@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.19>

SJIF 2024: 8.268

ნაშრომში განხილულია ლინგვისტიკა, როგორც მეცნიერების ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელსაც საკმაო რაოდენობის ქვედარგები გააჩნია. ენათმეცნიერებასთან დაკავშირებული კვლევები განსხვავებულია სხვადასხვა ენისა და ქვეყნისთვის. არ არსებობს არანაირი ლოგიკური და დასაბუთებული ახსნა იმისა, თუ საიდან წარმოიშვა ენები და როგორ განვითარდა თითოეული მათგანი. მაგრამ ფაქტია, რომ ენა იქცა მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ საკვლევ ობიექტად, მთელი მისი რიგი საკითხებით და ეს პროცესი მიმდინარეობს დღემდე და ალბათ, შეუძლებელია როდესმე ამოიწუროს, რადგან როგორც მოგეხსენებათ, ენა ცოცხალი ორგანიზმია. თანამედროვეობის ცვლილებებთან ერთად კვდება და იბადება ახალი ენები, იცვლიან ფორმას, შინაარსს, დამწერლობას და ფეხს უწყობენ ყოველდღიურობას.

ნაშრომში გაანალიზებულია ენათმეცნიერების როგორც გნოსეოლოგიური, ისე მეთოდოლოგიური პრობლემები, განხილულია სასწავლო გეგმა, შეფასება, მონაცემთა შეგროვება და სანდოობა, კულტურული ასპექტები, ენების ისტორიული მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: ენათმეცნიერება, გნოსეოლოგია, მეთოდოლოგია, ასპექტები.

როდესაც საუბარს ვიწყებთ ენათმეცნიერებაზე, ენის წარმოშობისა და მისი განვითარების ეტაპებზე, პირველ რიგში ალბათ ყველას ბაბილონის გოდოლი და ენის წარმოშობის ბიბლიური განმარტება გვახსენდება. თუმცა სხვადასხვა ენებში არსებობს განსხვავებული იგავები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. და რა თქმა უნდა, არსებობს ფილოსოფიური განმარტებებიც. თუმცა, ვერცერთი ზემოთ თქმული კრიტიკას ვერ უძლებს. მაშინ, როცა ამდენი მოსაზრება და კვლევა-ძიება არსებობს ენათმეცნიერებასთან დაკავშირებით, ნათელი ხდება, რამდენად დიდი მნიშვნელობა და ზეგავლენა აქვს ენას კაცობრიობის ისტორიაში.

არ არსებობს არანაირი ლოგიკური და დასაბუთებული ახსნა იმისა, თუ საიდან წარმოიშვა ენები და როგორ განვითარდა თითოეული მათგანი. მაგრამ ფაქტია, რომ ენა

იქცა მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ საკვლევ ობიექტად, მთელი მისი რიგი საკითხებით და ეს პროცესი მიმდინარეობს დღემდე და ალბათ, შეუძლებელია როდესმე ამოიწუროს, რადგან როგორც მოგეხსენებათ, ენა ცოცხალი ორგანიზმია. თანამედროვეობის ცვლილებებთან ერთად კვდება და იზადება ახალი ენები, იცვლიან ფორმას, შინაარსს, დამწერლობას და ფეხს უწყობენ ყოველდღიურობას.

ზოგადად, ენათმეცნიერებას საფუძველი ძველ ინდოეთსა და საბერძნეთში ჩაეყარა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ IV საუკუნეში. მას შემდეგ ენათმეცნიერებას განვითარება არ შეუწყვეტია. მისი ისტორიული თვალსაზრისი კი XIX საუკუნიდან იღებს სათავეს, რაც ზოპის ნაშრომი გამოქვეყნდა. იმდროინდელი და დღევანდელი ენათმეცნიერება კი რა თქმა უნდა ერთი და იგივე არ არის.

„ენობრივი სისტემის ცვალებადობა დროში ნათლად ჩანს კონკრეტული ენის სხვადასხვა პერიოდის წერილობითი ტექსტების შედარებისას: ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკისათვის შესაბამისი ენის უძველესი წერილობითი ძეგლი შეიძლება ისევე გაუგებარი იყოს, როგორც რომელიმე სხვა ენის ნიმუში“ (გამყრელიძე 2008).

„რთულია იმის დადგენა, თუ რა იწვევს, საზოგადოდ, ენის დროში ცვლილებებს; ძნელია აბსოლუტური სიზუსტით განისაზღვროს ენობრივი ცვლილებების გამომწვევ მიზეზთა მთელი კომპლექსი, რომელშიც გარკვეული ალბათობით შედის როგორც სოციალური, ისე ბიოლოგიური და არეალური ფაქტორები. ამგვარ ცვლილებათა ერთ-ერთ შესაძლებელ ფაქტორად ბავშვის ენა, ბავშვის მეტყველების თავისებურებანი უნდა მივიჩნიოთ“ (გამყრელიძე 2008).

„როდესაც ბავშვი ითვისებს მშობლიურ ენას, მისი მეტყველების ყველა ასპექტში მუდმივად იჩენს თავს ნორმიდან ოდნავ შესამჩნევი გადახრები. ენობრივი კონტაქტების გაფართოებასთან ერთად ბავშვი სულ უფრო აწყდება განსხვავებებს სხვადასხვა პირის მეტყველებაში. ეს განსხვავებები ენობრივი კოლექტივის სოციალური და რეგიონული არაერთგვაროვნებით არის გამოწვეული. ბავშვის მეტყველებაზე გავლენას ახდენს თანატოლთა სამეტყველო ჩვევებიც. ყოველივე ამის გამო მომდევნო თაობის მეტყველება ოდნავ შორდება წინა თაობის მეტყველებას“ (გამყრელიძე 2008).

ზოგადად, ენათმეცნიერება ძალიან ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს მსოფლიოში არსებული ენების სტრუქტურის მეცნიერულ შესწავლას. ენებს შორის ბგერების, სიტყვების, წინადადებებისა და მნიშვნელობების ანალიზს. იგი მოიცავს ქვედარგებს, როგორცაა ფონეტიკა, ფონოლოგია, გრამატიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა. ენათმეცნიერები ცდილობენ გაიგონ როგორ იქმნება და ფუნქციონირებს ენები და როგორ იყენებენ მათ სხვადასხვა საზოგადოებაში. თუმცა, ამჯერად ჩვენ განვიხილავთ მის გნოსეოლოგიურ და მეთოდოლოგიურ ასპექტებს.

ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერი, რომელიც აქტიურად განიხილავდა ლინგვისტიკის მეთოდოლოგიურ პრობლემებს, არის ნოამ ჩომსკი. ცნობილი ლინგვისტი და შემეცნებითი მეცნიერი, ვრცლად წერდა ენის სტრუქტურის შესწავლასთან, ათვისებასა და დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. რამდენიმე ძირითადი პუნქტი, რომელიც მან განიხილა, არის: **უნივერსალური გრამატიკა**: ჩომსკი განიხილავდა უნივერსალური გრამატიკის არსებობას, რაც გულისხმობს თანდაყოლილი ენობრივი პრინციპების ერთობლიობას, რომელსაც იზიარებს ყველა ადამიანი ენა. ამ იდეას აქვს მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური გავლენა, რადგან ის ვარაუდობს, რომ ენის შესწავლა ფოკუსირებული უნდა იყოს ამ ძირითადი პრინციპების აღმოჩენაზე და არა მხოლოდ ენებს შორის ზედაპირული დონის განსხვავებების კატალოგიზირებაზე.

სინტაქსური სტრუქტურები: ჩომსკის ადრეულმა ნაშრომმა, როგორცაა „სინტაქსური სტრუქტურები“ (1957), შემოიღო წინადადებების ძირითადი სტრუქტურის წარმოდგენის ფორმალური მოდელები, ფრამაც საფუძველი დაუდო თანამედროვე სინტაქსურ თეორიებს.

მეთოდოლოგიური ნატურალიზმი: ჩომსკი მხარს უჭერდა მეთოდოლოგიურ ნატურალიზმს ლინგვისტიკაში, ხაზს უსვამდა თეორიების შემუშავების მნიშვნელობას, რომლებიც შეესაბამება ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობების გაგებას. ეს მიდგომა ეწინააღმდეგება ბიჰევიორისტულ და ემპირისტულ მიდგომებს, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ შიდა კოგნიტურ პროცესებზე დაკვირვებას.

ჩომსკიმ განიხილა ენათმეცნიერების სხვადასხვა გნოსეოლოგიური პრობლემა, განსაკუთრებით ენის ბუნებისა და ადამიანის მიერ მისი შესწავლისა და გაგების შესახებ. მისი ნაშრომი, სწორედ უნივერსალური გრამატიკის გარკვევაზეა ორიენტირებული, რომელიც, მისი აზრით, საფუძვლად უდევს ყველა ადამიანურ ენას და რომ ადამიანები იბადებიან ენის ათვისების თანდაყოლილი უნარით.

ენის ათვისების მეთოდოლოგია ძალიან მრავალფეროვანია მისი განვითარების ეტაპების თვალსაზრისით. მაგალითად, თუკი შედარებისთვის ავიღებთ, საბჭოთა კავშირის დროინდელ საქართველოში უცხო ენების სწავლის ძირითად მეთოდს წარმოადგენდა გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, რაც გულისხმობდა გრამატიკული წესების დახეპირებას და წინადადებებისა და სიტყვების თარგმნას. ენის ათვისებას, როგორც კომუნიკაციის ძირითად საშუალებას, სამეტყველო დანიშნულება არ გააჩნდა.

რაც შეეხება თანამედროვე სწავლების სტილს, რა თქმა უნდა საბჭოთა პერიოდის შემდეგ განვითარდა და დაიხვეწა სწავლების მეთოდოლოგია. უცხო ენის სწავლების მთავარ მიზნად იქცა ამ ენაზე კომუნიკაცია და უცხო ქვეყნის კულტურის გაცნობა. სასწავლო პროცესში ყურადღება ეთმობა ენის ოთხივე მიმართულებას (მოსმენა, წერა, კითხვა, ლაპარაკი), შესაბამისად გამრავალფეროვნდა სასწავლო მეთოდებიც. სწავლა-სწავლების პროცესში ენის ათვისების ყველაზე გავრცელებული მეთოდებია:

- გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი
- პირდაპირი მეთოდი
- აუდიო-ლინგვალური მეთოდი
- აუდიო-ვიზუალური მეთოდი
- შერეული მეთოდი
- დრამის მეთოდი
- კომუნიკაციური დიდაქტიკა
- ინტერკულტურული მიდგომები
- TPR

სასწავლო მეთოდთა მრავალფეროვნების მიუხედავად, ენათმეცნიერებაში მუდმივად იჩენს თავს სხვადასხვა სახის პრობლემები, რაც გამოწვეულია ცხოვრების სტილის ცვალებადობის, ეკონომიკური ფაქტორების, ერების მრავალფეროვნებისა თუ სხვადასხვა არაერთი საკითხით, თუმცა პრაქტიკული ენათმეცნიერების ძირეულ პრობლემას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა ისწავლებოდეს (შინაარსი); როგორ უნდა ისწავლებოდეს (სასწავლო მეთოდები); და რა წარმოადგენს სასწავლო მიზანს (რისთვის მჭირდება).

თუკი ავიღებთ საქართველოს მაგალითს და განვიხილავთ ზემოთხსენებული პრობლემების კრილში, შეიძლება ითქვას, რომ ენის სწავლების პოლიტიკა საფუძვლიანად ვერ აკმაყოფილებს ვერცერთ მიმართულებას, რასაც ენის მეთოდოლოგიური პრობლემებიდან მივყავართ მის გნოსეოლოგიურ პრობლემამდე. ეს არის ჯაჭვური რეაქცია, რომელიც შეიძლება მოგვარებულ იქნეს ასევე მხოლოდ ჯაჭვური პრინციპით. მხოლოდ ერთი რგოლის გაუმჯობესება, ვერ გამოასწორებს მთლიან, სისტემურ პრობლემას, რაც ენათმეცნიერებასთანაა კავშირში.

ენის კურიკულუმის განვითარების პერსპექტივიდან, სასწავლო მეთოდების არჩევანი, მხოლოდ ერთი ეტაპია სისტემაში განხორციელებული ურთიერთდაკავშირებული კურიკულუმების განვითარების აქტივობებისა. სასწავლო მიდგომების, მეთოდების და აქტივობების შერჩევა ჩვეულებრივ ხდება ენობრივი პროგრამის დიზაინის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში. პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებამდე უნდა მოხდეს სილაბუსის, სასწავლო მეთოდებისა და მასალის არჩევანი. ამისათვის წინასწარ უნდა იყოს გამოკვლეული თუ რა მიზანს ემსახურება ენის ათვისება, როგორ უნდა იყოს ის მსმენელებისთვის მიწოდებული, რა წინარე ცოდნა გააჩნია სამიზნე აუდიტორიას და ა.შ. ასეთი ინფორმაცია საფუძველს იძლევა ხარისხიანი კურიკულუმების შემუშავებისათვის, რადგან ეს პროცესი საჭიროებს მონაცემთა ანალიზს, მიზნების სწორად შემუშავებას, სასწავლო აქტივობების შერჩევას და ენის პროგრამის შედეგების შეფასებას.

ცალკე მინდა გამოვყო შეფასების ნაწილი, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, მეცნიერების ყველა დარგში. რადგან თუ არ მოხდა ნებისმიერი ნაშრომის შეფასება, მონიტორინგი და მონაცემთა გადახარისხება, შეუძლებელია რომელიმე დარგის განვითარება. რაც შეეხება, უშუალოდ ენათმეცნიერების მეთოდოლოგიურ ნაწილს, ყველა სასწავლო მიმართულებაზე (სასკოლო, საუნივერსიტეტო) სისტემატიურად უნდა ხდებოდეს თითოეული სასწავლო მეთოდის შეფასება, რათა გავიგოთ რამდენად მიიღწევა პროგრამის მიზნები და არის თუ არა ესა თუ ის მეთოდი ეფექტური.

თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთ მთავარ მეთოდოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს მონაცემთა შეგროვება. ხშირად რთულია სანდო მონაცემების შეგროვება შეზღუდული დოკუმენტაციის ფონზე ან განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ ენებს. ასევე, სანდოობის ხარისხზე გავლენას ახდენს ეთიკური მოსაზრებები, რადგან ლინგვისტური კვლევების ჩატარება, განსაკუთრებით კი ადამიანური სუბიექტების მონაწილეობით, წამოჭრის ეთიკურ საკითხებს კონფიდენციალურობასთან და კულტურულ სენსიტიურობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ხშირად საქმე გვაქვს მკვლევარის სუბიექტურობასთან და მიკერძოებასთან ლინგვისტურ ანალიზში.

თანამედროვე ენათმეცნიერება რამდენიმე გნოსეოლოგიური პრობლემის წინაშე დგას. ესენია: ენობრივი უნივერსალის შესწავლა სხვადასხვა კულტურებში, კოგნიტური მეცნიერების ინტეგრაცია ლინგვისტურ თეორიებში. ასევე, გამოთვლითი ლინგვისტიკის ზრდა წარმოქმნის გამოწვევებს ადამიანის ენის გაგებისა და მანქანური ენის დამუშავების შესაძლებლობებთან თანხვედრისას.

ასევე აღსანიშნავია ენების ისტორიული რეკონსტრუქცია, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც ენის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გნოსეოლოგიური პრობლემა. ენების განვითარების და სახეცვლილების შესახებ ხშირად არ გვაქვს

საკმარისი ინფორმაცია და დასკვნების გაკეთება გვიწევს შეზღუდული მონაცემებიდან გამომდინარე, რაც იწვევს გაურკვევლობას და დებატებს.

ენათმეცნიერებაში არსებული იმ გამოწვევების მოსაგვარებლად, რაც ზემოთ არის ნახსენები, აუცილებელია რამდენიმე იმ ძირეული საკითხის გათვალისწინება, რომელიც იქნება ყოვლისმომცველი. მაგალითად ასეთია: ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარება, რათა მოხდეს ურთიერთთანამშრომლობა და სხვადასხვა დისციპლინების შერწყმა, რომ კვლევები იყოს სიღრმისეული და უძლებდეს კრიტიკას. ემპირიული კვლევების ჩატარება ენის სტრუქტურის, გამოყენების, შეძენისა და დამუშავების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. კულტურათაშორისი და ლინგვისტური შედარება, რათა მოხდეს სხვადასხვა ენების ლინგვისტური მახასიათებლების დადგენა. კრიტიკული ანალიზი, კვლევის რეფლექსიების კრიტიკული ანალიზის წახალისება პრობლემის უკეთ გამოსაკვეთად და გადასაფასებლად. უწყვეტი დიალოგი, რაც გულისხმობს ენობრივ საზოგადოებაში მიმდინარე იდეების ხელშეწყობას კონფერენციების, სემინარების, ფორუმების მეშვეობით რათა მოხდეს ცოდნის გაცვლა და ინტელექტუალური ზრდა.

ეს ყოვლისმომცველი და მრავალმხრივი მიდგომები მეცნიერებს დაეხმარება, როგორც ენის ბუნების გაგებასთან დაკავშირებული გნოსეოლოგიური გამოწვევების, ასევე მის ეფექტურ შესწავლასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური გამოწვევების მოგვარებაში.

ლიტერატურა:

1. გამყრელიძე თ. (2008): თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თსუ გამომცემლობა. თბილისი.
2. ლარსენ დ. ტექნიკები და პრინციპები ენის სწავლებაში II. ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა. ინგლისი.
3. რიჩარდს ჯ. და როჯერს თ. მიდგომები და მეთოდები ენის სწავლებაში. კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა.
4. შავერდაშვილი ე. (2014): უცხოური ენების სწავლების საფუძვლები I. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.
5. <https://geofilologia.wordpress.com/> (2015): ფილოლოგი// „ენათმეცნიერების საგანი და ენის ფუნქციები“
6. Chomsky, Noam. 1957. Syntactic Structures. The Hague: Mouton.
7. Chomsky, Noam. Universal Grammar. Blackwell Publishing.

Lela Maghularia

Batumi Shota Rustaveli State University

e-mail: Lelamagularia26@gmail.com<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.19>**SJIF 2024: 8.268****Epistemological and Methodological Problems of Modern Linguistics**

Abstract

There is discussed the Linguistics in the current work as one of the most important direction of science. Its constituent subfields are also listed there because of more concreteness and better understanding of how broad linguistics is.

It is clear that studies related to linguistics are different for different languages and countries. It is impossible to discuss the examples of all countries in one conference topic, therefore, based on the current reality, I have given as an example the methodological aspects of the linguistics of Georgia during the Soviet Union and now. The main directions of what the methodical issues should serve are also allocated.

In addition, I discussed the issue of the curriculum as one of the most important documents in the process of language acquisition and talked about the necessary stages for its development and proper preparation.

What is more, when we consider methodological and epistemological problems in linguistics, we can not ignore such issues as are: evaluation, data collection, data reliability, cultural aspects, historical reconstruction of languages.

Based on the existing problems, I made a summery analysis in the conclusion and discussed the possible ways to solve them.

რეცენზენტი: პროფესორი მანანა ღარიბაშვილი

სწავლების მეთოდოლოგია Methodology of Teaching

**Significance of Teaching and Learning English Phonetics (Pronunciation),
Influencing Factors and the Methods to Overcome those Challenges**

Maia Takidze

Batumi Shota Rustaveli State University

e-mail: Takidze.maia@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.20>

SJIF 2024: 8.268

The English language is widely spoken across the world and has a significant impact on various aspects of society. The purpose of learning foreign languages is to improve communicative competence (CC). While speaking in English, one may use accurate grammatical structures and lexical items, but if the accent and intonation are incorrect, it may cause difficulties in communication and the result might be the listener's misunderstanding of the speakers message. It is challenging for English language learners to achieve native-like pronunciation. The goal of teaching pronunciation should make the listener easily understood by both native and non-native speakers, the conversation should be understood without unnecessary difficulties and tension. The theme of pronunciation and communication is a complex one that involves multiple factors. It includes the various forms of the English language, the significance of the native speaker model in teaching, the preservation of identity, and the impact of the native language on pronunciation. It is essential to strike a balance between teaching the standard pronunciation and helping learners to be easily understood without undue pressure to achieve a native-like accent.

KeyWords: Pronunciation, Influencing Factors, Teaching and Learning

It is undeniable that English is the most widely spoken language in the world and has a significant influence in various aspects of global society such as education, politics, economy, technology, science, tourism and transportation. When it comes to learning a foreign language, the focus is on improving communicative competence (CC), which includes the development of writing, reading, speaking, and listening skills. People learn a foreign language not only to communicate with foreigners but also to explore and learn about different cultures. Effective communication requires the proper use of vocabulary, lexical items, grammar structures, phonemes, intonation, and stress of the English language.

Why Teaching Pronunciation is important? It has been pointed out by Celce Murcia, M. Britton D.M and Goodwin (2000) as well as Joanne Kenworthy (1987:3) that having a good grasp

of pronunciation is crucial to successful communication. Certain groups of people, such as English teachers, business people, flight attendants, telephone operators, diplomats, tour guides, and hotel staff, require special attention to pronunciation. They need to study the phonetics of the English language thoroughly and aim to acquire a "native-like accent" in order to fulfill the requirements of their work.

Marla Yoshida shares her viewpoint on the importance of teaching phonetics in her book "Teaching the Pronunciation of English." She believes that phonetics play a crucial role in learning the English language. She argues that while the most common approach to teaching English today is through communication, incorrect pronunciation can hinder the communication process. This is because a speaker might use proper grammar and vocabulary but still mispronounce words, use the wrong intonation or stress, and make their message difficult to understand. Mispronunciation can lead to incomprehensible speech, especially when combined with fast speech, making it challenging to comprehend. Yoshida believes that understanding the prosodic characteristics of the language is an essential part of mastering it. As we can see, the perfect knowledge of the language also implies the knowledge of the prosodic characteristics of the language" M. Yoshida (2014:55)

The question is, how can we communicate effectively to avoid any misunderstandings? In order to communicate effectively, it is imperative to consider how we speak and pronounce words to avoid any misunderstandings. One aspect that plays a crucial role in communication is the Received Pronunciation (RP), which is considered the standard English used in textbooks and dictionaries. However, it is worth noting that it is difficult to define an "ideal" pronunciation since the English language has many variations. According to M. Yoshida (2014:7), the notion of good pronunciation is a complex issue. Moreover, some researchers argue that using a native speaker model in teaching can be disadvantageous for learners. Modiano (2009: 64-65) suggests that such an approach may not be helpful for non-native speakers, as it may create unrealistic expectations and put pressure on them to achieve a native-like pronunciation. Additionally, Pananen Poka (2007: 76) argues that foreign language speakers retain traces of their first language, particularly in terms of pronunciation, which helps preserve the identity of each nation or ethnic group. Furthermore, a learner's native language can influence their pronunciation of a foreign language. Several scientists, such as M. Hewings (2004), S. Murcia (2001), M. Yoshida (2014), A. S. Gimson (1973), G. Brown (1996), and V. M. Rivers (1968), have discussed that mastering a pronunciation similar to a native speaker's is unattainable for a foreign language learner. However, the goal of teaching pronunciation should be to help learners be easily understood by both native and non-native speakers so that they can communicate effectively without unnecessary difficulties and tense.

Several obstacles prevent English language learners from mastering proper pronunciation. First of all, it is the native language factor, namely the differences that are expressed in the sound system, accent, and intonation of two different languages. The greater the difference, the greater obstacles the learner faces in pronouncing the words correctly. As Joanna Kenworthy (1987:3) points out, there are "more or less acceptable" languages. This means that it is easier for a speaker of some languages to acquire a pronunciation close to English, while for others it is the opposite. Wilga M. Rivers (1968:112-113) continues to argue that the acquisition of correct pronunciation is complicated by the degree of difference in the sound system and intonation of the native and target languages. Undoubtedly, every language has its sound system, in which all

elements are related to each other, and it is impossible to find two languages with identical sound systems and intonation. Therefore, the teacher must understand the essence of the problem to better eliminate the difficulties inherent in the teaching process.

Apart from above mentioned, one of the biggest obstacles to learning a language is age. It is generally easier to learn a language in childhood than in adulthood. In the 1950s and 1960s, Fenfield and Roberts were the first to suggest the idea that there is a critical period of language learning. This is a biologically determined period in a person's life when language acquisition is easier than in other periods. According to S. Brown, speaking with an accent close to that of a native speaker is difficult for people of all ages if they have not started learning the language at an early age. Some scientists believe that there is a "sensitive period" for learning a foreign language, which occurs between the ages of 10 and 13. During this time, biological changes take place in the human brain, which positively affect the acquisition of language pronunciation. Joanna Kenworthy believes that younger individuals are better at perceiving and assimilating the pronunciation of a foreign language because they already understand their native language. D. Nunan (2002), on the other hand, believes that, from the perspective of foreign language teaching, the phonological system of the native language has a greater impact on the acquisition of pronunciation than grammar or vocabulary. Therefore, the critical period is of great importance. It should be noted, however, that effective pronunciation is not limited to the childhood period. Adults also have the ability to master proper pronunciation, because they can better formulate goals, apply targeted frequent practice, and understand the differences and definitions between segmental and suprasegmental features of the language.

Another important factor is whether the learner (pupil) lives in an English-speaking country or not. If the learner lives in an English-speaking environment, then his pronunciation is especially refined. However, this opinion is not always correct. Some people live in an English-speaking country but spend most of their time around non-English speakers. On the contrary, the learner may not live in an English-speaking country but uses English so often (at home, school or work, listening or watching movies, or video recordings) that his pronunciation is completely consistent with speaking in his native language. As we can see, it is important how much the learner uses English, not whether he is in an English-speaking environment or not.

Teaching English pronunciation involves several challenges. Primary and high school teachers often find that they don't have enough time to focus on pronunciation improvement tasks. Moreover, activities to improve pronunciation are not aligned with the lesson's objective, which is mainly to learn vocabulary and grammar. In the process of learning the language, the teacher plays a crucial role in helping learners to perceive the sounds since they tend to make English sounds similar to their mother tongue. The teacher should ensure that the students understand the sounds characteristic of the language. When learning a new language, pupils may sometimes correctly imitate the sounds of the new language, using the correct intonation and pronunciation. However, at other times, they may fall back on the sounds of their native language when speaking the new language. As a result, it is important for learners (pupils) to be aware of what they need to focus on and practice, as speaking is mostly an unconscious process. During a conversation, the learner may not realize that they are using the wrong pronunciation or intonation, which can lead to misunderstandings and negatively impact the conversation. As we see, the issue of pronunciation and communication is a complex one that involves several factors, including the variety of English language, the role of the native speaker model in teaching, the preservation of

identity, and the influence of the native language on pronunciation. It is essential to strike a balance between teaching the standard pronunciation and helping learners to be easily understood without undue pressure to achieve a native-like accent.

It is also important to consider the motivation and sense of responsibility of language learners (pupils) when it comes to the teaching process. While a teacher may be skilled at identifying errors and providing feedback on proper pronunciation, the pupils' lack of interest can significantly hinder progress. According to M. Yoshida (2014), learners are more likely to succeed in any subject if they have a strong desire to learn. Additionally, Gimson (1973) notes that attempting to learn a foreign language and its related elements in a short period, without the learner's motivation and incentive to practice, can result in partial or unsuccessful outcomes. The teacher has a responsibility and authority to enhance the motivation of language learners during the learning process. According to H. Gardner's (1985) book, motivation can be defined in three ways: the desire for success, the effort put into achieving it, and the satisfaction that comes with completing a task. However, when it comes to learning a foreign language, the learner should be motivated in two ways: interactive (when the learner is part of a group and interacts with others while learning and using the language) or instrumental (when the learner's desire to master the language is driven by a specific goal such as passing an exam, finding a job, or professional growth).

To sum up, when it comes to learning proper English pronunciation, there are several challenges that learners may face. These challenges may include differences in phonetics, intonation, and rhythm between the learner's first language and English. However, the teacher plays a crucial role in helping language learners overcome these psychological barriers and master the proper pronunciation of English. effective teaching process can provide the necessary guidance and support to help learners overcome these obstacles and achieve success. To teach English pronunciation effectively, the teacher should provide learners with a comprehensive understanding of the fundamental elements of spoken English. This includes both segmental and suprasegmental features of the language, such as vowels, consonants, stress, rhythm, and intonation. By teaching these elements, learners (pupils) can develop a better grasp of English pronunciation and improve their communication skills. Moreover, the teacher can enhance learners' motivation by introducing enjoyable learning activities. This could include games, songs, interactive phonetic activities and exercises that help learners practice their pronunciation skills while having fun. Additionally, providing learners with ample practice opportunities can help them overcome any obstacles or boredom, and ultimately improve their pronunciation skills.

References:

1. Brown Gillian "Listening to Spoken English" Longman. 1996
2. Celce Murcia Marianne, Briton D.M , Goodwin J.M "Teaching Pronunciation" – a reference guide. Cambridge University Press. 2010.
3. Celce Murcia Marianne "Teaching English as a Second or Foreign Language" . Heinle and Heinle Press. 2001.
4. Douglas H. Brown "Principles of Language Learning and Teaching" Longman. 2000
5. Gardner Howard "Social Psychology and Second Language Learning, – The Role of Attitude and Motivation" Edward Arnold Publication. 1985
6. Gilbert B. Judy "Teaching Pronunciation. Using the Prosody Pyramid" Cambridge University Press. 2008

7. Gimson A.C “An Introduction to the Pronunciation of English” Edward Arnold Publication. 1973
8. Hewings Martin “Pronunciation Practice Activities” Cambridge University Press. 2004
9. Hughes Rebecca “Teaching and Researching Speaking” Pearson Education. 2002
10. Kenworthy Joanne “Teaching English Pronunciation” Longman. 1987
11. Modiano M. “English as a Lingua Franca in the European Union”. 2009
12. Nunan David, Miller L “New Ways in Teaching Listening” TESOL. 2002
13. Rivers M Wilga “Teaching Foreign Language” The University of Chicago Press. 1968
14. Yoshida Marla “Understanding and Teaching the Pronunciation of English”. 2014
15. Nijaradze, Teona. (2023). “Phonetic Adaptation of Anglicisms in Modern German”. *Language and Culture* (May 25, 2023). Accessed March 25, 2024. <https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/1853>

მაია ტაკიძე

შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: takidze.maia@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.20>

SJIF 2024: 8.268

ინგლისური ენის ფონეტიკის (წარმოთქმის) სწავლება/სწავლის მნიშვნელობა, მოქმედი ფაქტორები და მათი დამღვევის გზები

აბსტრაქტი

ინგლისური ენა ყველაზე გავრცელებული ენაა მსოფლიოში, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოების ყველა სფეროზე. უცხო ენების სწავლება/სწავლის პროცესი კომუნიკაციური კომპეტენციის (CC) გაიმჯობესებაზეა ორიენტირებული. ზოგჯერ ინგლისურ ენაზე მოსაუბრე სწორ გრამატიკულ სტრუქტურებს და ლექსიკურ ერთეულებს იყენებს საუბრისას, სწორად გამოთქვამს ინგლისური ენის ფონემებს, მაგრამ მისი ინტონაცია ან მახვილი არასწორია. არასწორმა მახვილმა და ინტონაციამ შესაძლოა კომუნიკაციის პროცესს ხელი შეუშალოს და მოსაუბრის გზავნილი ვერ იქნეს სწორად აღქმული მსმენელის მიერ. ინგლისური ენის შემსწავლელთათვის მშობლიურ-ენას მიმსგავსებული წარმოთქმის დაუფლება მიუღწეველია. წარმოთქმის სწავლების მიზანს მსმენელის ადვილად გაგებინება უნდა წარმოადგენდეს როგორც მშობლიურ, ასევე არა მშობლიურ ენაზე მოსაუბრეებთან, საუბრის გაგება ზედმეტი სირთულეებისა და დამაბულობის გარეშე უნდა ხდებოდეს. წარმოთქმა და კომუნიკაცია კომპლექსური საკითხია, რომელიც მოიცავს რამდენიმე ფაქტორს, მათ შორის ინგლისური ენის მრავალფეროვნება, მშობლიური ენის მოდელის როლი სწავლებაში, იდენტობის შენარჩუნება და მშობლიური ენის აქცენტისა და წარმოთქმის გავლენა. მნიშვნელოვანია ბალანსის დამყარება ინგლისური ენის სტანდარტული წარმოთქმის სწავლება/სწავლის პროცესში. ასევე, მოსწავლეთა დახმარება რათა მათი საუბარი ზედმეტი ზეწოლის გარეშე ადვილად აღქმადი გახდეს მსმენელის მიერ.

საკვანძო სიტყვები: წარმოთქმა, მოქმედი ფაქტორები, სწავლა/სწავლება

რეცენზენტი: პროფესორი ოლგა გუსევა

სწავლების მეთოდოლოგია Methodology of Teaching

ხელოვნური ინტელექტის ლინგვისტური კატარზისის ეფექტი განათლებაში

ნინო ცხაკაია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: nini.tskhakaia@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.21>

SJIF 2024: 8.268

სტატია განიხილავს ხელოვნური ინტელექტის (AI) ტრანსფორმაციულ პოტენციალს ენის ათვისების სფეროში, რომელიც მოიცავს ხელოვნური ინტელექტის „ლინგვისტური კატარზისის“ კონცეფციას. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი პირველად არის გამოყენებული ავტორის მიერ. ნაშრომში მიმოხილულია ხელოვნური ინტელექტის მრავალმხრივი გავლენა ენის შესწავლის კუთხით და მისი როლი პერსონალიზებულ სწავლებაში. აქ, ასევე წარმოდგენილია ეთიკური მოსაზრებები ხელოვნური ინტელექტის დანერგვის შესახებ, რაც ხაზს უსვამს თანაბარი წვდომის, მონაცემთა კონფიდენციალურობის და ალგორითმული გამჭვირვალობის აუცილებლობას. საბოლოო ჯამში, ეს სტატია წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებისა და პედაგოგიური გამოცდილების დაბალანსებულ სინთეზს, რომელიც ხელს შეუწყობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ლინგვისტური ცოდნისა და კულტურული გაგების მიების პროცესის შესწავლა-ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: ინგლისური ენის სწავლება, ხელოვნური ინტელექტი, ენის კატარზისი, ადაპტური სწავლა, ვირტუალური რეალობა, ეთიკური მოსაზრებები, პედაგოგიური ინოვაცია.

კაცობრიობის ისტორიაში განათლება მუდამ იყო და არის მძლავრი კატალიზატორი პიროვნების ფორმირების, სოციალურ-ემოციური კეთილდღეობისა თუ განვითარების თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ სუპერმოდერნიზებულ სამყაროში მთავარი ნიშნული სწორედ განათლების სფეროში არსებულ ინოვაციურ მეთოდებსა და სწავლების უნივერსალურ საშუალებებზე დაყრდნობით გადის.

დეივ კორმიერზე საუბრისას, პროფესორი გიგი თევზაძე გვიზიარებს სწავლების რიზომატულ მოდელს და აღნიშნავს, რომ რიზომატულ მოდელში ცოდნა წარმოადგენს მოლაპარაკების საგანს, სწავლების გამოცდილება კი – ეს არის, როგორც სოციალური,

ასევე პირადი პროცესი ცოდნის შექმნისა ცვალებადი მიზნებისა და მუდმივი გამოწვევების ფონზე [თევზაძე, გ. 2017].

კორმიერის ნაშრომში, Rhizomatic Education: Community as Curriculum, სხვა მრავალ საკითხთან ერთად განხილულია პლატონისა და პითაგორას ეპისტემოლოგიური პარადიგმები განათლებაში; კორმიერი აღნიშნავს, რომ პლატონური პარადიგმა შეესაბამება ტრადიციულს, ხის მეტაფორის მოდელს განათლებაში, რომელიც ინფორმაციის მიღება, დაგროვება, გამოყენებაზეა ორიენტირებული, ხოლო პითაგორას პარადიგმა – ეს არის რიზომატული განათლება, რაც გულისხმობს სამყაროს განსხვავებულ აღწერებს, რაც მიიღწევა კეთების/შექმნის პროცესით, რომლის საფუძველიც შემეცნება ხდება. პითაგორული სწავლების მოდელი აუქმებს იერარქიულობას და ეფუძნება ცოდნის გადმოტანას რეალობაში [თევზაძე, გ. 2017]

დღეისათვის, თანამედროვე პედაგოგიკაში სწავლების რამდენიმე სტრატეგია არსებობს:

- “კოგნიტური სტრატეგია - გულისხმობს მოსწავლეთა ცოდნის მოპოვებას, გადამუშავებას, გაანალიზებას, კრიტიკულად შეფასებასა და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენებას;

- მეტაკოგნიტური (აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ) სტრატეგია - გულისხმობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვაში, მართვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში;

- ემოციურ-მოტივაციური სტრატეგიები - გულისხმობს შესასწავლი საკითხისადმი დადებითი განწყობის შექმნას;

- რესურსების მოხმარებაზე დაფუძნებული სტრატეგიები - გულისხმობს მულტიმედიური, ქსელური სასწავლო საშუალებების ეფექტიან გამოყენებას სწავლის პროცესში” [ბასილაძე და სხვები. 2016]

აღნიშნული სტრატეგიებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მთავარი ფიგურა სწავლა-სწავლების პროცესში, თავად მოსწავლეა, თუმცა ამ პროცესის სამართავად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ცვლის რა ადამიანთა ურთიერთობებს, სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ყოფას, ხელს უწყობს სრულიად ახალი აზროვნების დამკვიდრებას. 1982 წელს მეცნიერები ტერმინს „ახალი ცნობიერების თაობას“, „ინდიგო თაობას“ იყენებენ, თუმცა, ტერმინი 1999 წელს ლიკურილის წიგნის „ინდიგო თაობა: ახალი ბავშვები მოვიდნენ“ გამოსვლის შემდეგ მკვიდრდება. „ინდიგო თაობა“ ძლიერი ინტელექტითა და ტექნოლოგიების ფლობის თანდაყოლილი უნარით გამოირჩევა.

XXI საუკუნემ განათლების სისტემა უამრავი გამოწვევის წინაშე დააყენა. საჭირო გახდა გარდამტეხი რეფორმების გატარება.

კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ კიდევ უფრო აქტუალური გახდა ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება განათლების პროცესში. დღევანდელ სცენარში სწავლა ციფრულ სამყაროში გადავიდა, რომელშიც ვირტუალურად არიან დაკავშირებული პედაგოგები და სტუდენტები. ელექტრონული სწავლება გახდა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების - სკოლების, კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სავალდებულო კომპონენტი.

ნიშანდობლივია, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) სრულიად გარდაქმნა ჩვენი ცხოვრებისა და მუშაობის წესი, ამ მხრივ, არც განათლების სფეროა გამონაკლისი. თუ ჩვენ ხელოვნური ინტელექტის ფუნქციონალურ შესაძლებლობებს მოვიხსენებთ როგორც ლინგვისტური კათარზისის ეფექტს, მისი განმარტებაც სრულიად ლოგიკური

იქნება ფართო საზოგადოებისთვის. არისტოტელემდე, ანტიკურ ფილოსოფიაში, ცნება „კათარზისი“ უფრო ფართო გაგებით, უკავშირდებოდა ინტელექტის, ხელოვნების, მედიცინის სფეროებს, თუმცა უფრო ვიწრო გაგებით ტერმინი „კათარზისი“ რელიგიური მნიშვნელობით გამოიყენებოდა და განწმენდას, უფრო ზუსტად კი, ადამიანის სულის ცოდვათაგან განთავისუფლებას ნიშნავდა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია თუ არა, რომ ხელოვნური ინტელექტის გავლენა განათლებაზე, თანამედროვე გაგებით, შევადაროთ ლინგვისტური კათარზისის ეფექტს, რომელიც ვიწრო გაგებით, გულისხმობს ადამიანის დამოკიდებულებების, გრძნობების, ემოციების, ენის ათვისებისა და ფუნქციური გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევათა კომპლექსურობის დაშლას, გამოთავისუფლებას, რომლის საბოლოო მიზანიც ხელს არ უშლის შემსწავლელს პერსონალურ საჭიროებებზე დაყრდნობით, თვითშემეცნებით, გაწმინდოს გონებაში დაგროვილი ლატენტური მონაცემები და მოახდინოს არსებული ცოდნის გენერირება.

ბოლო წლების განმავლობაში, ხელოვნური ინტელექტი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვნად განვითარდა და სწავლა-სწავლების პროცესში მძლავრ საგანმანათლებლო ინსტრუმენტად იქცა, რომლის მიზნობრივ და პრაქტიკულ გამოყენებას არაერთი სარგებლის მოტანა შეუძლია თანამედროვე პედაგოგიაში. სწორედ ამიტომ, სიტყვამ „Pedagogy“ (ქართულად „პედაგოგია“) მეტაფორულად შეიცვალა ეტიმოლოგიური მნიშვნელობა და ხშირად თანამედროვე ევროპელი მკვლევარები მოიხსენიებენ როგორც **pedAIgogy**, სადაც AI-ადნიშნავს ხელოვნურ ინტელექტს, როგორც პედაგოგიკისგან განუყოფელ ნაწილს.

ევროპის საბჭოს თანხმობით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროგრამა eTwinning-ის მხარდაჭერით შექმნილ ქართულენოვან პუბლიკაციაში ვკითხულობთ, რომ გაერთიანებული სამეფოს ალან ტურინგის ინსტიტუტის მიერ მომზადებული კვლევა „ხელოვნური ინტელექტი, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა: გზამკვლევი“ (ლესლი და სხვ. 2021), ეყრდნობა ევროპის საბჭოს ხელოვნური ინტელექტის დროებითი კომიტეტის (CAHAI) ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას, რომელშიც ხელოვნური ინტელექტის სისტემა შემდეგნაირადაა განმარტებული: ხელოვნური ინტელექტის სისტემა არის ალგორითმული მოდელი, რომელიც ასრულებს კოგნიტურ და შემეცნებით ფუნქციებს, რაც წარსულში წარმოადგენდა მხოლოდ ადამიანის აზროვნების, განსჯისა და მსჯელობის საგანს [მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2023].

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე სასწავლო გარემოს უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ვინაიდან მისი დახმარებით შესაძლებელია მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობების დაგეგმვა როგორც მცირეკონტიგენტთან, ისე მრავალრიცხოვან საკლასო ოთახში. ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, დისტანციურმა სწავლებამ მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულა პანდემიის პირობებში. შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სწავლების სათავედ მიჩნეულია 1728 წელი, როდესაც გაზეთში Boston Gazette განცხადება გაჩნდა, სადაც მასწავლებელი ეძებდა მსურველებს, რომლებსაც კვირაში ერთხელ მასალას გაუგზავნიდა. ეს მეთოდი აქტიურად XIX საუკუნეში, საფოსტო სისტემის დახვეწის შემდეგ ამოქმედდა. მას შემდეგ და მეოცე საუკუნის ბოლომდე ეს სისტემა უფრო და უფრო ვითარდებოდა და იხვეწებოდა, თუმცა ფეხი მხოლოდ კომპიუტერებისა და ინტერნეტის ფართოდ გავრცელების შემდეგ მოიკიდა“ [კუპატაძე, 2009].


როგორ შეიძლება, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენო სოციალური ქსელი და ამავე დროს ამის თანმხლები უარყოფითი მოვლენები თავიდან აიცილო? ამის ერთ-ერთი

საუკეთესო საშუალება უნდა იყოს ხელოვნური ინტელექტის წინამორბედი სოციალური ქსელი “ედმოდო”, რომელიც ჯერ კიდევ 2008 წელს საგანგებოდ შეიქმნა აშშ-ში სასწავლო პროცესის უკეთ წარსამართავად. ედმოდო-ს ქსელში ჩართულ „სამკუთხედს“ აერთიანებს: მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს. რა არის „ედმოდო“? ეს არის სოციალური ქსელი მხოლოდ მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალისთვის; შექმნილი იმისთვის, რომ სამუშაო პროცესი უფრო მოქნილი გახდეს. მისი საშუალებით შესაძლებელია როგორც საკლასო მუშაობის მარტივად წარმართვა, ისე საშინაო დავალებებისა და სასკოლო შეტყობინებების გაგზავნა სოციალურ ქსელში ჩართული კონკრეტული ჯგუფისთვის. „ედმოდო“ არსებობს სტანდარტული ინტერფეისი შენიშვნების შესატანად, გამოკითხვისა და ტესტირების ჩასატარებლად, ასევე, შესაძლებელია ჯგუფების შექმნა (მაგალითად, საგნობრივის), ბიბლიოთეკაში ფაილების ჩატვირთვა და სხვა. გარდა ამისა, „ედმოდო“ [იხ.<http://Edmodo.com>] უფასოა.

ხელოვნური ინტელექტის კიდევ ერთი ინოვაციური პროდუქტი Olex.AI <https://schoolonline.ai/> შესაძლებლობას იძლევა დაზოგოს მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა საშინაო დავალების კომპონენტის შემოწმებისთვის საჭირო ზეგანაკვეთური სამუშაო დრო და უსწრაფესად მოახდინოს მოსწავლეთა შეფასების დიაგნოსტიკა, თუმცა მისი მოხმარება სკოლებისთვის ზედმეტ ფინანსებთანაა დაკავშირებული, რაც ერთგვარ ბარიერს უქმნის განვითარებად ქვეყნებს დანერგონ ინოვაციური ტექნოლოგიების ინსტრუმენტები განათლების სფეროში.

კვლევის შედეგების ანალიზი

მოსწავლეებში იმ ძირითადი პრობლემების დიაგნოსტიკისთვის, რომელიც ვლინდება ინგლისური ენის შესწავლის პროცესში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, შერეული კვლევის მეთოდების გამოყენების საფუძველზე მოვახდინეთ 40 ქართულენოვანი სექტორის მქონე სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა ალბათური შერჩევის პრინციპით, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა პრობლემების ხე.




პრობლემათა გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებისას დადგინდა, რომ ენის ათვისების პროცესს აბრკოლებს მოტივაციის ნაკლებობა, მოსწავლეთა საჭიროებების დაუდგენლობა, სახელმძღვანელოში არსებული ერთფეროვანი საკითხები, მწირი აუდიო-ვიდეო რესურსები გაკვეთილზე და ნაკლებად წიგნიერი გარემო როგორც შინ, ისე საკლასო ოთახში, რის საფუძველზეც შესასწავლი მასალა უინტერესოა

მოსწავლეთათვის. ასევე, პრობლემათა ჩამონათვალში მნიშვნელოვანი წილი დაიკავა მშობელთა ნაკლებმა ჩართულობამ სასწავლო პროცესში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მეტწილად, მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ განვითარებული საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, ვერ ფლობენ მოლაპარაკებისა და დებატების ტექნიკას, რაც თავის მხრივ ხელს უშლის მათი მხრიდან ენის ფუნქციურ გამოყენებას. ამასთან, წერითი დავალებების შესრულების დროს მათი აკადემიური შედეგები და დავალების შესრულების ხარისხი ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეების მხრიდან ხელოვნური ინტელექტის, კერძოდ, კი Chat GPT -ის არაეთიკური გამოყენება.

ჩამოთვლილთაგან თუ როგორ სასწავლო გარემოს მიიჩნევენ ეფექტურად საგაკვეთილო პროცესის ხარისხიანად მიმდინარეობისთვის, გამოირკვა, რომ მოსწავლეთა 17%-ს არაპრიორიტეტულად მიაჩნდა ფორმალურ გარემოში გაკვეთილის ჩატარება. მონაცემების მიხედვით, მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა არაფორმალური (50%) და ტექნოლოგიური რესურსებით მდიდარი გარემო (33%).



კვლევის შედეგების მიხედვით, შევიმუშავეთ რეკომენდაციები ხელოვნური ინტელექტის საგაკვეთილო პროცესში იმპლემენტირებისთვის:

- შეიქმნას მოსწავლეთა ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების დონის ასამაღლებელი კამპანია;
- შემუშავდეს ხელოვნური ინტელექტის სასწავლო პროცესში გამოყენებისათვის საჭირო ეთიკის სახელმძღვანელოს სტრუქტურა როგორც ქართული, ისე არაქართულენოვანი სკოლებისთვის საქართველოში ბილინგვური განათლების ხელშესაწყობად.
- ხელმისაწვდომი გახდეს პედაგოგებისთვის ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ტექსტის სკანირების ინსტრუმენტი, რომელიც ადგენს პლაგიატის დონეს მოხსენებებში, ესეებსა თუ სხვა დავალებებში, მათში წარმოდგენილი მასალის არსებულ ტექსტებთან შედარების გზით.

- მოხდეს ადაპტური სწავლების სისტემის ITS დანერგვა საგაკვეთილო პროცესის შეფასების თუ დიაგნოსტიკის მიზნით.
- მოხდეს ხელოვნური ინტელექტის ასისტენტის, ჩატბოტის სისტემის იმპლემენტირება ელექტრონულ ჟურნალში მოსწავლეთათვის შესასწავლი მასალის ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ხელოვნური ინტელექტის სარგებლიანობისა და ეფექტურობის დასადგენად, პირველ რიგში, საჭიროა რისკების გაცნობიერება, ინტერვენციების დაგეგმვა და რეაგირება, რათა ვიკვლიოთ ტექნოლოგიის განვითარების პოტენციური საფრთხეები და გამოწვევები განათლების სფეროს მიმართულებით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

ლიტერატურა:

1. ბასილაძე, ი., ჭოხონელიძე, ნ., და კოსტავა, ნ. (2011). „სწავლებისა და სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, აქტივობის ფორმები, შეფასების კრიტერიუმები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება“. ქუთაისი:აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიური დეპარტამენტი.
2. გორდუზიანი, ც. (2004). თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, თბილისი:
3. Giz-ის მასალები ელექტრონული სწავლების შესახებ, თბილისი. 2011.
4. თევზაძე, გ. (2017) საბოლოო ფილოსოფია.
5. კუპატაძე, ქ. (2009). „ელექტრონული სწავლება“. თბილისი. გამომცემლობა უნივერსალი.
6. Shavtvaladze N. (2023).Description and requirements for teaching Georgian as a foreign language A1 level. lac [Internet]. 2023 May 21 [cited 2024 Mar. 25];(29). Available from: <https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/1759>
7. ხელოვნური ინტელექტი და განათლება-კრიტიკული ხედვა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პერსპექტივიდან. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2023.
8. Depover, C., & Marchand, L. (2002) .E-learning et formation des adultes en context
9. professionnel // De Boeck (coll. Perspectives en éducation et formation).
10. 10. Emmons, J. (2009). Exploring the use of computer assisted instruction with autistic
11. students, Connexions module m16541, retrieved from <http://cnx.org/content/m16541/latest/> 2nd April.
12. 11. Keegan, D. (1990).Foundations of Distance Education. London: Second Edition.
13. 12. Hotte, R., & Leroux, P. (2003). Technologies et formation à distance // ATIEF-INRP.

Nino Tskhakaia

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

e-mail: nini.tskhakaia@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.21>

SJIF 2024: 8.268

The Linguistic Catharsis Effect of Artificial Intelligence in Education

Abstract

This article delves into the transformative potential of artificial intelligence (AI) in the realm of language acquisition, encapsulated by the concept of "language catharsis." Drawing upon

contemporary research and pedagogical practices, the article elucidates the multifaceted impact of AI on the language learning journey, emphasizing its role in personalized instruction, adaptive assessment, and immersive learning experiences. Ethical considerations surrounding AI implementation in language education are scrutinized, underscoring the imperative of equitable access, data privacy, and algorithmic transparency. Through an examination of emerging trends and future directions, the article prognosticates the trajectory of AI-powered language learning, envisioning a landscape enriched by virtual reality, conversational agents, and augmented learning environments. Ultimately, this article advocates for a balanced synthesis of AI technologies and pedagogical expertise that empowers educators and learners alike in the pursuit of linguistic proficiency and cultural understanding.

Key words: English Language Teaching, Artificial Intelligence, Language Catharsis, Adaptive Learning, Virtual Reality, Ethical Considerations, Pedagogical Innovation.

რეცენზენტი: პროფესორი მანანა მიქაძე

შინაარსი
ენათმეცნიერება

თამარ ალფაიძე

ფრაზეოლოგიური ერთეულები

როგორც ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი.....9

ციური ახვლედიანი

თანამედროვე ფრანგული სასაუბრო ენის თავისებურებანი.....15

რუსუდან გვილაგა, ირმა რუსაძე

ეკონომიურობის პრინციპი ენაში

(ინგლისური ენის მაგალითზე).....19

ნინო თავიდაშვილი

ანტითეზა როგორც სტილისტური მარკერი პოლიტიკურ დისკურსში.....23

ეკატერინე თოფურია

სემანტიკურ-სტრუქტურული ერთეულების კოგნიტური

ეფექტი პოლიტიკურ დისკურსში34

მანანა კაკაურიძე

სიტყვა „გული“ შემცველ სომატურ-იდიომატურ ფრაზეოლოგიზმთა ზოგიერთი

ლექსიკურ-სტილისტური თავისებურება ქართულში.....35

სალომე ლაღაძე

ენა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი.....47

თამარ მახარობლიძე

ყრუთა თემი და სახელმწიფო ენა.....53

მანანა მიქაძე

ალერსისა და მოფერების გამომხატველი ლექსიკა

ოტია იოსელიანის შემოქმედებაში.....57

Симонян Нектар Мамиконовна

Этимологические Заметки67

სოფიო ქიტესაშვილი

სემანტემა „ქარი“ პოეტურ მეტყველებაში.....72

ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა

ანასტასია მახათაძე

ლოღობერიძეების ოჯახი78

ლალი მიქაძე

ძმები ნიკურაძეები ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან.....83

Morar Andreea-Roxana

The seduction of AI in "iPhuck 10"89

თარგმანთმცოდნეობა

მაია ბოლაშვილი, ნანა მაზმიშვილი

თარგმანი, როგორც კულტურათა სინთეზი თარგმანის თანამედროვე
თეორიათა კონტექსტში.....93

ისტორია

მანანა ფხაკაძე, ქეთევან გარდაფხაძე

იაკობ რაინეგსი და საქართველო.....98

პედაგოგიკა

ნინო ჭოხონელიძე

აღზრდის მიზნის საკითხისათვის მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში.....106

სწავლების მეთოდოლოგია

ლელა მაღულარია

თანამედროვე ენათმეცნიერების გნოსეოლოგიური
და მეთოდოლოგიური პრობლემები110

მაია ტაკიძე

ინგლისური ენის ფონეტიკის (წარმოთქმის) სწავლება/სწავლის მნიშვნელობა,
მოქმედი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები120

ნინო ცხაკაია

ხელოვნური ინტელექტის ლინგვისტური კატარზის ეფექტი განათლებაში.....121

Contest

Linguistic

Tamari Alpaidze

Phraseological units as an important constituent of the lexical fund14

Tsiuri Akhvlediani

Peculiarities of The Modern French colloquial Language.....18

Rusudan Gvilava, Irma Rusadze

Principle of economy in language22

Nino Tavidashvili

Antithesis as an important stylistic device in political discourse30

Ekaterine Topuria

The Cognitive Effect of Semantic-Structural Items in Political Dicourse31

Manana Kakauridze

Some lexical-stylistic peculiarities of somatic-idiomatic phraseology containing
the word “Heart” in Georgian45

Salome Laghadze

Language and mass communication media51

Tamar Makharoblidze

Deaf community and State Language56

Manana Mikadze

Vocabulary expressing caress and caresses in the works of Otia Ioseliani66

Simonian Nektar

Etimological Notes71

Sophio Kitesashvili

Semanteme “wind” in Poetic speech77

Literature and Literaru Theory**Anastasia Makhatadze**

Family of Ghogoberidze82

Lali Mikadze

Nikuradze brothers from Kutaisi Classical Gymnasium88

Морар Андрея-Роксана

Соблазнение ИИ в «iPhuck 10»92

Science of Translation**Maia Bolashvili, Nana Mazmishvili**

Translation as a synthesis of cultures in the context of modern theories of translation96

History**Manana Pkhakadze, Ketevan Gardapkhadze**

Jacob Rainergs and Georgia.....105

Pedagogic**Nino Tchokhonelidze**For the question of the purpose of education, Montessori
in the pedagogical system.....109

Methodic of Teaching

Lela Maghularia

Epistemological and Methodological Problems of Modern Linguistics115

Maia Takidze

Significance of Teaching and Learning English Phonetics (Pronunciation),
Influencing Factors and the Methods to Overcome those Challenges116

Nino Tskhakaia

The Linguistic Catharsis Effect of Artificial Intelligence in Education126